

## I. თემა: ტრანსპორტის განვითარების ზეგავლენა ტურიზმზე

### შესავალი

მგზავრთა გადაადგილების ეტაპი ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ტურიზმის ორგანიზაციის საქმეში. ამ ეტაპის დაგეგმვა, ორგანიზაცია და გაძლიერა, ტურიზმისატურებისა და გადამყვანთა ერთობლივი საქმიანობაა. ერთის მხრივ, გადაადგილება დანიშნულების ადგილამდე მიღწევის საშუალებაა, სადაც ხორციელდება მოგზაურობის ძირითადი ფაზა (დასკენება, გართობა და სხვა), ხოლო მეორე მხრივ, თვითონ გადაყვანა (გადაადგილება) არის მოგზაურობა, ხოლო ზოგჯერ გადაადგილების საშუალებები (გემი, მატარებელი) წარმოადგენენ დამისთვევის ადგილებს. გადაყვანის საშუალებების მიზანია არა მარტო ტურისტებისა და მოგზაურთა ტრანსპორტირება და მათი ბარგის გადატანა ერთი ადგილიდან მეორეში, იგი გამოიყენება აგრეთვე როგორც გართობის, სპორტის საშუალება, სამუშეულო კოლექციების საგანი, მოღელირების და ვაჭრობის საგანი.

გადაადგილების თითოეული ხერხი და სატრანსპორტო საშუალებების გამოყენების მეთოდი გამოსადევად ტურისტული პროდუქტისა და ტურების ფორმირებისათვის მათი მიმართულების, მიზნებისა და ადგილმდებარეობის განსასაზღვრად და წარმოადგენს ტურისტული საქმიანობის საგანის.

სასწავლო კურსი დაყოფილია თავებიად გადაადგილების ცალკეული სახეებისა და ხერხების შესაბამისად და სატრანსპორტო საშუალებების თავისებურებების შესაბამისად. გადმოცემულია სატრანსპორტო სახეების ფორმირების ისტორია, თანამედროვე მდგომარეობა და ტურიზმის მიზნებისათვის მათი გამოყენების პერსპექტივები. მოიცავს გადაყვანის ყველა შესაძლო მეთოდი და საშუალება, რომელიც გამოიყენება ტურისტული პროდუქტის რეალიზაციის პროცესში.

მოგზაურობა ეს არის ადამიანთა გადაადგილება დროსა და სივრცეში, ხოლო ადამიანი, რომელიც მოგზაურობს მიზნების, მიმართულებებისა და გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებებისა და დროის შეალებისაგან დამოკიდებლად, ეწოდება მოგზაურობა. მოგზაურობის მიზნების თავისებურებებიდან გამომდინარე შეიძლება მოგზაურს კურსოდოთ: ფეხითმოსიარულება, მხედარი, გელოსიპედისტი, იახტსმენი, მეზღვაური, კოსმონავტი, ბიზნესმენი, ნატურალისტი და სხვა.

მოგზაურობა და ტურიზმი travel & tourism – ორი დამოუკიდებელი ცნებაა, რომელიც აღწერს ადამიანის საქმიანობის განსაზღვრულ სახეს, იქნება ეს დასკენება, პასიური თუ აქტიური გართობა, სპორტი, გარემონცემელი ბუნების შეცნობა, ვაჭრობა, მეცნიერება, მეურნიალობა და სხვა მრავალი.

ცალკეული ინდივიდუების, ჯგუფების და მრავალი ხალხისათვის მოგზაურობა ცხოვრების წესია, რომელიც დადგენილია საუკუნეების წინ და გამოწვეულია საცხოვრებელი ადგილის კლიმატური თავისებურებებით და გარემოებებით. სეთებს მიეკუთვნებიან მაგალითად მომთაბარე ტომები – ბელუჯები, ბედუინები, ბოშები, იძულებით გადაადგილებული და სხვა. მომთაბარეები თავის საქონლის ჯოგებთან ერთად გადაადგილდებიან საძოვრების ათვისებასთან დაკავშირებით, მათ ვერ აჩერებთ სახელმწიფო სახლვრებიც კი; ბელუჯები მუდმივად მიგრირებენ პაკისტანიდან ავღანისტანში და პირიქით, ამასთან იცვლიან კლიმატის და საქონლისათვის საძოვრების მდგომარეობას; ზოგიერთი სამუშაოს საძებნელად აშშ-ს სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მიემართება, ყოველწლიურად ათასობით სეზონურად მომუშავე სოფლის მუზრების მუშაკი გადაადგილდება ერთი ადგილიდან მეორეზე მოსავლის ასაღებად.

ამრიგად, მოგზაურობა ეს არის ადამიანთა გადაადგილება დროსა და სივრცეში; ხოლო ადამიანს, რომელიც მოგზაურობს მიზნის, მიმართულების, გადაადგილების საშუალებისა და დროის შეალებისაგან დამოუკიდებლად, მოგზაური ეწოდება.

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესამდე XIX და XX საუკუნეებში მოგზაურობა გრძელდებოდა წლების და ათწლეულების განმავლობაში. თანამედროვე სატრანსპორტო საშუალებები კი ადამიანს საშუალებას აძლევს გადალახოს გიგანტური მანძილები საქმაოდ სწრაფად. ადამიანმა შემოუფრინა და იმოგზაურა მთვარეზე. ზებგერით საჰაერო ლაინერებს შეუძლია ტურისტები რამდენიმე საათში გადაიყვანოს რომელიმე კონტინენტები. სწრაფმავალ საზღვაო კატამარანებს შეუძლიათ გადალახონ ატლანტიკური ოკეანე ორ დღე-დამეში. სწრაფმავალი სარკინიგზო მატარებლები მოძრაობებს 350 კმ და მეტი საათის სიჩქარით.

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ეპოქის დასაწყისში გადაყვანების (გადაადგილების) სფეროში დაიწყო ტურიზმის ერა ჩვენი პლანეტის მილიონობით მაცხოვრებლებისათვის. თურიზმმა განვითარების

მეტ აქტიურობას მიაღწია XX საუკუნის მეორე ნახევარში მმლავრი სამგზავრო საპატიო დაინირების შექმნით, რომელსაც შეუძლია განახორციელოს მასშტაბური გადაზიდვები ოკეანებს შორის.

დღეისათვის ტურიზმი გახდა მასობრივი მოვლენა და ტურისტულ მოგზაურობაში მონაწილეობა რაოდენობაში 2 მლრდ-ს აღწევს (WTO).

ტურისტის მიზანია უმოკლე დროში ჩავიდეს მოგზაურობის ადგილას თუ ქვეყანაში და დაასრულოს ეს მოგზაურობა ადნიშნულ ტურისტულ ცენტრსა თუ რეგიონში, ამასთან, გადაადგილების მთავარი ეტაპი მინიმიზებული უნდა იყოს დროში. გამონაკლისია ისეთი ტურისტული პროგრამები, სადაც გადაადგილება არის ტურის ნაწილი, რადგან ტურისტი ცხოვრობს და იკვებება სატრანსპორტო საშუალებაში (ავტობუსში, რკინიგზის ვაგონში, კომფორტაბელურ საზღვაო ან სამდინარო ლაინერებში).

საერთაშორისო ტურისტულ მარშრუტებზე გადაყვანის ეტაპი მოიცავს რამდენიმე სხვადასხვა პროცეს, კერძოდ, მას ჩვეულებრივად თანსდევს საბაჟო, სასაზღვრო, ფისკალური და სანიტარული ფორმალობები, ამ ეტაპზე შიძლება ადგილი ქონდეს გარკვეულ დისკომფორტს, რომელიც დაკავშირებულია ბარგის გადატანასთან, ტრანსპორტში მოუხერხებელ ჯდომასთან; უზვეულო პირობები ხშირად იწვევს გართულებებს ფრენისას, დაჯდომისას, რევენებისას და სხვა შედეგების გამო; ეს კი, უარყოფითად მოქმედებს მგზავრის ჯანმრთელობაზე ყოველივე ამის გამო ტურისტი ისწრაფვის მინიმუმამდე დაიყვანოს გადაადგილების დრო განსაზღვრული კომფორტისა და დანახარჯების ადექვატურობის შესაბამისად.

მაშასადამე მოგზაურობასი გადაყვანის ეტაპი აუცილებელი რეალობაა და ჩვენი მიზანია მისი ეფექტური ხერხებითა და მეოდებით გადაწყვეტა. ე.ი. რაც მომგებიანი აღმჩნდება, როგორც ტურისტისტვის ასევე ტურისტული ბიზნესისთვის.

## 1. მგზავრთა გადაყვანა - ტურისტული პროდუქტის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი

. ტურისტული პროდუქტი არის ის, რისი შეთავაზებაც შეუძლია ტურისტისათვის ტურისტულ ცენტრს მოგზაურობის მიზნიდან გამომდინარე. ტურისტული პროდუქტი ძირითადად ეფუძნება დანიშნულების ადგილის – დესტინაციის ტურისტულ რესურსებს – ბუნებრივ-კლიმატურ, ისტორიულ, სოციალურ-კულტურულ, სამუცნიერო-ტექნიკურ და სხვას, რომელსაც შეუძლია დააკმაყოფილოს ტურისტის მოთხოვნილებანი მოგზაურობის პროცესში. არსებულმა რესურსებმა ტურისტული ხასიათი რომ შეიძინოს, უნდა გვქონდეს ცოდნის მოწესრიგებული სისტემა და ტურიზმის სფეროში მომსახურების გაწვევის პროცესითა და საჭიროა აგრეთვე ტურისტული ინდუსტრიის საწარმოთა სისტემა და სხვა საზოგადოებრივ სოციალური და პოლიტიკურ-ეკონომიკური პირობები, რომელიც განსაზღვრავს რესურსების ხელმისაწვდომობას და საზოგადოებისაგან მის მოთხოვნას. ჩამოთვლილი წყაროები წარმოქმნიან ურთიერთობათა მოწესრიგებულ სტრუქტურას, რომლებიც ურთიერთდაკავშირებულნი არიან და ცალკე არსებობისას ისინი ტურისტულ პროდუქტს არ ქმნიან.

ტურისტი მოხმარებულ ტურისტულ პროდუქტისთვის იხდის ფულს, ე.ი. ამ შემთხვევაში ადგილი აქვს ფინანსურ ნაკადებს, მათ შორის უცხოური თუ ეროვნული ვალუტის რეალურ ფულად მასას. ტურისტების მომსახურება დესტინაციის ადგილობროვ მოსახლეობას უზრუნველყოფს სამუშაო ადგილით, რაც თავის მხრივ ავსებს ეროვნულ ბიუჯეტს.

ამრიგად, ტურისტული პროდუქტი ეს არის როგორიცაც კომპლექსი, რომელიც მოიცავს:

- ტურისტულ მომსახურებას, რომელსაც ეწვეიან ტურინდუსტრიის საწარმოები;
- სამუშაოს, რომელიც ხელს უწყობს და თან სდევს მომსახურების მოხმარებას;
- საქონელს (პროდუქცია).

მომსახურების, სამუშაოს და საქონლის კველა ეს კატეგორია შეიძლება ჩართული იქნას ტურისტების შემადგენლობაში და გადახდილი იქნას ტურისტის მიერ წინასწარ, აგრეთვე შეიძლება დაიჯავშნოს და ტურისტის მიერ გადახდილი იქნას ადგილზე. მომსახურების, სამუშაოს და საქონლის მნიშვნელოვანი ნაწილი ტურისტის მიერ შეიძლება შეძენილ იქნეს დესტინაციაში დამოუკიდებლად, თავის შესედულებისამებრ.

მივაკუთვნოთ თუ არა საწარმო ტიპურ ტურისტულ თუ არატიპურს, წყდება საკმაოდ მარტივად. საწარმო მიეკუთვნება ტიპურ ტურსააწარმოს კატეგორიას თუ იგი ესადაგება ტურინდუსტრიის საწარმოს განსაზღვრებას და მისი საქმიანობა ტურისტთა მომსახურებაში შეადგენს სამუშაოთა მთელი მოცულობის არანაკლებ 60%-ს. სხვა მონათესავე საწარმოები ემსახურებიან მოსახლეობის სხვა კატეგორიას, მათ შორის ტურისტებსაც და ექსურსანტებსაც (10-12% სამუშაოთა მოცულობისა). ე. ტურისტული პროდუქტის გენერაციაში თითოეული მონაწილე ქმნის შესაბამისი დონის პროდუქტის თავის ელემენტს.

შეიძლება გამოვყოთ ტურისტული პროდუქტი:

- ტუროპერატორის, ტურსააგენტოს;
- დანიშნულების ადგილის;
- ტურისტული რეგიონის ან ქვეყნის.

მაგ., ქართველი ტურისტი კონკრეტული ფირმისგან შეიძენს საგზურს სანკტ-პეტერბურგის ტურზე, გადაიხდის მგზავრობის, განთავსების, კვების და საექსურსიო მომსახურებისათვის, მუზეუმებში, კინოში, კაზინოში და ა.შ. შესვლისათვის, მაგრამ სანკტ-პეტერბურგის მირითად დირსებული მინიჭირებს, მისი არქიტექტურული ანსამბლების იერსახეს, მდინარეებს, არხებს, “თეთრ დამუებს”, ნევაზე ხიდების აკაციას იგი დაინახავს ზოგადიდ როგორც დესტინაციის პროდუქტს.

სხვადასხვა დონის ტურპროდუქტის გენერაციის პროცესში მონაწილეობენ ტურისტულ ცენტრის სხვადასხვა საწარმოები და ადმინისტრაცია. ეს თეზისი გარკვეულწილად ხსნის ტურისტული პროდუქტის ეკონომიკურ არსებ და მისი ცალკეული ელემენტებისა და მოვლენების ეფექტიანობას. ტურისტული ფირმა ასრულებს მხოლოდ დესტინაციამდე ტურისტის გამცილებლისა და ტურპროდუქტის მხოლოდ ნაწილის მოხმარების ორგანიზაციორის როლს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დაგასკვნათ, რომ ტურისტული ინდუსტრია არის სხვადასხვა საწარმოთა და მეწარმეთა ურთიერთდამოკიდებული სისტემა, რომელიც ტურისტებს უზრუნველყოფს ყველა აუცილებელი ტურისტული მომსახურებით, საქონლითა და სამუშაოთი. მსოფლიოში მასობრივი ტურიზმის ინტენსიურმა განვითარებამ შესაბამისად გამოიწვია ტურინდუსტრიის მომიჯნავე დარგების, მეცნიერების, კულტურის და განათლების სისტემის ადექვატური განვითარება. აქედან გამომდინარე, ტურისტული ინდუსტრია წარმოადგენს სატრანსპორტო საშუალებების, განთავსების, საზოგადოებრივი (მასობრივი) კვების, გართობის, სპორტული, სამკურნალო, რელიგიურ-საკულტო, შემცნებითი, საქმიანი და სხვა დანიშნულების ორგანიზაციების, ტუროპერატურული და სააგენტო საქმიანობით დაკავებული და ასევე ტურისტულ-საექსკურსიო და გიდ-თარჯიმნების მომსახურების მომწოდებელი ორგანიზაციების ერთობლიობას. აუცილებელია, რომ ყველა ეს ორგანიზაცია პარმონიულად ავსებდეს ერთიმეორეს და მომხმარებლისათვის ყველა საჭირო მომსახურებას ახორციელებდეს რაოდენობრივი, ხარისხის და ტურიზმის ცალკეული მომსახურების სახეების მიხედვით.

## 2.სატრანსპორტო საშუალებების სახეები და მათი მახასიათებლები

გადაეყანის სისტემა, ტურისტების ქვეითი გადაადგილების გამოკლებით, განისაზღვრება ტექნიკური პროგრესის დონით და მოხმარების საფუძვლზე სტაბილურად მიმდინარეობს მისი ფორმირება. გადაეყანის სხვადასხვა საშუალებები შეიძლება დაჯგუფდეს შემდეგნაირად:

- ცხოველების – სპილოები, აქლემები, ცხენები, ვირები, ძაღლები;
- გადაადგილების სახმელეთო მექანიკური საშუალებები (ველოსიპედი, მანქანა, ავტობუსი, რეინიგზა);
- გადაადგილების საჰაერო საშუალებები;
- წყლის ტრანსპორტი – ნავები, ტივები, მდინარის, საზღვაო წყლის ზედა და წყალქვეშა ხომალდები; დღეს, ცივილიზებულმა ქვექნებმა განავითარებს ჩქაროსნული მატარებლები (სიჩქარე 360 კმ. სო-ში), რომლებიც ზოგიერთი მიმართულებით გარკვეულ კონკურენციას ავიაციასაც უწევენ. პირველი ასი წყლი, ტურიზმი მირითადად გადაევანის სარკინიგზო და საზღვაო საშუალებებს ემყარებოდა (მაგ., თომას კუპი).

XX საუკუნის შუა პერიოდში ტექნიკური პროგრესმა შესაძლებელი გახადა საპარტო გადაეყანები განხორციელებულიყო თანამედროვე ავიალაინერებით, რომლებიც 300 მგზავრს იტევს და დამატებითი გამართვის გარეშე ახორციელებენ 12 ათას კმ-ს. ზებგრიოთმა თვითმფრინავებმა მკვეთრად შეამცირა მანძილი კონტინენტებს შორის.

თუ საპარტო საშუალებები მომხმარებლებს 5 კლასის მომსახურებას სთავაზობს, მსხვილ საკრუიზო გემზე მომსახურების 14 კლასია. კლასების მიხედვით რანჟირება ანალოგიურია სარკინიგზო ვაგონებისთვის, ავტობუსებისთვისა და სახტუმროებისთვისაც.

### სატრანსპორტო საშუალებების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაცია

კატეგორიები	თანრიგები
-საპარტო ტრანსპორტი	<ol style="list-style-type: none"> <li>1. რეისები განრიგის მიხედვით;</li> <li>2. რეისები განრიგის გარეშე;</li> <li>3. სხვა საპარტო გადაზიდვები.</li> </ol>
-საწყალოსნო ტრანსპორტი	<ol style="list-style-type: none"> <li>1. სამგზავრო ხაზები და ტივები;</li> <li>2. კრუიზები;</li> <li>3. სხვა.</li> </ol>
-სახმელეთო ტრანსპორტი	<ol style="list-style-type: none"> <li>1. სარკინიგზო ტრანსპორტი;</li> <li>2. საერთაშორისო და საქალაქო ავტობუსები, საზოგადოებრივი ტრანსპორტი;</li> <li>3. კერძო ავტომანქანები 8 ადამიანის ტევადობით;</li> <li>4. საავტომობილო საშუალებების გაქირავებით;</li> <li>5. სახმელეთო ტრანსპორტის სხვა საშუალებები.</li> </ol>

ცხრილში აღნიშნული ტრანსპორტის სახეები მოცემულია ძალიან შექმნელად. თუ თითოეულ კატეგორიას უფრო ფართოდ წარმოვადგენთ, მაშინ:

- საპარტო ტრანსპორტი შედგება:
  - საპარტო ბურთებისა და დირიქაბლისაგან, პლანერებისა და დელტაპლანერებისაგან, პარაშუტებისაგან;
  - ვერტმფრენებისაგან;
  - მცირე ავიაციის ტვითმფრინავებისაგან, ჰიდროთვითმფრინავებისაგან, ფართოფიუზელაჟისა და ზებგერითი ოვითმფრინავებისაგან;
  - კოსმოსური პარატებისაგან.
- სამდინარო და საზღვაო ტრანსპორტი მოიცავს:
  - ტივებს და სანიჩონსნო ნავებს;
  - იალქნიან გემებს;
  - მცირე ფლოტის ნავებს და გემებს შექანიკური მართვით;
  - სამდინარო და საზღვაო გემებს;
  - გემებს საპარტო ბალიშებზე;
  - წყალქვეშა ნავებს (გემებს).

მგზავრთა გადაყვანის ყველა სახეს და ქვესახეს აქვს მათი გამოყენების მრავალი ვარიანტი და რეალიზაციის ტექნიკური საშუალება.

ტრანსპორტის თითოეულ სახეს გააჩნია თავისი ისტორია, ჩამოყალიბების ეტაპები და განვითარების ხეობები, მეოთხები, აპარატებისა და საშუალებების კონსტრუქციები. გადაადგილების სახე და საშუალება შეირჩევა და გამოიყენება აუცილებლობისა და რაციონალურობიდან გამომდინარე, გაითვალისწინება გარემო პირობების თავისებურებები, ადგილის რელიეფი, კლიმატური პირობები, მიზნები და დანიშნულება, სიჩქარე და მგზავრთა ტევადობა, აგრეთვე მომხმარებელთა გადახდის უნარიანობის დონე.

ამჟამად ტურისტებისა და მგზავრთა გადაყვანები მსოფლიოში მნიშვნელოვანწილად დაახლოებულია და სატრანსპორტო სახეების მიხედვით 40%-ზე მეტი მოდის საავტომობილო ტრანსპორტზე, 45%-მდე – საპარტო ტრანსპორტზე, სარკინიგზოზე – 7% და საზღვაო სამდინარო ტრანსპორტზე – 8%.

## .სატრანსპორტო საშუალებების შერჩევა

ნორმალური ადამიანისათვის ყოველდღიური გადაადგილებისაგან განსხვავებით, ყოველი მნიშვნელოვანი გადაადგილება სერიოზული მორალური და ფიზიკური დატვირთვაა. ეს ყველასათვის უჩვეულოა გარდა მოსახლეობის იმ მცირე ჯგუფებისათვის, რომლებიც კეთილგანწყობილი არიან გადაყვანისა და გადაადგილებისადმი ცხოვრების წესიდან ან საქმიანობიდან გამომდინარე. ასეთ კატეგორიას მიეკუთვნებიან: კომივოიაჟერები, სატრანსპორტო სფეროს მუშაქები - მძღოლები, პილოტები, ბორტგამცილებლები და სხვა პერსონალი, რომელიც მიეკუთვნება **crew**-ს კატეგორიას.

გადაადგილების შერჩევისას ტურისტისათვის მთავარია:

- მოგზაურობის მთავარი და თანამდევი მიზნები;
- დესტინაციის მიმართულება და ადგილმდებარეობა.  
ალტერნატიული ვარიანტის შერჩევისას მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ისეთი ფაქტორები, როგორიცაა:
- სეზონურობა;
- დანიშნულების ადგილას დროულად მიყვანა (და არა სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის სიჩქარე);
- კომფორტულობა, ინფორმატიულობა (ფანჯარასთან ჯდომა და ყურება, რაც მგზავრობასთან ერთად ინფორმაციის მიღების საშუალებას იძლევა და სხვა);
- უსაფრთხოება;
- ბარგის არსებობა;
- მომსმარებლის გადახდისუნარიანობა.

არანაკლები მნიშვნელობა აქვს მოგზაურის ფიზიკურ მდგომარეობას, მის ასაკს, შესაძლებლობას, რომ გადაიტანოს სპეციფიკური დატვირთვა. როგორც წესი, ყოველი მოგზაურობისას გამოიყენება გადაადგილების სხვადასხვა სახე, განსაკუთრებით, შორეულ მანძილზე ან ადგილის რთული რელიეფის პირობებში, წყლის სივრცეების გადალახვისას, ქალაქებში გადაადგილებისას და სხვა.

გერმანიაში, გადაადგილების საშუალებების შერჩევისას, ტურისტებისათვის ხელსაყრელია ჩქაროსნული რკინიგზით გადაადგილება, ვიდრე ავტობუსით ჩქაროსნულ ავტომაგისტრალზე. ავტობანი ხშირად გვერდებზე შემოსაზღვრულია 3-5 მეტრის საფარით და ტურისტი გარდა ამ ღობისა და ოთხ რიგად მოხსმაურე ავტომანქანებისა და დიდი სიჩქარისა, ვერაფერს ხედავს. ჩქაროსნული მატარებელი კი მათ სთვაზობს ვაგონში სიმჭუდროვეს და მეტის დანახვის შესაძლებლობას (მიუხედავად სუპერექსპრესის დიდი სიჩქარისა – 250 კმ სთ-ში).

გამოყენებული სატრანსპორტო სახეებიდან შიძლება ბევრისთვის ოპტიმალური ვარიანტი იყო მოგზაურობა რკინიგზით. მგზავრი ჯდება მატარებელში ერთი რომელიმე ქალაქის ცენტრში და ჩადის სხვაგან ისევ ქალაქის ცენტრში. რკინიგზის სადგურებთანაა მეტროსადგური, ტრამვაი, ტაქსი, რომელიც საშუალებას იძლევა სწრაფად მივიდეს მგზავრი დანიშნულების ადგილას.

შეიძლება არჩეულ იქნას მოგზაურობა თვითმფრინავით. ბუნებრივია, თვითმფრინავის მოძრაობის სიჩქარე შეუდარებლად მაღალია, მაგრამ აეროპორტიდან დანიშნულების ადგილას მისვლამდე კიდევ დამატებითი დრო საჭირო, თანაც უნდა გავითვალისწინოთ საცობები გზაში, აგრეთვე აეროპორტებში მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომის პროცედურები და რეგისტრაციაში გატარების დრო, რომელიც რამდენიმე საათს მოიცავს. მოკლე მანძილზე ფრენისას დროში მოგება მინიმალურია, მაგრამ შორ მანძილზე საჟარო გადაადგილებაში თვითმფრინავს მეტოქობას ვერცერთი ტრანსპორტი ვერ უწევს.

ანალოგური სიტუაცია წარმოიქმნება მაგ., პარიზიდან ლონდონში გადასაადგილებელი საშუალების შერჩევისას. სუპერჩაროსნული ექსპრესი **Euro Star**-ი, რომელიც მიემგზავრება ლა-მანშის სრუტის ევროგვირაბით, სერიოზულ კონკურენციას უწევს საპარტო გადაყვანებს ამ მარშრუტზე. ამავე დროს მოგზაურობის დრო რკინიგზით მატარებელ **Euro Star**-ით შეადგენს მხოლოდ 3 საათს.

მოკლე მანძილზე მომგებიანია გადაადგილება ფეხით ან ველოსიპედით. 5-დან 500 კმ-ის მანძილზე უფრო რაციონალურია გამოყენებული იქნას სააგრომობილო სახის ტრანსპორტი, 30-დან 1500 კმ-ზე – სარკინიგზო ტრანსპორტი, ხოლო ავიაცია არაენტაბელურია 500 კმ-ზე ნაკლებ მანძილზე.

გადაზიდვების უფექტიანობისა და დროის გონივრული შერჩევის უფექტიანობაზე შეფასების მსჯელობისას დაცული უნდა იქნას პრინციპი - „გახსნია სად, როდის, რატომ და რამდენი“. ზოგიერთ ადგილებში არ არის სატრანსპორტო საშუალებების აღტერნატიული სახის არჩევის საშუალება. იმიერკოლარეთის ბევრ ადგილას გზები არ არსებობს, საწყლოსნო ტრანსპორტის გამოყენება შეუძლებელია ყინულების გამო, ამიტომ გამოიყენება ან ვერტმფრენი, ან მცირე ავიაცია, ან ადგილობრივი გადასაადგილებელი საშუალებები – ირმებით ან ძალებით, ან თუ მდებარეობა ხელს უწყობს – უკელგან-მავლებით და საჰაერო ბალიშების გამოყენებულ სატრანსპორტო საშუალებებით.

აშშ-ში მდლავრადა განვითარებული ავტომობილით ტკირთების გადაზიდვა და მგზავრთა გადაყვანა. ეს ქვეყანა არსებითად ავტომობილის სამშობლოა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან შედარებით უფრო მეტად არის ავტომატიზირებული. საშუალოდ თითოეულ ოჯახზე მოდის ორი მსუბუქი ავტომობილი. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ აშშ-ში ჩასულმა ემიგრანტებმა თავდაპირველად უნდა მიიღონ მართვის მოწმობა, შემდეგ უნდა ეძებონ სამუშაო. სულ ქვეყანაში 6 მლნ. კმ-ი საავტომობილო გზაა, მათგან 67500 კმ-ი მიეცუთვნება საგზატკეცილო გზების განრიგის მქონე საგზაო ქსელს, რომელიც მთავარ ქალაქებს აერთიანებს. ეს არის ორ და ოთხზოლიანი გზატკეცილები შესანიშნავი ასფალტის საფარით. ამ გზების საშუალებით ხდება აშშ-ს ყველა სააგრომობილო გადაზიდვების 20%. გზების ნაწილი, დაახლოებით 7500 კმ-ი წარმოადგენს ფასიანს. ეს გზები კერძო კომპანიების კუთხით გადასაცემად არის მომზადებული 7500 კმ-ი მიმოხილვითი ფანჯრები. გათვალისწინებულია მომსახურების ორი კლასი (პირველი და მეორე – უფრო იაფი).

გეროპაში განვითარებულია სააგრომობილო და სარკინიგზო ტრანსპორტი. საფრანგეთსა და გერმანიაში სარკინიგზო მაგისტრალების მაღალი სიმჭიდროვეა. სულ გერმანიაში 2500 კეთილმოწყობილი სარკინიგზო სადგურია. გერმანიის რკინიგზას ყოველდღე გადასყავს 30 ათასი მგზავრი. სარკინიგზო ქსელი აერთიანებს ქვეყნის 50 ქალაქს. ჩქაროსნული მატარებლების მნიშვნელოვანი ნაწილი ძალიან კომფორტაბელურია, ვაგონები აღჭურვილია კონდიციონერებით, მგზავრთა მოხერხებულობისათვის ვაგონებს აქვთ დიდი მიმოხილვითი ფანჯრები. გათვალისწინებულია მომსახურების ორი კლასი (პირველი და მეორე – უფრო იაფი).

არის ქვეყნები, სადაც რკინიგზა საერთოდ არაა. ესენია: ავღანეთი, ბელიზი და სხვა ქვეყნები. ნორვეგიას უკავია სივრცე სენანდინავიის ნახევარკუნძულზე, სანაპიროს გასწვრივ მთიანი რელიეფითა და დრმა ხევებით, ამიტომ ქვეყანაში განვითარებულია მირითადად საჰაერო მიმოსვლა.

მგზავრთა და ტურისტთა გადაყვანის სისტემაში სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორია მოსახლეობის მობილურობა, რაც დამოკიდებულია ტრადიციებზე, ჩვევებზე და ცხოვრების სახეზე, მოსახლეობის გადახდისუნარიანობაზე და ქვეყნისა თუ რეგიონის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სიტუაციაზე.

### 3. მომსახურება მგზავრთა გადაყვანის პროცესი

დროის აქტიური ცვლილების პარალელურად, ჩნდება ტურისტული პროდუქტის გენერაციის ახალი მეთოდები და ხერხები, რომელიც ასუსტობებს დროისა და ტურისტების მოთხოვნილებებს და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის შესაძლებლობებს. ჩნდება აქამდე უცნობ ტექნიკურ საშუალებებსა და მეთოდებზე დაფუძნებული მომსახურების ახალი სახეები, ახალი ტურისტული მარშრუტები და ტურები.

ტურისტული მარშრუტი არის გეოგრაფიულდად განსაზღვრული გზა ტურისტთა ჯგუფის გადასაადგილებლად. მარშრუტი დეტალურად აღწერს ტურისტების გადაადგილებას, ითვალისწინებს გადაადგილების საშუალებას, გზას, ადგილობრივ რელიეფს, ქალაქების გეგმას, სასაზღვრო გადასასვლელებს და ა.შ. ცნობილია ტურისტული მარშრუტების უამრავი ვარიანტი ჩასვლის ადგილებში ტურისტთა გადაყვანის ორგანიზაციის თვალსაზრისით. მარშრუტი შეიძლება იყოს საზომიერო, წრიული, რადიალური გადაადგილებით და დესტინაციის მირითად წერტილში დაბრუნებით. ტურისტული მარშრუტის სხვადასხვა ეტაპებზე შეიძლება გამოყენებული იქნას გადაადგილების სხვადასხვა მეთოდები და საშუალებები.

**ტური** არის მომსახურების კომპლექსი (პაკეტი), დაკავშირებული ერთმანეთთან მოგზაურობის მიზნით, დროით და მომსახურების გაწევის თანმიმდევრობით, მოცულობით და ხარისხით.

ტურის ფორმირება, ტუროპერატორის საქმიანობის არსია. იგი ადგენს და გეგმავს ტურს, აფორმებს ხელშეკრულებებს (კონტრაქტებს) მომსახურების უშუალო შემსრულებლებთან ან სხვა ტუროპერატორებთან. ტური, ტუროპერატორის ძირითადი პროდუქტია, იგი წარმოადგენს დესტინაციის ტურპროდუქტის მომსახურების კომპლექსის ნაწილს. ტურპროდუქტის ელემენტის ნაწილი, რომელიც პირდაპირ არაა შესული ტურში, აღწერილია გზამკვლევებში და საინფორმაციო ბუკლეტებში.

ტუროპერატორი ახორციელებს თავისი ტურპროდუქტის წინწარვების საქმიანობას, მაგრამ ამავე დროს აუცილებლად ითვალისწინებს მთლიანად დესტინაციის ტურისტულ პროდუქტს. მაგ., საზღვაო კურორტების ტურებში ზღვა და პლიაჟი არ შედის ტურის შემადგენლობაში, იგი იგულისხმება როგორც ტურის ფარგლებს გარეთ არსებული, მაგრამ იყარაულება, რომ ტურისტი გამოიყენებს მზეს, პლიაჟის მომსახურებას, იძანვებს ზღვაში და ა.შ. ტურისტული პაკეტის დირექტულებაში ტურპროდუქტის ეს რესურსები ელემენტი არ შედის, მაგრამ მას შეუძლია გადამწყვები გავლენა მოახდინოს ტურის დირექტულებით მაჩვენებელზე – მაგალითად, სეზონურობის, კლიმატის, ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით.

ტუროპერატორის აუცილებელ საქმიანობაში შედის აგრეთვე ტურების საბითუმო გაყიდვა და მათი ორგანიზაციული შესრულება. ერთეული ტურისტული მომსახურებისა და ტურების საცალო გაყიდვა შედის ტურსაბაგენტობის ფუნქციაში.

საერთაშორისო ტურიზმთან დაკავშირებით სხვა კონტინენტზე, რეგიონში, ქვეყანაში მოგზაურობისას, გამოიყენება ცნება **Gateway** – ჭიშკარი. ეს არის სატრანსპორტო კვანძი, უფრო სწორად, აეროპორტი, საზღვაო პორტი, საკვანძო რკინიგზის სადგური, რომელთა საშუალებითაც დესტინაციაში ხორციელდება ძირითადი შემსვლელი და გამომსვლელი ტურისტული ნაკადები. დიდი ბრიტანეთისათვის ეს არის ლონდონი და მისი სამი აეროპორტი: ჰიტროუ, რომელიც ევროპაში უდიდესია, გარვიყი, სტენლი. საფრანგეთში ეს არის პარიზი და აეროპორტი თრლი, აშშ-ს აღმოსავლეთ სანაპიროზე – ნიუ-იორკი, დასავლეთ სანაპიროზე – სან-ფრანცისკო და ლოს-ანჯელესი.

**ტურისტული მომსახურება** მოიცავს: მომავალი მომსახურების დაჯავშნას გადაყვანის (ტრანსპორტირების) და განთავსების ჩათვლით, სავიზო დოკუმენტების გაფორმებას და სხვა ფორმალობებს, ტრანსფერს შესვედრებისას და გაცილებისას, კვებას, ექსკურსიებს და ატრაქციებს (ტურისტული ჩვენების ობიექტები და გართობა), სამედიცინო მომსახურებას და დაზღვევას, გიდ-თარჯიმნების მომსახურებას და მომსახურების სხვა სახეებს. აღსანიშნავია, რომ ყოველი ტურის მომსახურებათა ნუსხა ერთიმეორისგან განსხვავდება ცალკეული პროგრამებიდან გამომდინარე. ამასთან, მომსახურების ყოველი სახეობა კიდევ მრავალ შემადგენელ ელემენტს მოიცავს.

ტურიზმში მომსახურების პაკეტი აუცილებლად უნდა მოიცავდეს მგზავრის გადაყვანას და დამისთევას (განთავსება). ტურიზმის ორგანიზატორები ცდილობენ მომსახურების ძირითადი პაკეტი უფრო მრავალფეროვანი გახსადონ და ამავე დროს შესთავაზონ დამატებითი მომსახურება. ამ დროს აუცილებელია გათვალისწინებული იქნას ყველა ეროვნების ტურისტისათვის დამახასიათებელი მენტალიტეტისა და ქვევის ფაქტორები. აღსანიშნავია ისიც, რომ ტურისტი მოგზაურობის დროს გაცილებით დიდ თანხას ხარჯავს, ვიდრე წვეულებრივი ცხოვრების პირობებში. საერთაშორისო სტატისტიკის მიხედვით ტურისტები, საზღვარგარეთ ყოფნისას, კვირაში საშუალოდ 600 აშშ დოლარს ხარჯავენ.

### მგზავრთა გადაყვანის ეტაპები

**ტურისტების გადაყვანის მომსახურება** ერთი ქვენიდან მეორეში, რამდენიმე ეტაპისაგან შედგება. პირველი ესაა ტრანსფერი, კ.ი. ტურისტების გადაყვანა ჯგუფის შეკრების ადგილიდან ძირითადი გადამყვანის ტერმინალამდე (სარკინიგზო სადგური, აეროპორტი, სამდინარო თუ საზღვაო ნავსადგური) და დანიშნულების ადგილიდან სასტუმრომდე, კურორტამდე და ა.შ.

მეორე, გადაყვანის ძირითადი ეტაპი გულისხმობს ტურისტის გადაყვანას თავისი მუდმივი საცხოვრებლიდან დანიშნულების ადგილას (სხვა ქვეყანაში, ადგილას, კურორტზე ან ტურისტულ ცენტრში).

გადაყვანის ეტაპის ეფექტიანობა განისაზღვრება ტექნიკური პროგრესით. მაგ., ორთქმავლის გამოგონებამ და XIX საუკუნეში რკინიგზის მშენებლობამ კაცობრიობას უდიდესი სტიმული მისცა.

ტრანსპორტის ცალკეული სახეებისა და მასიური ტურიზმის განვითარებისათვის რეინიგზის საშუალებით პირველად გახდა შესაძლებელი დაბალ ფასად ხალხის მასიური და სწრაფი გადაადგილება.

- ტრანსფერი, რომელიც უფრო ხშირად ავტობუსის ან მსუბუქი ავტომობილის საშუალებით ხორციელდება და ითვალისწინებს ტურისტების მიყვანას ძირითად გადამყვანამდე, აეროპორტის ტერმინალიდან სასტუმრომდე და სხვა ოპერაციებს, რომელიც ტურისტების სამშობლოში დაბრუნებას უკავშირდება;
- ტურისტთა გადაყვანა დანიშნულების აღილიდან შორ მანძილზე;
- გადაყვანები ავტობუსებისა და სარკინიგზო ტურებზე ისეთი მარშრუტით, სადაც გადაყვანის ეტაპი საქატრივ ტურის ძირითად ელემენტად გვევლინება, გადაყვანის საშუალება კი ხშირად დამის გასათვევ ადგილს წარმოადგენს (საკრუიზო მარშრუტები);
- გადაყვანა საექსკურსით მარშრუტზე, ქალაქის ფარგლებში, თემატურ პარკებში და ა.შ.;
- სატვირთო გადაზიდვები შოპინ-ტურებისათვის.

**საათობრივი სარტყელი და ადგილობრივი დრო.** აქვე გვერდს ვერ აფულით იმ მეტად მნიშვნელოვან მომენტს, როგორიცაა საათობრივი სარტყელი და ადგილობრივი დრო, რომელიც სატრანსპორტო რეჟიმის სრულყოფისათვის და ტურისტული მარშრუტის დასაგეგმად აუცილებლად გათვალისწინებულ უნდა იქნას თოთოვეული ქვეყნის ტურსაჭარმოს მიერ. ყველასათვის ცნობილია, რომ მზის სისტემისა და პლანეტარული წევბის თავისებურებების გავლენით, დედამიწა ბრუნვას მზის გარშემო. ამასთან, დედამიწის ბრუნვა დერძის ირგვლივ და მზესთან მიმართებაში, პლანეტის ზედაპირზე იწვევს ადგილობრივი დროის ცვლილებებს და დფესა და დამის ცვლას. დედამიწის მთელი ზედაპირი პირობითად დაყოფილია 24 საათობრივ სარტყელად. თოთოვეული საათობრივი ზონის სიგანგ 15 გრადუსის ხანგრძლივობისაა. ტერმინი **Universal time – UT**, 1928წ. შემოიდეს ასტრონომებმა. დროის ეს შეალა - **UT2** ეფუძნება გრინვიჩის მერიდიანიდან მზის დროის ათვლას. 1964წ. აღნიშნული შეალა აღიარეს და შემოიდეს ცნება **Coordinated Universal Time – UTC**. საერთაშორისო შეთანხმების შესაბამისად ნულოვანი მერიდიანი **zero meridian**-ი გადის ქ. გრინვიჩზე ინგლისში (ლონდონის გარეუბანში). დროს ამ საათობრივ სარტყელს უწოდებენ – გრინვიჩის მიხედვით საშუალოს. საათობრივი სარტყელები მხოლოდ პირობითად გადიან მერიდიანებზე. დეალურად, ქვეყნები ადგენენ საათობრივი სარტყელის საზღვრებს ადმინისტრაციული ტერიტორიების საზღვრების აღქვაბურად.

ქვეყანათმცოდნების ან ტურისტულ ლიტერატურაში ტრანსპორტის მოძრაობის განრიგებში შეიძლება შევხვდეთ სხვადასხვანაირ ტერმინებს ადგილობრივი და სტანდარტული დროის განსასაზღვრად. მაგალითად:

- **Atlantic Standard Time (New York)** – სტანდარტული ატლანტიკური დრო (ნიუ-იორკი, აშშ);
- **Bering Daylight Time** – საათობრივი დროის სარტყელი მერიდიანზე, რომელიც გადის ბერინგის სრუბეში;
- **British Summer Time** – ბრიტანული ზაფხული დრო;
- **Central Winter Time** – ცენტრალური ამერიკული ზამთრის დრო და მრავალი სხვა.

საერთაშორისო ტურიზმში ადგილობრივი დრო **local time** ჩვეულებრივად მიუთითებს ათვლას გრინვიჩიდან. დგილობრივი დროის ცოდნა აუცილებელია ტურის დასაგეგმად, დესტინაციაში ჩამოსვლის ან იქიდან წასვლის დროს, ტურისტების აკლიმატიზაციისათვის დროის სარტყელის მნიშვნელოვანი სხვაობის გამო. თვითმფრინავის (ან სხვა სატრანსპორტო საშუალების) გაფრენისა და ჩამოფრენისას მიეთითება ადგილობრივი დრო. დიდ სიძნელებს იწვევს დროის აღრიცხვა შორეულ მანძილზე გადაფრენისას. მაგალითად, აზიიდან ამერიკაში.

ზოგიერთ ქვეყანაში შემოაქვთ ადგილობრივი სტანდარტული დროის რეგულირება სახელწოდებით: **Daylight Saving Time – DST** – ელექტროენერგიის ეკონომის მიზნით დროის სეზონური გადაწევა. ევროპის ქვეყნებში სეზონური დროის გადაწევა ჩვეულებრივად ხდება მარტში და სექტემბერში ერთი საათით. ეს აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული ტურისტული მარშრუტის დაგეგმვისას, ტურისტული ჯგუფის ჩასვლისა და გამგზავრების დროის საუწყებლად.

დროში სხვაობა გათვალისწინებული უნდა იქნას თარიღის განსაზღვრისთვისაც კი. წყნარ ოქანეში 180 გრადუსზე გადის მერიდიანი, რომლის მიხედვითაც მიღებულია თარიღის შეცვლის საერთაშორისო

**ხაზი – International Date Line.** მოგზაურებით, რომლებიც გადაკვეთენ ამ მერიდიანს დასავლეთის მიმართულებით **westward**, ამატებენ ერთ კალენდარულ დღეს; ხოლო მოგზაურები, რომლებიც მიემართებიან აღმოსავლეთის მიმართულებით **eastward**, კარგავენ ერთ კალენდარულ დღეს.

დროითი შეალედებისა და მანძილის აღსანიშნავად გადამყვანთა ტერმინოლოგიის პრაქტიკაში შეიძლება გამოყენებულ იქნას შემდეგი ტერმინები:

- **Day** – დღე, დღის დრო, დღე-დამკ.
- **About day** – ერთი დღის მერქ;
- **In day out** – მთელი დღა;
- **Day off** – გამოსახვლელი დღე;
- **All day** – მთელი დღე;
- **Astronomical day or nautical day** – ასტრონომიული დღო, რომელიც აღირიცხება დღის 12 საათიდან;
- **Before day** – განთიადამდე;
- **Even days** – ლუწი დღეები;
- **Mid week** – კვირის შუა (ოთხშაბათი);
- **Midsummer** – ზაფხულის შუასანი და სხვა.

### ტრანსპორტის როლი ტურიზმსა და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში

ბუნებრივია, რომ სატრანსპორტო საშეალებებისა და გადაზიდვების განვითარება დიდ გავლენას ახდენს სახოგადოების განვითარებაზე. ამ დროს აქტიურდება საკომუნიკაციო კავშირები, წარმოება, მეურნეობის ყველა დარგის ინტენსიფიკაცია, იქმნება სამუშაო ადგილები, იზრდება საფნანო სახსრების მუდრიდიგაციის უფლების გაფართოება და მოსახლეობისა და ტურიზმის განვითარების მობილურობა.

ტრანსპორტს უკავია მნიშვნელოვანი ადგილი ტურისტული პროდუქტის შემადგენლობაში და მოაქვს დიდი შემოსავალი თოთოვეული ქვეყნისათვის.

საქართველოში 2018 წელს ტურიზმის სექტორში დამატებული დირებულება ძირითადად შეიქმნა ტურისტულ კომპანიებში (+30.1%), საიდანაც ყველაზე დიდი წილი ტრანსპორტზე მოდის (საბაზო ტრანსპორტის ზრდა +43.8%, სხვა ტრანსპორტი ზრდა +17.7%), კვების საშეალებებში (+16.3%) და განთავსების საშეალებებში (+12.4%).

თავისთავად, გზების მჭიდრო ქსელის შექმნა ზრდის ქვეყნებს შორის და თვით ქვეყნის შიგნითაც ეკონომიკური და კომუნიკაციური კავშირების გაფართოების შესაძლებლობას, ხელს უწყობს საგზაო მშენებლობის ინდუსტრიის განვითარებას და მის ექსპლოატაციას, ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს. გზები აკავშირებენ ქალქებსა და დასახლებულ პუნქტებს, ზრდის რეგიონების მართვის ოპერატიულობას, რაც მნიშვნელოვანია სახელმწიფოსათვის, ამაღლებს ტურისტული რეგიონებისა და ტურობიერების ხელმისაწვდომობას, ხელს უწყობს ტურისტული ნაკადების მოზიდვას რეგიონსა თუ დესტინაციაში. ამასთან, გზების შექმნისას გაითვალისწინება სამხედრო სტრატეგიული, სამოქალაქო დაცვისა და ეკონომიკის მიზნები.

გადაადგილების განხორციელებისას, **ტრანსპორტის სახესთან დამოკიდებულებაში აქტიურდება ტრანზიტის როლი** (შესაძლოა მოკლევადიანი განერებები, მოცემული ქვეყნის კანონმდებლობიდან გამომდინარე ტრანზიტის შესახებ). განსაკუთრებით მკეთრად ვლინდება ტრანზიტის გავლენა საავტომობილო გზებზე, რომელიც გადის დასახლებულ პუნქტებზე. შატრანზიტო მოძრაობის ინტენსიფიკაციასთან ერთად იზრდება ტრანზიტის მნიშვნელობა ადგილობრივი მოსახლეობისათვის, ესაა: სხვადასხვა ინფორმაციის მიღება, საქონლის ყიდვა-გაყიდვის შესაძლებლობა, გზისაირა ინდუსტრიის შექმნა (მოტელების, მაღაზიების, კვების პუნქტების, მომსახურების სადგურების და სხვ.). ყველა ერთად ახდენს სამუშაო ადგილების გენერირებას და ფულადი სახსრების მოზიდვას.

ამავე დროს ტრანსპორტის ტექნიკური საშეალებები თანდათანობით ვთარდება. განსაკუთრებით აღინიშნება უკანასკნელი ორი ასწლეული, რომლის დროსაც:

- გაიზარდა გადაადგილების სიჩქარე და შემცირდა მოგზაურობის დრო;

- გაიზარდა მგზავრთა გადაყვანის უსაფრთხოება;
- ამაღლდა მოგზაურობის კომფორტულობა;
- შემოვიდა მომსახურება კლასების მიხედვით ავტობუსებზე, რკინიგზით, თვითმფრინავზე, საწყლოსნო ტრანსპორტზე;
- გაიზარდა სატრანსპორტო ერთეულზე მგზავრთა ტეგადობა (ავტობუსში 70 კაცამდე, რკინიგზის მატარებელში – 1500 კაცამდე, თვითმფრინავში – 300-500 კაცი, საზღვაო გემზე – 2500-3500 კაცი, სამდინარო გემზე – 300-500 კაცი);
- მასობრიობის ზრდასთან ერთად გაიაფდა გადაყვანის დირებულება;
- შეიქმნა ახალი, მათ შორის ჩერიოსნული სატრანსპორტო მაგისტრალები.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, სამოქალაქო ავიაციის ბევრ თვითმფრინავს აქვს მხებავი პროტოტიპი, რომელიც გამოიყენება სამხედრო მიზნებისათვის. ცნობილი სამგზავრო თვითმფრინავი - **Boeing**-ი ეს არის მძლავრი ბომბადმშენის სამოქალაქო ვარიანტი.

როგორც ზემოთაც აღინიშნა, მოსახლეობის მიღრეკილება და შესაძლებლობა გადაადგილებისადმი მნიშვნელოვნადაა განპირობებული გადახდისუნარიან მოთხოვნაზე, რომელიც პირდაპირ კავშირშია მოსახლეობის შემოსავლებთან. რაც უფრო უკეთესად ცხოვრობს მოსახლეობა, მით უფრო მეტი შესაძლებლობა აქვს გადასაადგილებლად.

მოსახლეობის ცხოვრების დონის მდგომარეობა და მისი გადახდისუნარიანობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს :

- მასობრივი ტურიზმის განვითარებაზე (დაშორებულ რეგიონებში);
- მოგზაურობის სიხშირესა და შორეული მოგზაურობის ზრდაზე;
- სამუშაო ადგილების შექმნაზე – ტრანსპორტისა და საგზაო ქსელების სისტემაში;
- მოსახლეობის მობილურობის ზრდაზე;
- ქალაქის მოსახლეობის ცხოვრების წესის შეცვლაზე (გადასახლება ქალაქებარეთ);
- ტურიზმის სფეროში აქტიურობის ზრდაზე – გამოსაშვებ დღეებში მოგზაურობაზე;
- მოსახლეობის ხელმისაწვდომობაზე კულტურულ ცენტრებთან და დედაქალაქებთან (ისტორიულ-კულტურული რესურსები, საქონელი, მომსახურება, განათლება, კულტურა).

როცა ტრანსპორტის განვითარების შესახებ ვლაპარაკობთ, უნდა აღვნიშნოთ ის ნეგატიური მოვლენებიც, რომელიც ამ დარგის განვითარებას თან სდევს ეკოლოგიური საშიშროების თვალსაზრისით. გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა ამ მხრივ პრიორიტეტული უნდა იყოს.

საქართველოს ქალაქებში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება გამოწვეულია შემდეგი ძირითადი მიზეზებით:

- ავტოსატრანსპორტო საშუალებათა უდიდეს ნაწილს შეადგენს სმოველებული მანქანები და უცხოეთიდან იმპორტირებული, ამორტიზირებული (საშუალო 10-15 წლის) ავტომობილები, რომელთაგან მავნე ნივთიერებათა გამონაბოლქების დონე მრავალჯერ აღემატება დასაშვებ ნორმებს. ავტომობილთა უმტკრებას არ გააჩნია კატალიზური გარღამძნელები. ბოლო წლებში საზოგადოებრივი ტრანსპორტის შემცირება ხელს უწყობს კერძო ავტოტრანსპორტის მზარდ გამოიყენებას, რაც ზრდის ტრანსპორტირების ერთეულზე (კაცი/კმ, ტ/კმ) გამონაბოლქების დონეს;
- ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის გამოიყენება დაბალი ხარისხის საწვავი, რაც იწვევს მავნე ნივთიერებათა მაღალი კონცენტრაციით ემისიას;
- გზების დაბალი ხარისხი და სატრანსპორტო საცობები ხელს უწყობს მავნე გამონაბოლქების ზრდას;
- საქართველო სატრანზიტო ქვეყანაა. სახმელეთო გზები გამოიყენება გადაზიდვებისათვის ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ და აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. ამასთან ამ გზების უმრავლესობა ქალაქებში გადის, რაც კიდევ უფრო აუარესებს აგმოსფერული ჰაერის ხარისხს;
- სატრანსპორტო საშუალებებიდან გამონაბოლქებზე კონტროლის სისტემა ცუდად არის განვითარებული და სუსტია სახელმწიფო კონტროლი;

## თემა II. საპარო ტრანსპორტი

- საპარო ტრანსპორტის სახეები;
- საპარო ფრენათა უფლებრივი ასპექტები და რეგულირება;
- მგზავრთა და ტურისტთა საპარო მომსახურება;
- ტრანზიტი, ჩარტერი და მგზავრთა გადაყვანის კომპლექსური მომსახურება;
- მგზავრთა მომსახურება თვითმფრინავის ბორტზე;
- აეროპორტების მომსახურეობები;

### 1. საპარო ტრანსპორტის სახეები და მათი განვითარების ისტორია

მგზავრთა საპარო გადაზიდვების ცნობილ საშუალებებიდან, განვიხილოთ ისინი, რომლებიც დაკავშირებულია ტურიზმთან და მოგზაურთა გადაყვანასთან. ესენია: საპარო ბურთები და დირიჟაბლები, პარაშუტი და დელტაპლანი, ვერტმფრენები და მგზავრთა გადასაყვანად განკუთვნილი, ყველა სახის თვითმფრინავი. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

#### • საპარო ბურთები და დირიჟაბლები

პირველი საპარო ბურთი შექმნეს მექანიკური მოგზაურების 1783 წელს საფრანგეთში. ამავე წელს მოხდა ადამიანების პირველი გაფრენა საპარო ბურთით.

თანდათანობით მნელადსამართავი საპარო ბურთები, რეკონსტრუირებულ იქნა და ასე შეიქმნა – დირიჟაბლი, მართვის როტონდი სისტემით.

დირიჟაბლების გენიალური კონსტრუქტორი გახდდათ ფერდინანდ ცეპელინი. რომელმაც დირიჟაბლზე მუშაობა დაიწეო 1871 წელს. მის მიერ შექმნილ ხომალდებს ცეპელინები ეწოდებოდა. ეს დირიჟაბლები საათში 130 კმ სიჩქარით მოძრაობდნენ. ყველაზე დიდი ხომალდის სიგრძე 245 მ, ხოლო სიგანე (დიამეტრი) 41 მ იყო. მას სიგარის ფორმა ჰქონდა, შექლით გადაყვანა 50 მგზავრი, ეკიპაჟიანად – 60 ადამიანი, გადაეტანა ტვირთი – 215 ტონამდე. 1910 წელს ცეპელინმა დააარსა კომპანია, რომელმაც 3 წლის განმავლობაში საპარო ხომალდებით 14 ათასზე მეტი მგზავრი გადაიყვანა. ამ ხომალდებმა დაფარეს 161 ათასი კმ სივრცე ავარიის გარეშე.

1919 წელს დირიჟაბლმა პირველად გადალახა ატლანტის ოკეანე, ხოლო 1929 წელს დირიჟაბლით „გრაფი ცეპელინი“ განხორციელდა უმაგალითო მოგზაურობა (გადაფრენა), დედამიწის გარშემო. გადაწყდა რეგულარული რეისების გაშვება დირიჟაბლებით ევროპიდან – ამერიკამდე, ატლანტის ოკეანეზე გადაფრენით. მაგრამ ძალიან ხშირი იყო ავარიები. მაგ., 1937 წელს აშშ-ში დირიჟაბლი *indenburg*-ი აფეთქდა აეროდრომზე. 97 მგზავრიდან დაიღუპა 35, დაიღუპა თვითონ კონსტრუქტორიც. 1935 წლიდან დიდი დირიჟაბლები უკვე აღარ შენდებოდა, მაგრამ მუშაობა მის სრულყოფილებაზე, დღესაც გრძელდება.

#### პლანერი, დელტაპლანი, პარაშუტი

იდეა, მიებაბა ჩიტებისთვის და ფრთხების საშუალებით გადაადგილებულიყო საპარო სივრცეში, ადამიანს უჟველესი დროიდან აღელვებდა.

ალბატროსმა, რომელიც საათობით მოძრაობს ჰაერში, უბიძგაურ ჟან მარია ლე ბრის (Jean Marie Le Bris) შეიქმნა საფრენი აპარატის მოდელი (ჩიტის მხგავსი).

ჰაერის გველის საწყისი კონსტრუქცია ცნობილი იყო ჩინეთში, იგი დღემდე ეროვნულ გასართობ საშუალებად გველინება. მაგრამ სპასარო აპარატის შექმნა, რომელიც ადამიანს გადაიყვანდა ჰაერში მოტორის გარეშე, შეიქმნა მხოლოდ XIX საუკუნის ბოლოს.

თავიდან შეიქმნა საფრენი აპარატის პლანერის კონსტრუქცია – glider-ი. იგი იყო აეროდინამიურად სრულყოფილი, ჰაერში მოძრაობდა ჰაერის ნაკადის ძალის დახმარებით და უხმოდ მოძრაობდა ჰაერში საათობით.

პლანერიზმის პიონერი იყო გერმანელი ოტო ლილენთალი (Otto Lilienthal) – (1848-96). მან მმასთან გუსტავთან ერთად 1867 წელს დაიწყო მუშაობა, შეიქმნა საფრენი აპარატი. 1991 წელს შეიქმნა პირველი პლანერი. დაახლოებით ამავე დროს ჯონ მონგომერიმ (აშშ), ააგო პლანერი, რომელსაც სპასარო ბურთიდან უშევებდა საფრენად. მოგვიანებით 1896 წელს ამერიკელმა გამომგონებელმა ოქტავ ჩანუტიმ (Octave Chanute) შეიქმნა მსუბუქი და გამძლე მართვადი პლანერი. მისი კონსტრუქცია წარმატებული გამოდგა, მან შეასრულა 2000 გაფრენა ავარიის გარეშე. შემდეგ ხდებოდა გამომგონებლების მიერ პლანერის სრულყოფა მისი ფრთებისა და კუდის რეგულირების ხარჯზე. ბოლოს პლანერმა მიიღო ჩვენთვის დღეს ცნობილი თვითმფრინავის ფორმა.

1935 წლიდან დღემდე სამეცნიერო აპარატურით აღჭურვილ პლანერებს ფართოდ იყენებენ აერონავიგაციისა და მეტეოროლოგიური მიზნებისათვის.

უხმო პლანერებს იყენებდნენ მეორე მსოფლიო ომის დროსაც პატარა სადაზვერვო ჯგუფებისა და დესანტის გადასაყვანად.

ომის შემდეგ შეიქმნა პლანერებისათვის აეროდინამიურად სრულყოფილი ფორმები. 1-2 ადგილიან პლანერებს იყენებენ სპორტული შეჯიბრებებისა და გართობისათვის. ფრენის მაქსიმალური დისტანციაა 700-1000 კმ ორივე მხარეს ფრენისას.

უერადების გარეშე ვერ დავტოვებთ იმ ფაქტს, რომ მიმდინარე წელს საქართველოს ისტორიაში პირველად შედგა სითბური აეროსტატით თავისუფალი გადაფრენა თბილისში. ამ გადაფრენით გაიხსნა რეგულარული ტურისტული სპასარო მოგზაურობა ჩვენს დედაქალაქში.

გადაფრენის ორგანიზაციურები არიან ავიაკომპანია “პირველი ჰაერნაოსნობის კლუბი” და კომპანია “Toyota Caucasus” – ამ მოვლენის მოსამაშადებლად დედაქალაქის ცაში ფრენისათვის საჭირო იყო პილოტების მომზადება, სპეციალური სანავიგაციო და რადიო აღჭურვილობა და რასაკვირველია, ხელისუფლების ორგანოების ხებართვა.

ამ ფრენის განხორციელებით საქართველო შეუერთდება იმ ევროპული ქაუნების თანამეგობრობას, რომელსაც აქვთ განვითარებული ტურისტული ინდუსტრია და რომლის დედაქალაქებში ნებადართულია აეროსტატებით ფრენა.

სპასარო ბუშტით ტურისტული ფრენა მსოფლიოს ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქის – თბილისის ცაზე არა მარტო ახალი ღირსშესანიშნაობაა, არამედ ჩვენს ქვეყანაში ტურიზმის განვითარების, მისი საერთაშორისო პრესტიჟის ზრდის და შეკიდობისა იერსახის ჩამოყალიბების დამატებითი იმპულსიცაა.

**ჰაერშუტი** არის მოწყობილობა მკვრივი ნაჭრისაგან, რომელიც ჰაერში ქოლგის მსგავსად იშლება. გამოიყენება ნივთის ან ადამიანის შენელებულად დასაშეგებად მიწაზე. ის გამოიგონებს დაზიანებული საფრენი აპარატებიდან ადამიანების გადარჩენის მიზნით. ამ მიზნით იგი დღემდე გამოყენება, არ გამოიყენება მხოლოდ სამოქალაქო ავიაციაში.

**დელტაპლანი** XX საუკუნის ბოლოს შეიქმნა და სწავად გახდა პოპულარული. იგი შედგება დელტას ფორმის (10-15 მ) მკვრივი ნაჭრის მსუბუქი ფრთებისაგან, რომელიც გადაჭიმულია ალუმინის მილების კარკასზე. პილოტი ტრონით ჰყიდია ფრთებს შუა ქვემოთ, მას შეუძლია არეგულიროს ფრთები, აგრეთვე შემხედრი ჰაერისა და საკუთარი სხეულის მოძრაობის საშუალებით დაარეგულირებს ფრენის მიმართულება.

## ვერტმფრენი

თვითმფრინავისაგან განსხვავებით, ვერტმფრენის არა აქვს ფრთხები. ვერტმფრენის შეუძლია გადაიყვანოს მგზავრები, ან გადაზიდოს ტვირთი. სამგზავრო ვერტმფრენები 3 კატეგორიად იყოფა. პირველს შეუძლია გადაიყვანოს 2-5 მგზავრი, მეორეს – 5-12 მგზავრი, მესამე კატეგორიას გადაჰყვავს 12-40 მგზავრამდე, რომელიც გამოიყენება კომერციულ გადაზიდვებში. პირველი ვერტმფრენი ფრანგებმა ლაინოუმ და ბენგენიმ შექმნეს 1784 წელს. ეს იყო თანამედროვე ვერტმფრენის პროტოტიპი. 1843 წ. ინგლისელმა კეილეიმ შექმნა პირველი ორთქლის ვერტმფრენი, მაგრამ კონსტრუქცია ისეთი უზარმაზარი და მძიმე იყო, იგი მიწიდან მხოლოდ 1 მ სიმაღლეზე შეუძლო აწევლიყო.

1907 წელს ფრანგმა პოლ კორნმა შექმნა ვერტმფრენი, რომელიც იწეოდა პაერში და რამდენიმე წუთის განმავლობაში ეკიდა მიწის ზევით, მაგრამ მისი მოძრაობა შეუძლებელი იყო. გამოცდის დროს, ვერტმფრენის ბაგირებით აბამდნენ მიწაზე.

1911 წელს ავსტრიელებმა შექმნეს აპარატის ახალი კონსტრუქცია, მას პილოტის გარეშე შეეძლო აწევლიყო მიწიდან 200 მ სიმაღლეზე, სადაც 1 სთ ჩერდებოდა. მაგრამ ეს აპარატიც ბაგირებით იყო მიმმული მიწაზე.

ვერტმფრენის კონსტრუქციის სრულყოფისათვის ინტენსიურად მუშაობდნენ მრავალ ქვეყანაში. მხოლოდ 1938 წელს შეიქმნა ვერტმფრენი, რომელმაც 3000 მ. სიმაღლეს მიაღწია და ასრულებდა ერთ საათიან ფრენას პილოტით.

ვერტმფრენების მშენებლობა აქტიურად განვითარდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. შეიქმნა რამდენიმე წარმატებული კონსტრუქცია, მათ შორის ყველაზე მძლავრი ვერტმფრენი – МИ-26, რომელსაც შეუძლია 40 ტონა ტვირთის აწევა.

დღეს ვერტმფრენები გამოიჩინიან მაღალი საიმედოობით, აქვთ უნარი დიდხანს დაჰყონ პაერში, გამოიყენებიან როტოლ მეტეოროლოგიურ პირობებში საფრენად.

ვერტმფრენის სიჩქარემ მიაღწია 200-220 კმ/სთ. ფრენის მაძილის სიდიდე დამოკიდებულია საწვავი ავზების ტევადობაზე.

1982 წელს ვერტმფრენით განხორციელდა მოგზაურობა დედამიწის გარშემო, რომელსაც 29 დღე და 3 საათი დასჭირდა. ფრენის სიჩქარე საშუალოდ 55 კმ/სთ იყო.

ვერტმფრენის მრავალი მიზნისათვის იყენებენ. იგი მრავალმიზნობრივი მანქანაა. კონსტრუქციის ხასიათიდან გამოყინარე, იგი არის: კომპაქტური, აქვს ვერტიკალურად აფრენისა და დაჯდომის უნარი, მისთვის სპეციალური აეროდრომის დასაჯდომი მოედნები არ არის საჭირო, შეუძლია მგზავრთა და ტვირთის გადაყვანა-გადაზიდვა ძნელადმისადგომ რაიონებში. დიდი საიმედოობა განსაზღვრავს მისი გამოყენების ფართო სპექტრს, როგორც სამხედრო, ასევე სამოქალაქო მიზნებისათვის. ვერტმფრენი ეფექტურად გამოიყენება: სამხედრო მოქმედებებისას, პატრულიორებისას, მიწაზე და წყალზე სამაშველო ოპერაციებისას, მედცერსონალის, ავადმყოფებისა და დაჭრილების ოპერატორიული გადაყვანისათვის.

ეროვნულ მეურნეობაში, იგი გამოიყენება ხალხის და ტვირთის გადასაზიდად, როდესაც სხვა სახის საგზაო მიმოსვლა არ არსებობს.

ფართოდ გამოიყენება წარმოებაში, სოფლის მეურნეობაში, საგზაო და სახანძრო პატრულიორებისას. გამოიყენება ადგილებისა და ობიექტივების ფოტოგადაღებისათვის, კინოგადაღებისათვის – კინოსტუდიებში. აგრეთვე ფართოდ და ეფექტურად გამოიყენება ტურისტთა გადაყვანის საქმეში.

## თვითმფრინავები

მგზავრთა გადამყვანი თვითმფრინავები იყოფა ძრავის ტიპის მიხედვით. ესენია: ხრახნიანი, ტურბოხრახნიანი, ტურბოვენტილაციონური, ტურბორეაქტიული.

ხოლო თვითმფრინავები ტევადობის, ასაფრენ-დასაჯდომი მახასიათებლებით და საფრენი მანძილის სიშორით გვხვდება:

- ადგილობრივი ავიაცია, გრუნტიან და ოვალიან საფრენ ბილიკებზე დასაჯდომად.
- შორეული და ზეშორეული ავიაცია.

- პიდროთვითმფრინავები.

**თვითმფრინავების მთავარი კრიტერიუმი**, მათი უსაფრთხოება და საიმედოობაა. ისინი ექსპლუატაციაში ავარიების გარეშე იმყოფებიან 25 წლის განმავლობაში, ტვირთმზიდაობა – 100 ტონამდეა. მგზავრთა ტევადობა 560 ადამიანამდე. ფრენის მანძილი, სრული დატვირთვის დროს, საწვავის ჩამატების გარეშე 12000 ქმდება, რაც ძალზე მნიშვნელოვანია ტრანსილებაზე გადაფრენებისას. **სხვა კრიტერიუმად ითვლება ასაფრენ-დასაჯდომი ბილიკების სივრცე**. შექმნილია თვითმფრინავები, რომელთაც ასაფრენად ძალიან მოკლე ასაფრენი ბილიკი სჭირდებათ, აგრეთვე თვითმფრინავები ვერტიკალურად აფრენა-დაჯდომის უნარით. არის გიგანტური ავიალაინერები, რომლებსაც შეუძლიათ აფრენა და დაჯდომა გრუნტიან საფრენ ბილიკზე. ასეთს განეცუთვნება სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავები რომლებიც სამგზავრო გადაზიდვებისათვის არ გამოიყენება.

### **ზებგერითი სამგზავრო თვითმფრინავები**

**Concorde** - კონკორდი – მსოფლიოში ერთადერთი ზებგერითი სამგზავრო რეაქტიული თვითმფრინავია **SUPERSONIC TRANSPORT (SST)**. იგი შეიქმნა ანგლო-საფრანგეთის კონსორციუმის მიერ, სპეციალურად სამოქალაქო ავიაციისათვის. თვითმფრინავს აქვს ბერძნული ასო დელტას მაგვარი აეროდინამიკური ფორმა და აღჭურვილია ოთხი ძრავით. ეს უძლიერესი ძრავები სპეციალურად ამ პროექტისათვის დამზადა ფირმამ **Bristol Siddeley (Roll-Royce) და SNECMA-მ** (საფრანგეთი). თვითმფრინავი მომრაობს 2125 კმ/სთ სიჩქარით, რაც ორჯერ მეტია ბერების სიჩქარეზე. ბარგის რაოდენობა (სიმძიმე) მკაცრად ლიმიტირებულია (არა უმეტეს 20 ბბ).

2000 წლამდე ექსპლუატაციაში შევიდა სულ 13 ამ ტიპის მანქანა. ფრენათა პროგრამა მთლიანად ხორციელდებოდა დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის სახელმწიფო ფინანსური მხარდაჭერის საფუძველზე.

პირველი ფრენა განხორციელდა 1969 წლის მარტში, ხოლო 1976 წლიდან დადგინდა რეგულარული რეისები ატლანტიკაზე გადაფრენით. ამას მოჰყვა ხანგრძლივი კონკურენციული ბრძოლა. მაგ., აშშ ცდილობდა აერძალა ფრენები ეკოლოგიური მოსაზრებით, მიზეზი დიდი ხმაური იყო. დღეს უველა უთანხმოება რეგულირებულია და ფრენები ატლანტიკაზე ხორციელდება რეგულარულად.

ერთ-ერთი ზებგერითი თვითმფრინავი „კონკორდი“ – ფირმა **Good Travel** – გამოიყენებოდა მდიდარი კლიენტების ჩარტერული რეისებით მომსახურებაში. მათვის შემუშავებული იყო უნიკალური წლიური პროგრამა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მოგზაურობისათვის (ამჟამად „კონკორდი“ მოხსნილია ექსპლოატაციიდან). „კონკორდის“ ანგლო-ფრანგული პროექტის შემსამდეგ ერთი წლით ადრე, სსრკ-ში 1968 წელს შეიქმნა ამავე კლასის თვითმფრინავი TU-144. თვითმფრინავმა წარმატებით გაიარა უველა გამოცდა და გარკვეული დროით ექსპლუატაციაში იყო მოსკოვი-ალმა-ატა-ს ხაზზე. იგი სისწრაფით აღემატებოდა „კონკორდს“, ფრენის მასიმალური სიჩქარე იყო 2587 კმ/სთ. მაგრამ ორი კატასტროფის შემდეგ ეს თვითმფრინავი მოხსნა ექსპლუატაციიდან. ერთი კატასტროფა მოხდა საფრანგეთში 1973 წ., საავიაციო შოუზე. დღეს იგი სამუშაურო ექსპონატია. პროექტზე მუშაობა შეწყდა, მთავარი მიზეზი იყო ის, რომ სამამულო, ადგილობრივი მგზავრებისათვის ამ კლასის თვითმფრინავის ბილეთის ფასი ხელმიუწვდომელი იყო.

2000 წლის ივნისში **Air France**-ის ერთ-ერთმა თვითმფრინავმა განიცადა ავარია, იგი აფეთქდა აფრენისას. მას უნდა განეხორციელებინა ტრანსატლანტიკური გადაფრენა აშში და გადაჰყავდა 100 ტურისტი.

ეს იყო „კონკორდის“ პირველი კატასტროფა, 25 წლის ექსპლუატაციის მანძილზე. შემდეგში ამ ლაინერების სისტემის უსაფრთხოების დამუშავებაზე დაიხსრულა 2,5 მლრდ დოლარი.

### **აერობუსი**

**აერობუსი** – ფართოფიუზელაჟიანი (თვითმფრინავის კორპუსი – ფრანგ.) სამგზავრო თვითმფრინავია, როგორც წესი ორ იარუსიანია და გათვალისწინებულია მგზავრთა დიდი რაოდენობის გადასაყვანად (380 ადამიანამდე). უველაზე გავრცელებული ვარიანტია -300. ეს თვითმფრინავი შეიქმნა კომპანია **Airbus Industrie**-მ. პირველად იგი წარმოდგენილი იყო საავიაციო სალონში – ქარუს (საფრანგეთი) 1969 წელს. საერთაშორისო კონსორციუმი უშვებს სამგზავრო ლაინერების ფართო სპექტრს (107 ადგილიდან 380-მდე). კორპორაციის პროდუქცია იკავებს მსოფლიო ბაზრის 26%-ს. კონცერნის წარმოებებსა და ოფისებში დაკავებულია 37 ათასი ადამიანი. დღეს კონცერნი 25-მდე მსხვილ ლაინერს უშვებს (ამზადებს) თვეში.

იმდინარეობს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები ლაინერების უსაფრთხოების დახვეწაზე, საწვავის ნაკლებ დანახარჯებზე, ხმაურის შემცირებაზე, კომფორტის გაუმჯობესებაზე. პრაქტიკაშია 800-1000 მგ ზავრისათვის აერობუსების შექმნა.

აერობუსების კატეგორიას ეკუთვნის თვითმფრინავი Boeing 747, რომელიც ყველაზე დიდი სამგზავრო თვითმფრინავია მსოფლიოში. ეს ლაინერი ისეთი შთამბეჭდავი ზომებისაა, რომ მას მოიხსენიებენ ზედმეტი სახელით – “ჯამბო” (ყველაზე დიდი სპილო). ეს საჰაერო გიგანტი, ექსპლუატაციაში 1989 წელს შევიდა, კომპანია – **Nord-West Airlines** (აშშ). ფრთების სიგრძე – 64,9 მ. ფრენის სიშორე (სიგრძე) – 13340 კმ. Boeing 747 იღებს ბორტზე 566 მგზავრს.

• **ჰიდროთვითმფრინავები** – ეს არის მფრინავი ნავი, აღჭურვილია წყალგაუმტარი კორპუსით და ტივტივებით ფრთებზე, რომელიც წყლის ზედაპირიდან აფრენისა და წყალზე დაჯდომის საშუალებას აძლევს. ფართოდ გამოიყენება ტურისტების გადასაყანად პატარა ტროპიკულ კუნძულებზე, აგრეთვე ტბებზე.

როგორც წესი, ჰიდროთვითმფრინავი მცირე ზომის ხრახნიანი კონსტრუქციაა, მაგრამ გვაქვს მაგალითები ჰიდროთვითმფრინავებისა ტურბორექტიული ძრავით.

#### • **თვითმფრინავების სპეციალური ტიპები**

ჩრდილოეთის განედებში, გრუნტიანი აეროდრომების მშენებლობა და შენახვა, გართულებულია, ამიტომ იყენებენ თოვლის დატენილ (გამაგრებულ) ასაფრენ ბილიკებს. თვითმფრინავებს განკუთვნილს თოვლიანი აეროდრომებისთვის, თვლების მაგივრად აქვთ სპეციალური თხილამურები. ძირითადად ესენია ადგილობრივი ავიაციის თვითმფრინავები.

მსუბუქი თვითმფრინავები **baby plane**. უფრო ხშირად ხრახნიანი მოტორით, მონო ან ბიალანქი, 1-დან 10 ადამიანამდე ტევადობით. მათ იყენებენ ადგილობრივი, სოფლის მეურნეობის, საფოსტო, სპორტული და კურძო ავიაციისათვის.

### აეროდრომები და ეროპორტები

**აეროდრომი** – ეს არის საინჟინრო მოწყობილობათა კომპლექსი და შენობები, რომლებიც ემსახურება თვითმფრინავის აფრენასა და დაჯდომას.

აეროდრომის მთავარი მოწყობილობაა ასაფრენი ბილიკები, აგრეთვე ტერიტორია მანევრირებისათვის და თვითმფრინავების სადგომები.

ასაფრენი ბილიკები აღჭურვილია ნაგიგაციის ელექტრონული საშუალებებით. თანამედროვე აეროდრომებზე, სათანადოდ აღჭურვილი ლაინერი, შეიძლება დავსვათ ავტომატური რეჟიმით, პილოტის მონაწილეობის გარეშე.

აეროდრომისათვის დიდი მნიშვნელობაა აქვს ასაფრენი ბილიკის სიგრძეს. თანამედროვე აეროპორტებში, ასაფრენი ბილიკის სიგრძე აღწევს 4 კმ-ს, რაც აუცილებელია დიდი ლაინერების ასაფრენად და დასაჯდომად.

თვითმფრინავების მანევრირებისათვის, დამატებით არის პარალელური ბილიკები, რათა იგი მოემზადოს ასაფრენად, ან მივიდეს ტერმინალამდე. ასაფრენი ბილიკის სამსახურები, განსაზღვრავენ აეროპორტის გამტარუნარიანობას.

**აეროპორტი** – არის მოწყობილობათა კომპლექსი, შენობები გათვალისწინებული საჰაერო ხომალდების (ლაინერების მირებისა და გამგზავრების მომსახურებისათვის, მას კომპლექსში აქვს, აეროდრომი, აეროსადგური, ლაინერების ტერმინალი მომსახურებისათვის საჭირო სახმელეთო მოწყობილობები).

**შიდა აეროპორტი** – ემსახურება მგზავრების შიდა გადაყვანებს, შიდა რეისებს. **საერთაშორისო აეროპორტი** – ემსახურება საერთაშორისო ფრენებს (რეისებს).

**აეროპორტების სამსახურში შედის:** მგზავრთა გადაყვანის მომსახურება, ტვირთისა და ფოსტის გადაზიდვა, ფრენათა რეგულარული და უსაფრთხო მომსახურების უზრინგელყოფა, მეტეოროლოგიური დაკვირვებები, კავშირისა და სიგნალიზაციის საშუალებათა სათანადო სამუშაოები. ხორციელდება

ლაინერების (თვითმფრინავების) ტექნიკური დათვალიერება, მომსახურება და მათი საწვავით უზრუნველყოფა. აქვე ტუალეტებისა და ნაგვის (გადაყრა) სამსახურები.

მნიშვნელოვანი ოპერაცია უველა რეისზე, კომპაქტური საკვების დროული მიწოდება, აეროპორტში მობილიზებულია მგზავრთა და მათი ბაგაჟის რეგისტრაციის სამსახურები, ბარგის, ტვირთისა და ფოსტის შენახვის სამსახურები.

მსოფლიოს უდიდეს აეროპორტებს მიეკუთვნება “ო’ პარა ინტ”, ემსახურება წელიწადში თითქმის 60 მლნ მგზავრს (ჩიკაგო, აშშ); **“parsfield atlanta int”**- 48 მლნ-ს (ატლანტა, აშშ); **“los-angeles int”**- 45 მლნ-ს (ლოს-ანჯელესი, აშშ); **“hitro”**-35 მლნ-ს (ლონდონი, დიდი ბრიტანეთი); **“jon kenedi int”** – 31 მლნ-ს (ნიუ-იორკი, აშშ); **“tokio int”** – 30 მლნ-ს (ტოკიო, იაპონია); **“san-francisco int”** -30 მლნ-ს (სან-ფრანცისკო, აშშ) და სხვები.

ტურისტულ გადაყვანათა უმეტესობა ხორციელდება საერთაშორისო და ეროვნული ავიაკომპანიების მიერ, რომელთაც აქვთ შესაბამისი სახელწოდება – კოდები. მაგ., ზოგიერთი მსხვილი საერთაშორისო ავიაკომპანიებია: **AA – American Airlines; DL – Delta Airlines(აშშ-ში); AF – Air France; BA – British Airways** და სხვა.

აეროპორტი იდებს და ემსახურება სხვადასხვა ავიაკომპანიების საპარტო ხომალდებს, ახორციელებს ტექნიკურ უზრუნველყოფას: – მომარაგებას, ტექნიკურ პროფილაქტიკას და რემონტს. სამსახურები მიწაზე, ახორციელებს კონტროლს, საპარტო ფრენათა რეგულირებასა და მგზავრთა გაცილებას.

გადაფრენები, მგზავრთა გადაზიდვის მიზნით, ხორციელდება მტკიცე განრიგის მიხედვით (წლიური ან სეზონური). ეს არის რეგულარული ფრენები განრიგის მიხედვით, ან უგანრიგო რეისები შეკვეთით – ჩარტერული გადაზიდვები.

რეგულარული რეისების სისტემები, დამოკიდებულია მგზავრთა ნაკადზე ამა თუ იმ მიმართულებით. არის ყოველდღიური რეისები, რეისები კვირაში ერთხელ, ან რეისები, რამდენჯერმე დღეში. მგზავრთა ნაკადის მკვეთრი ზრდის შემთხვევაში, ინიშნება დამატებითი რეისები კონკრეტული მიმართულებით.

ანსხვავებენ აგრეთვე დღისა და დამის რეისებს. დღის რეისები, როგორც წესი, შედარებით მოკლე მანძილებზე ხორციელდება, ხოლო დამის რეისები ხორციელდება შორეული ტრანსპორტის გადაფრენებისას.

**პირდაპირი მარშრუტები და მარშრუტები შეპირაპირებით.** პირდაპირი მარშრუტი – ეს არის გადაფრენა ერთი წერტილიდან მეორეში, ერთი ან რამდენიმე დაჯდომით (სხვადასხვა აეროპორტებში) თვითმფრინავის შეცვლის გარეშე. ამასთან ტექნიკური მიზეზების გამო გაუთვალისწინებელი დაჯდომა, არ უნდა გახდეს მგზავრის, ან ტურისტის პრეტენზიების საბაბი.

შეუთანხმებელი ავიამარშრუტები (რეისი შეპირაპირებით) – ეს არის მგზავრობის ელემენტი, რომელიც ითვალისწინებს მგზავრების გადასხდომას ერთი თვითმფრინავიდან მეორეში. მაგალითად, გადასხდომა სხვა ავიახაზზე ან გადასხდომა ადგილობრივიდან საერთაშორისო ავიახაზებზე.

კომპანიები, დაინტერესებულნი არიან დახარჯონ რაც შეიძლება ნაკლები დრო შეპირაპირებული რეისების ორგანიზაციისას. ამისათვის გამოიყენება სპეციალური (საფირმო), სწრაფი სააგრებოუსო რეისები, სწრაფი მატარებლების რეისების კი - სხვა აეროდრომზე მგზავრთა ტრანსფერისთვის. თუ დროს ინტერვალი დიდია (1 დღე-დაბეზე მეტი), მაშინ ავიაკომპანიები სთავაზობენ მგზავრებს დასამასხველებელ ტურისტულ სერვისს (ტრანსფერი, დასვენება, კვება, ექსკურსიები და სხვ.), ეს ყველაფერი ხშირად გადაფრენის ღირებულებაში შედის.

ტურისტული მომსახურების სფეროში, აეროპორტი სთავაზობს მომსახურებას როგორც მგზავრებს, ასევე მომსახურე პერსონალს, ეკიპაჟის წევრებს, ესენია: მომსახურება საკეთო, თვითმფრინავის ბორტზე, ასევე მოსაცდელ დარბაზებშიც, ავტომობილების საღზომები, განთავსების საშუალებებით (სასტუმრო უზრუნველყოფა).

აეროპორტების ტერიტორიაზე განლაგებულია მაღაზიები, ფოსტა, დაცვა, ბანკის განყოფილებები, ავიაკომპანიის წარმომადგენლობა და სხვ. აქვე მგზავრთა გამგზავრება და ჩამოსვლისთვის განკუთვნილი დიდი აეროვაგზლები, სასტუმროები მგზავრებისა და ბორტპერსონალისათვის.

**აეროვაგზალი** – ეს არის მოსაცდელი დარბაზები, მგზავრთა და ბაგაჟის რეგისტრაცია და გაგზავნა, ტექნიკური და მომსახურებების სხვა რთული კომპლექსი.

საერთაშორისო აეროპორტებში იქვეა განლაგებული, საბაჟო, სანიტარული და სასაზღვრო სამსახურები, სალაროების დარბაზები, ადმინისტრაცია, სადაზღვევო კომპანიები, მაღაზიები, რესტორანი, ბარი, ბარგის შესანახი კამერები. გათვალისწინებულია სპეციალური დარბაზები შემსვედრთათვის.

აეროპორტები და ტერმინალები აღჭურვილია აუდიო და ვიდეო – საინფორმაციო სამსახურებით, მგზავრთა ტრანსფერის რაციონალური ორგანიზაციისათვის. აეროპორტის ტერმინალებთან კავშირშია საგტომობილო მაგისტრალები, რეისიგზა, ხანდახან მეტროც კი. მაგ., აეროპორტი **Heathrow**– დიდი ბრიტანეთი.

## 2. საპარტანისპორტით მგზავრთა მომსახურების თავისებურებანი

**საპარტანისპორტით გადაზიდვა** – ეს არის მგზავრებისა და მათი ბაგაჟის, ტვირთის და ფოსტის ტრანსპორტირება საპარტანის ხომალდებით, საპარტანის გადაზიდვათა წესებისა (ეროვნული და საერთაშორისო) და გადაზიდვის ხელშეკრულებათა გათვალისწინებით.

საპარტანისპორტით, ეს არის ავიაკომპანია **Air line company**, რომელიც ახორციელებს მგზავრებისა და ტვირთის გადაზიდვას (რეგულარული ან ჩარტერული). ავიაკომპანია შედგება საპარტანის ხომალდებისაგან (საქათარი ან არენდით), და მფრინავი შემადგენლობით – ბორტპერსონალით, რომელიც ემსახურება მგზავრებს, როგორც ფრენის დროს, ასევე მიწაზეც.

როგორც ზემოთ ავღნიშებთ, საპარტანისპორტით გადამზიდვები მგზავრებს უწევენ როგორც მყარი განრიგით რეგულარულ რეისებზე, ისე უგანრიგოდ ჩარტერულ რეისებზე. ავიაკომპანიების უმეტესობა მუშაობს განრიგით, რაც ნიშავს, რომ თითოეული გაფრენა და დაჯდომა წარმოებს მკაცრად განსაზღვრული დროის მონაკვეთში. აეროპორტებში რეისებზე მოიცავს: თვითმფრინავის გამგზავრბაზამოსვლის დროს და თარიღს, რეისის ხომერს, ტერმინალს რეგისტრაციისათვის. აქვე ქვეყნების ინფორმაცია რეისების შეფერხების შესახებ. მყარი განრიგი (Time table) ქვეყნების აგრეთვე ცალკეულ ბეჭდურ გამოცემებში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში და რაოჭმა უნდა ინტერნეტის საშუალებითაც.

ხანდახან, ადგილი აქვს ავიაგადაზიდვების არარეგულარულ რეისებს მოკლე მანძილებზე – მსებუქმოტორითანი თვითმფრინავით – აეროტაქსით. (**airtaxi**) აეროტაქსის მომსახურებით ხშირად სარგებლობებს საქმიანი ადამიანები, აგრეთვე ტურისტები კუნძულოვან კურორტებზე გასამგზავრებლად.

როგორც ცნობილია დედამიწა თავისი ფორმით მრგვალ ბურთს წარმოადგენს, ამიტომ მარშრუტის არჩევისას ითვალისწინებენ მრავალ ფაქტორს, აქედან მთავარია უმოკლესი გზა. მაგ., მარშრუტი მოსკოვი-ნიკიტის გადის ჩრდილოეთ პოლუსზე და არა ატლანტიკაზე. გადაზიდვებისას მნიშვნელოვანია აგრეთვე გაგითვალისწინოთ ფრენის ნამდვილი დრო საათობრივი სარტყელების მიხედვით.

საპარტანისპორტით გადაზიდვა დამოკიდებული ბუნებრივ პირობებზე (ამინდზე). ჯერ-ჯერობით ადამიანი გერ მართავს ამინდს, ამიტომ მეტეოროლოგიური ცვლილებები ატმოსფეროში დიდ გავლენას ახდენს საპარტანისპორტით გადაზიდვა დამოკიდებული ბუნებრივ პირობებზე.

თანამედროვე სამგზავრო ლაინერები ახორციელებენ ფრენის დაახლოებით 10 კმ სიმაღლეზე, ეს კი ღრუბელთა საფარის ზევითაა, სადაც არ არის პარტის მასების ძლიერი მოძრაობა და ნალექები. მიუხედავად ამისა, შემსვედრი ან ზურგის ქარები დიდ გავლენას ახდენენ ფრენის გაანგარიშებულ დროზე, განსაკუთრებით მრავალსაათიანი ფრენისას. ამის შედეგად იცვლება საწვავის ხარჯების რაოდენობა და ჩამოფრენის დრო. შეიძლება მოხდეს მარშრუტის არაგვემიური (გაუთვალისწინებელი) შეცვლა.

მაგ., სიცილიაზე ფრენისას ვულკან ეტნას გააქტიურებისას, კვამლის შლეიფი ვულკანის ყელიდან, იცვლის მიმართულებას ქარის მიმართულებასა და ინტენსივობასთან დაკავშირებით. აეროპორტი „კატანი“

მდებარეობს ძალიან ახლოს ვულკანთან, თვითმფრინავები ამ დროს იძულებულნი ხდებიან შეცვალონ მარშრუტი და გააკეთონ დიდი წრე, რომ შემდგომ უსაფრთხოდ დაეშვენ საფრენ ბილიკზე.

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ნავიგაციის საშუალებებს შეუძლიათ ასაფრენი და დასაჯდომი ოპერაციები სრულ სიბრუნვეში განხორციელონ, მაინც ძლიერი თოვლი, ნისლი, თაგსხმა წვიმა და ელქუქი, ძლიერი ქარი, საფრენი ბილიკის მოყინვა და სხვა მეტეოროლოგიური მოვლენები, ართულებენ და ხშირად შეუძლებელსაც კი ხდის უსაფრთხო ფრენათა განხორციელებას. ეს გარემოება ფრენათა შეფერხების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანები ობიექტები მიზეზია.

მეტეოროლოგიური პირობების გამო, ხანდახან აეროპორტები რამოდენიმე დღით იხურებიან.

უამინდობის გარდა, საპარტო ხომალდების რეისების შეფერხება შეიძლება გამოიწვიოს სხვა მიზეზებმაც: თვითმფრინავის მოწყობილობათა და აეროდრომის მოწყობილობათა ტექნიკურმა გაუმართაობამ, შეფერხებებმა საფრენ ბილიკზე, აგრეთვე ისეთი საორგანიზაციო ხასიათის შეფერხებებმა, როგორიცაა დოკუმენტაციის მოუმზადებლობა, საკების მიზანის დაგვიანება, ეკიპაჟის დაგვიანება. ტექნიკური მიზეზების გამო საპარტო ხომალდი შეიძლება შეიცვალოს სხვა ხომალდით.

ბუნებრივია დაგვიანება თვითმფრინავის აფრენისას, იწვევს მის დაგვიანებას დანიშნულების პუნქტში. რეისების შეფერხებისას, პრესტიული ავიაკომპანიები მგზავრებს კომპენსაციის მიზნით უხდიან გარკვეულ თანხას, რომლის ოდენობაც დამოკიდებულია ფრენის მანძილსა და დროზე.

საერთაშორისო ავიაგადაზიდვები ძირითადად ხორციელდება ჩრდილო ამერიკას, იაპონიასა და აზიის ქვეყნებს შორის და შეადგენს მსოფლიო მგზავრთა გადაყვანის 75%-ს. მათ შორის 30%-ს ახორციელებენ აშშ-ს კომპანიები და 10%-ს დიდი ბრიტანეთის კომპანიები. აშშ-ს აქვს დაგვეგმილი ავიაგადაზიდვის ქველაზე მსხვილი ბაზარი, რომელიც მოიცავს მსოფლიო შიდა გადაზიდვების 20%-ზე მეტს.

ჩრდილო ატლანტიკა ყველაზე დატვირთული მარშრუტია მსოფლიოში და მსოფლიო მგზავრების 22%-ზე მეტს მოიცავს. ყველაზე დატვირთული მარშრუტები პერსეპტივაში მიმართული იქნება აზიაში, სადაც ტურიზმისა და საერთაშორისო გაჭრობის ზრდის ტემპები ბევრად მეტი იქნება ევროპულ მარშრუტებზე.

ამჟამად, დატვირთული ეეროპული მარშრუტები სათავეს იღებენ ლონდონში და მოიცავენ ლონდონ-პარიზს, ლონდონ-ნიუ-იორკს და ლონდონ-ამსტერდამს.

აღსანიშნავია, რომ მგზავრთა და ავიაკომპანიების ურთიერთდამოკიდებულება საერთაშორისო გადაზიდვებისას რეგულირდება 1929 წ. ვარშავის კონვენციით “საერთაშორისო საპარტო გადაზიდვების წესის უნიფიცირების შესახებ”, რომელშიც ცვლილებები შეტანილ იქნა 1959 წელს(პამბურგის წესები).

## ტრანზიტი, ჩარტერი და მგზავრთა გადაყვანის კომპლექსური მომსახურება

ტრანზიტის თავისუფლებაზე კონვენცია და სტატუსი (**Convention and Statute on Freedom of Transit**) მიღებულ იქნა ერთა ლიგის ეგიდით ბარსელონაში (ესპანეთი) 1921 წ. 20 აპრილს. კონვენციის მონაწილეები პასუხისმგებლობას იღებდნენ დახმარებოლობენ ერთმანეთს სატრანზიტო გადაზიდვების განხორციელებაში, როგორც რკინიგზით, ასევე საპარტო მიმოსვლის საშუალებით.

ტრანზიტული ითვლებიან მგზავრები და მათი ბაგაჟი, ტვირთი, სამგზავრო და სატვირთო გაგონები, ხომალდები და სხვა სატრანსპორტო საშუალებები, თუ მათი გადაადგილება ხდება იმ ტერიტორიის გავლით, რომელიც იმყოფება კონვენციის მონაწილე ქვეყნის სუვერენიტეტის ქვეშ. ამ დროს ეს ტერიტორია წარმოადგენს მხოლოდ გადასაადგილებელი გზის ნაწილს, რომელიც იწყება და მთავრდება იმ სახელმწიფოს საზღვრებს გარეთ, რომლის ტერიტორიაზეც ხორციელდება სატრანზიტო გადაზიდვა.

შეპირაპირებითი რეისების ტრანზიტული მგზავრები, რომლებიც იმყოფებიან აეროპორტის ტერიტორიაზე ჩასხდომის მოლოდინში, სპეციალურ სატრანზიტო ვიზას არ საჭიროებენ.

თუ მოსაცდელი დრო აჭარბებს გარკვეულ საზღვრებს, მაშინ ფორმდება ტრანზიტული ვიზა, რომელიც ითვალისწინებს მგზავრის მოცემულ სახელმწიფოში ყოფნის უფლებას.

**ჩარტერის** ქვეშ იგულისხმება საპარტნერო ხომალდისა და მისი ეკიპაჟის ფრახტი (დაქირავება), ერთი რეისის ან ფრენათა გარკვეული პროგრამის შესასრულებლად მყარი განრიგის გარეშე. ჩარტერულ რეისებს ორგანიზებას უკეთებენ კომპანიები, რომლებიც ასრულებენ რეგულარულ გადაზიდვებს, მაგრამ არიან ავიაკომპანიები, რომლებიც მხოლოდდამხოლოდ ჩარტერულ რეისებზე არიან სპეციალიზებულნი (**charter airline** ან **air charter company**).

ჩარტერი, როგორც წესი, ხორციელდება შეკვეთების პირობების თანახმად. რისკს, მგზავრთა ნაკლებობის შემთხვევაში, შემკვეთი (დამქირაგებელი) ეწევა. მგზავრთა უქმარისობისა და ბარგის წონის ნაკლებობის შემთხვევაში, ავიაკომპანია იტოვებს უფლებას გადაიყვანოს მგზავრები, ფოსტა ან ტელეფონი. ამ დროს ჩარტერის დამკვეთი არანაირ კომპანიას არ იღებს.

ავიაკომპანია, გაფრენის წინ ასრულებს ყველა მოსამზადებელ სამუშაოებს მარშრუტისათვის. ესენია ფრენასთან დაკავშირებული სხვადასხვა ფორმალობების შეთანხმება, ეკიპაჟისა და სხვა პირების ვიზების გაფორმება და სხვა.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ დაუგეგმავი ავიაგადაზიდვები შეადგენს საერთაშორისო მგზავრთა გადაყვანის 17%-ს. ჩარტერულ კომპანიებს და რეგულარულ გადამყვანებს უკავიათ ერთნაირი წილი საერთაშორისო საპარტნერო ტრანსპორტის ბაზარზე.

ჩარტერული საპარტნერო გადაზიდვები წარმოიქმნა 50-იან წლებში ჩრდილო ამერიკასა და ევროპაში, როცა შემცირდებაში მყოფნი ჩრდილოეთის ცივი კლიმატური ზონებიდან მიემართებოდნენ ფლორიდის, კარიბის ზღვისა და ხმელთაშუა ზღვის მზიან, ტროპიკულ ცენტრებში.

აღსანიშნავია ისიც, რომ ჩარტერული ავიარეისები კარგადაა ადაპტირებული ავიატრანსპორტის მოთხოვნაზე კრიზისის პერიოდში. მაგ., გასული საუკუნის 90-იან წლებში დაუგეგმავი გადაზიდვების წილი ევროპის ტურისტულ ბაზარზე გაიზარდა 5%-ით და შეადგინა ყველა ევროპული საერთაშორისო გადაზიდვების 40%-ზე მეტი.

არსებული მდგომარეობისა და მოთხოვნილებიდან გამომდინარე, ფრენის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, ავიაკომპანიას შეუძლია გადადოს ან მოსხნას რეისი. რეისების გადადება-გაუქმება ხდება მეტეოროლოგიური პირობების გამოც. მიუხედავად ამისა, ავიაკომპანია დებულობს პასუხისმგებლობას დაგვიანებებზე, გაფრენისა და დანიშნულების მისვლის დროს.

საპარტნერო გადაზიდვების საერთაშორისო წესების მიხედვით, რეისის შეფერხებებისას ჩარტერული ავიაკომპანიის მიზეზით, ავიაკომპანია შემკვეთს უხდის გარკვეულ თანხას, რომელიც გათვალისწინებულია ჩარტერის ხელშეკრულებით.

მაგ., გაფრენის ერთი საათით და მეტით დაგვიანებისას, ავიაკომპანია არასაიმედოობისათვის იხდის ჯარიმას, ერთი საფრენი საათის დირქულების 20%-ს, თუ რეისის შეფერხება ხდება შემკვეთის მიზეზით, მაშინ ეკვლანაირ საჯარიმო სანქციებსა და დანხარჯებს, ანაზღაურებს ეს უკანასკნელი.

ჩარტერული რეისები ხშირად ხორციელდება მაშინ, როდესაც ავიახაზების გეგმიური რეისები ვეღარ უმდევდებიან დატვირთვას (სეზონური დატვირთვა), ან როდესაც მოცემულ პუნქტში არ არის პირდაპირი რეისები, კიდევ კონფერენციების, ყრილობების, დელეგაციათა ვიზიტების დროს და სხვ. (ტურისტული პროგრამები).

ჩარტერის დამკვეთად ხშირად გვევლინება ტურისტული საწარმო, ან საწარმოთა ჯგუფი. ადგილი აქვს რამდენიმე ტუროპერატორის მიერ ჩარტერული რეისის ერთობლივ არენდას (ფრახტი). გადამზიდ კომპანიებს, ურჩევნიათ საქმე პერიოდებით, რა თქმა უნდა ამ შემთხვევაში ნაკლებია პრობლემები.

გადამზიდავისათვის ჩარტერი ყოველთვის ხელსაყრელია, რადგან იგი დებულობს წინასწარ თანხას მთლიან (სრულ) ჩარტერზე და არ არის დამოკიდებული თვითმფრინავის ან ვერტმფრენის დატვირთვაზე.

ტუროპერატორს, რომელიც რამდენიმე შემკვეთის სახელით მოქმედებს, კონსოლიდატორი პქვია. ეს ოპერატორი უკეთებს ორგანიზაციას და ახორციელებს სხვადასხვა ტურისტული ფირმების მიერ ერთი ჩარტერული რეისის გამოყენებას.

ჩარტერის პროგრამას ორ ან მეტ პორტს შორის ეწოდება **bach – to - bach**, რომელშიც დაგეგმილია გაჩერების მინიმალური დრო, ამა თუ იმ აეროპორტში ჩაფრენისას, მგზავრთა დალოდინებისა და იმავე მარშრუტით უკან გადაფრენის მიზნით.

ასეთი, ჯაჭვური პროგრამა გამოიყენება სეზონურად, მსხვილი ტურისტული პროგრამების განხორციელების მიზნით. პირველი ჩარტერი მიურინავს: ა) იქით – სავსე და უკან ცარიელი ბრუნდება; ბ) ფრენათა სიხშირე ტურისტული ჯგუფების მოძრაობის დროის ადეკვატურია, მაგ., ერთი კვირა მთლიანი დატვირთვით – ორივე მხარეს. გ) ეს უკანასნელი მიურინავს, იქით – ცარიელი, ბრუნდება – სავსე. ასე, რომ გამოიდის ერთი გადაფრენა იქით და უკან (ორივე მხარეს), დატვირთვის გარეშე; ეს არის ის წაგება, რომლის თავიდან აცილებაც შეუძლებელია, ამიტომ წაგება ნაწილდება პროგრამის ყველა ჩარტერულ რეისებს შორის. რაც მეტია ფრენათა რაოდენობა, პროგრამის მიხედვით, მით მეტია მოგება.

კომპანიები ყოველთვის ცდილობენ გამოიყენონ ე.წ. „ჯაჭვური ჩარტერული რეისები, რომ გამოირიცხოს „ცარიელი“ ფრენა.

ჩარტერული რეისების ორგანიზაცია, ყოველთვის დაკავშირებულია დიდ მოსამზადებელ სამუშაოებთან: მფრინავთა შემადგენლობამ უნდა შეისწავლოს ახალი მარშრუტის თავისებურებანი, საზღვარგარეთის აეროპორტების სახმელეთო სამსახურების პირობები, შეკვეთა და ნებართვის მიღება მესამე ქვეყნის ზევით დერეფანით სარგებლობაზე, და სხვ. ამიტომ ჩარტერული რეისები ყოველთვის უფრო ძვირია გეგმიურ რეისებზე, რამდენადაც იგი ხორციელდება ერთჯერადი ქონტრაქტით და დაკავშირებულია ფართო მოსამზადებელ სამუშაოებთან.

ხშირად ხორციელდება ჩარტერული რეისები, როდესაც თვითმფრინავი ყოვნდება პორტში, ტურისტული ჯგუფებისა ან დელგაციის მოსვლამდე. ეს უფრო არასეზონის დროს ხდება, როდესაც თვითმფრინავების დატვირთვა არ არის მაქსიმალური.

ამ შემთხვევაში, ავიაკომპანია იხდის გარკვეულ თანხას თვითმფრინავის აეროპორტში გაჩერებისათვის, აგრეთვე ნაზღაურდება დანახარჯები ეკიპაჟზე, პირტში ყოფნისას (ტრანსფერი, დაბინავება, სამჯერადი გვება).

**საპარტ გადაყვანებისას, გამოყოფენ მომსახურების რამდენიმე სახეს:** სატრანსპორტო მომსახურების ძირითადი სახე – წმინდა საპარტო გადაზიდვა + მომსახურება, რომელიც დაკავშირებულია გადაფრენასთან, ამ მომსახურებით სარგებლობენ ინდივიდუალური ტურისტები, ტურისტული ჯგუფები და მგზავრთა სხვა კატეგორიები. საპარტო გადაზიდვები საკმაოდ სპეციალიკურია. აეროპორტებს სჭირდებათ დიდი ტერიტორიები, რომელია ორგანიზაციული თვალსაზრისითაც, ავიალაინერების ფრენა იწვევს ხმაურს, ამიტომ ისინი განლაგებულია ქალაქებარეთ, ქალაქიდან მოშორებულ ტერიტორიებზე. აეროპორტები ახორციელებენ დამაკავშირებელ ფუნქციებს ქვეყნებსა და კონტინენტებს შორის, ხოლო მგზავრების შემდგომი გადაადგილება ხმელეთზე ან წყალზე დანიშნულების პუნქტამდე, ხორციელდება სხვა გადაყვანების მიერ (წყლის ტრანსპორტი, რკინიგზა, ავტომობილი). მოგზაურთა მომსახურების გაფართოების მიზნით, საპარტო გადამყვანები კლიენტებს სთავაზობენ გადაყვანის კომპლექსურ სახეობებს. ამისათვის საჭიროა შეთანხმებები სხვადასხვა ტურისტულ საწარმოებთან და გადამყვანებთან. **Fly and drive** – ეს კომპლექსური სამსახური პოპულარულია ბიზნესმენებს შორის (საქმიანი წრეები). გადაფრენის გარდა, მომსახურების პაკეტში შედის ავტომობილი არენდით. ავიალაინერის აეროპორტში ჩასვლისთანავე, მგზავს ელოდება ავტომობილი, მის მიერ აღებული არენდით, რომლის გასაღებსაც მას გადასცემს კომპანია **rent**-ის აგენტი (rent a car). ეს საგრძნობლად ამცირებს მგზავრობის დროს, რაც მნიშვნელოვანია საქმიანი პირისათვის. არენდირებული ავტომობილის ვადის გასვლის შემდეგ, მას აბრუნებენ გაქირავების იმავე სააგენტოში, ან სხვა ქალაქში. ნალობიურად, მომსახურების პაკეტში შეიძლება შედიოდეს მგზავრის გადაყვანა რკინიგზით (**fly and rail**) ან საზღვაო ტრანსპორტით **fly and see**. ხშირად პაკეტში შედის დაბინავება და სხვა ტურისტული მომსახურებანი.

გადაყვანის (გადაზიდვის) მომსახურების შემადგენლობაში შედის სახმელეთო სამსახურების მუშაობა რეისის მომზადებისათვის; ბარგის და მგზავრების რეგისტრაცია, ლოდინი რეისზე, გაცილება ავიალაინერამდე, დაცვა და რაღა თქმა უნდა მთავარი მომსახურება – საპარტო გადაყვანა.

ფრენის დამთავრებისთანავე იწყება მგზავრთა გადმოსხდომა და არანაკლებ სანერვიულო ოპერაცია, ვიდრე თავად ფრენა – ესაა ბარგის მიღება და ტრანსფერი დესტინაციაში (დანიშნულების ადგილზე).

საპარტო გადაზიდვათა მომსახურებაში შედის აგრეთვე, მგზავრობის ფაქტიური ხანგრძლივობა, აქ შედის გადაფრენა და გადასხდომა (გადაჯდომა) ერთი რეისიდან მეორეზე (თუ ასეთი შემთხვევები იქნება) და წმინდა საფრენი დრო, სახმელეთო ოპერაციებზე დახარჯული დროის გათვალისწინების გარეშე.

### 3. მგზავრთა მომსახურება თვითმფრინავის ბორტზე.

მომსახურება ბორტზე, თვითმფრინავის სალონში, შედის ავიაბილეთის დირექტულებაში. არის დამატებითი გადასახადებიც.

**სალონების კლასი.** მრავალადგილიანი თვითმფრინავის სალონი დაყოფილია ნაკვეთურებად, მომსახურების კლასის შესაბამისად.

ზოგიერთმა მსხვილმა საერთაშორისო კომპანიამ შემოიღო მომსახურების საკუთარი წესები, მაგრამ არსებობს მომსახურების საერთო ნიშნებიც.

ბიზნეს-კლასის ცნება – (**business class**), ეს არის სერვისის ის კლასი, რომელიც იმყოფება პირველსა და ეკონომიკურ (ტურისტულ) კლასებს შორის. 2000 წელს ავიაკომპანია British Airways-მა შემოიღო შუალედური კლასი – **World travel Plus** - ეს არის საშუალო ეკონომიკურსა და ბიზნეს-კლასს შორის, სადაც გათვალისწინებულია მეტი თავისუფალი სივრცე საგარმლის გარშემო, გაუმჯობესებული კვება. მაღალი კლასის სალონებში მომსახურებაც მაღალია. მაღალია მომსახურება კვებაზე, სადაც შედის სპირტიანი სამელებიც კი, არის რადიო, ტელევიზორი, აგრეთვე მაღალია სახმელეთო მომსახურება, აქ შედის სპეციალური მოსაცდელი დარბაზები ბუფეტით, ცალკე დახლი საბაჟო სამსახურში, ბილეთების რეგისტრაციისათვის, ცალკე გასასვლელი თვითმფრინავში ჩასაჯდომად, ბარგის მიღება და სხვ. (პრივილეგიები). მომსახურების დონის მიხედვით, დგინდება ბილეთის ფასიც.

დამატებით გამოიყენება კოდები:

**G** - ჯავშანი, რომელიც აუცილებელია გამოვისყიდოთ განსაზღვრულ დრომდე;

**U** - რეისი მოკლე მანძილზე გარანტირებული ადგილით.

**E** - რეისი მოკლე მანძილზე შეუთანხმებელი ადგილით (ადგილის ნომერი მტკიცდება რეგისტრაციის დროს).

ზოგიერთ დაინტერესში, განსაკუთრებით კი ბიზნეს-კლასისა და პირველი კლასის სალონებში არის ფაქსი, ტელეჭქსი, სხვა სახის კავშირები, აგრეთვე ელიტარული, ძვირადღირებული ზოგიერთი დამატებითი მომსახურება. შესაძლებელია ბავშვთა გაცილება - მომსახურება უფროსის გარეშე, ემსახურებიან ავადმყოფებს, ინგალიდება, დამატებით სამსახურს სთავაზობენ ჩვილბავშვიან დედებს, მგზავრებს ცხოველებთან ერთად.

საზღვარგარეთ განსაკუთრებული უფრადღება ეთმობა უსინათლო (ბრძა) მგზავრებს, რომელთაც პყვეტ გამცილებელი ძაღლები (ძაღლი უფასოდ მგზავრობს).

საერთოდ, თვითმფრინავების კლასების მთავარი განმასხვავებელი ნიშანია საგარმლის კომფორტულობა, კვების ხარისხი და უფასოდ გადასატანი ტვირთების ზომა. ეკონომიკური კლასის საგარმლები ვიწროა. პირველი კლასის თვითმფრინავებში ისეთი საგარმლებია, რომელიც იშლება საწოლის-მაგარად და შორეული ფრენისას ჰქმნის დამატებით მოხერხებულობას, კომფორტს.

ზოგიერთ აეროპორტში პირველი და ბიზნესკლასის რეგისტრაცია ცალკე წარმოებს, მგზავრებისათვის ცალკეა მოწყობილი მოსაცდელი დარბაზები, სადაც მგზავრი კომფორტულ პირობებში შეიძლება დაედოდოს თავის რეისს და აპერიტივიც კი შესვას უფასოდ..

პირველი კლასის მგზავრებს ავიაკომპანიების უმეტესობა რეისის დასასრულს ჩუქნის სუვენირებს, ზოგჯერ - ძვირადღირებულსაც. შორეულ ავიაბაზებზე, პრესტიული კლასის მგზავრებს მეტი კომფორტულობისათვის ურიგდებად “წუსტები”, რომელიც რეისის დასასრულს შეუძლია თან წაიღოს. მოკლედ, ავიაკომპანიების მენეჯერთა ფანტაზიები განუსაზღვრელია და დამოკიდებულია კონკრეტულ ავიაკომპანიაზე, მიმართულებაზე და სხვა, მაგრამ დიდ როლს თამაშობს აგრეთვე კომპანიებს შორის კონკურენციაც.

რამდენადაც ავიაკომპანიები ერთმანეთს კონკურენციას უწევენ და კონკურენციის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაა, უკვე ძნელი ხდება კლასების მიხედვით სხვა განმასხვავებელი თავისებურებების ჩამოყალიბება. ბევრ მიმართულებაზე პირველი კლასი საერთოდ არ

არსებობს, არის მხოლოდ ბიზნეს-კლასისა და ეკონომ-კლასის ადგილები. ამასთან, ბიზნეს-კლასის მომსახურება შეესაბამება პირველი კლასის ღონეს.

**რეგისტრაცია და შემოწმება ჩასხდომის წინ.** – თვითმფრინავში ჩასხდომის წინ, აეროპორტში ხორციელდება მგზავრებისა და მათი ბარგის საგულდაგულო რეგისტრაცია. ამ პროცედურის რეგულირება ხდება საერთაშორისო წესებისა და ნორმების მიხედვით. სპეციალური ხორციელდება შეუძლია მხოლოდ რეგისტრირებულ მგზავრს და ტვირთს, რაც ნაკარნახევია მკაცრი ნორმებითა და მოთხოვნებით ფრენათა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

რეგისტრაციამდე ან რეგისტრაციის შემდეგ ხორციელდება საბაჟო შემოწმებები, პირადი და ხელით გადასატანი ნივთებისა და ბარგის შემოწმება, საერთაშორისო რეისებზე ხორციელდება სასაზღვრო კონტროლი (პასპორტებისა და ვიზების შემოწმება). ეს პროცედურები ხშირად დიდ დროს მოითხოვს.

ითვალისწინებენ რა რეგისტრაციისათვის საჭირო ხანგრძლივ პერიოდს, მოსაცდელ დარბაზებში განლაგებულია სხვადასხვა მაღაზიები, სადაზღვევო კომპანიათა ჯიხურები, ბარები და სხვა. ავიაკომპანიები, განსაკუთრებით კი მოკლე და ადგილობრივ რეისებზე, ცდილობენ შემცირონ რეგისტრაციის დრო.

მგზავრები მხოლოდ ხელის ბარგით, რომლებიც მგზავრობები პირველი და ბიზნეს-კლასის სალონებით, სარგებლობენ პრივატული მათ შეუძლიათ გაიარონ რეგისტრაცია ტელეფონის საშუალებით და გამოცხადდნენ 10-20 წუთით ადრე გამგზავრებამდე.

**გამცილებლები.** სამგზავრო თვითმფრინავს ემსახურება მფრინავთა შემადგენლობა და ავიაკომპანიის ბორტგამცილებელი.

ავიალიანერის ბორტზე მგზავრებსა თუ ტურისტებს ემსახურებიან “სტიუარდესი” ქალები და “სტიურდი”-კაცები. დიდი ლაიანერის ბორტზე, ზოგჯერ ერთდროულად 20-მდე ადამიანი მუშაობს. ხშირად გამცილებელთა შორის იმყოფებიან უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებიც.

სტიუარდესებისა და სტიუარდების სამუშაო საკმაოდ რთული და სპეციფიკურია. მათ შესარჩევად ავიაკომპანიები ატარებენ კონკურსებს, მიმდინარეობს სპეციალური სწავლება. ამ სამსახურისათვის კარგად უხდიან და საქმაოდ პრესტიულადაც ითვლება. პრაქტიკაში უფრო ხშირად გვხვდებიან ახალგაზრდა, გასათხოვარი, ლამაზი და მომხიბლველი და სათანადი ფიზიკური გამძლეობის მქონე ქალი-სტიუარდესები. მათ იციან რამდენიმე უცხოური ენა, შეუძლიათ პირველი სამედიცინო დახმარების აღმოჩნა.

ბორტკერსონალის მოვალეობებში შედის: მგზავრთა სწრაფი განთავსება სალონებში, თავიანთი ადგილების მიხედვით. რეისის დაწყებამდე მომსახურების კლასის მიხედვით მათ მგზავრებს უნდა შეუქმნან სათანადო კომფორტი, უნდა უზრუნველყონ ინფორმაციით, გააცნონ სპეციალური დარღვევების წესები, შეამოწმონ მისაბმელი დამატები, დაარიგონ უურნალ-გაზეთები, ხოლო შორეულ რეისებზე კი მგზავრებს აწყისი საჭმელს, წევნებს (სხვადასხვა სასმელს), საჭიროების შემთხვევაში პირველ დახმარებას უწევენ. თვითმფრინავიდან გასვლის ორგანიზაციას ფრენის დამთავრებისთანავე მგზავრებს ეხმარებიან თვითმფრინავიდან გასვლაში.

ბორტკერსონალი ვალდებულია ზრდილობიანად და ყურადღებით ეპურობოდეს მგზავრებს. ამავე დროს მგზავრებიც ვალდებული არიან გაუფრთხილდნენ და დაფასონ ბორტკერსონალის შრომა.

ფრენის დაწყების წინ, ბორტგამცილებლები ვალდებული არიან მიაწოდონ მგზავრებს მოკლე ინფორმაცია ფრენის შესახებ, მისი ხანგრძლივობისა და პირობების, მოწევის აკრძალვის ან მოსაწევი ადგილის შესახებ, ტუალეტების განლაგებაზე, კვების განრიგზე და ექსტრემალურ სიტუაციებში მოქცევის წესების შესახებ.

ფრენის დროს ყველა მგზავრს სთავაზობენ ახალ პერიოდულ გამოცემებს, გაზეობებს, აგრეთვე ავიაკომპანიის მიერ გამოცემულ და ლამაზად გაფორმებულ საბორტო უურნალებს, ბუკლებებს.

**კვება.** მოკლე რეისების დროს, როდესაც ფრენა შედგება მხოლოდ თვითმფრინავის აფრენა და მოკლე დროში დაჯდომისაგან, მგზავრებს სთავაზობენ შაქარყინულს, კანფეტებს, გამაგრილებელ წევნებს, მინერალურ წყალს, ჩაის და ყვავას.

თუ ფრენის ხანგრძლივობა აღემატება 3 საათს, მაშინ ყველა მგზავრისათვის გათვალისწინებულია სპეციალური კვება. კვების მიწოდების მოცულობა და სიხშირე დამოკიდებულია რეისის ხანგრძლივობასა და მომსახურების კლასზე. შორეული მაგისტრალური და ტრანსკონტინენტური რეისების დროს მგზავრებს ერველი 4 საათის ინტერვალით, მიეწოდებათ ცხელი საჭმელი.

აღსანიშნავია, რომ მგზავრობის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით იცელება თვითმფრინავში კვების ფორმები. კერძოდ, **B** (breakfast) – საუზმე, **L** (lanch) – მეორე საუზმე, **D** (diner)- სადილი, **S** (snack) – მსუბუქი კვება, **X** (More than one meal) – მრავალჯერადი კვება.

ავიაკომპანიების უმეტესობა მგზავრთა კვებისათვის იცავს შემდეგ სქემას:

2-3 საათის ფრენისას – ცივი საუზმე

3-6 საათის ფრენისას – ცხელი კვება

6 საათზე მეტი ფრენისას – ორი ცხელი კვება

12 საათზე მეტი ფრენისას – ორი ცხელი კვება, ერთი ცივი საუზმე.

უკანასკნელ პერიოდში ავიახაზებზე შემოიდეს ე.წ. “სპეციალური კვება”, რომელიც დამოკიდებულია მგზავრთა ჯანმრთელობაზე, ჩვევებზე ან ეროვნულობაზე.

თვითმფრინავში საჭმლის კომპაქტურად მიწოდება ერთდროულად წარმოებს 200-300 და ხანდახან 500 ადამიანზე, შემდეგ კი გამოყენებული ჭურჭლის ალაგება, დასუფთავება – საკმაოდ რთული სამუშაოა სტიუარდების ჯგუფისათვის.

დიდი ყურადღება ექცევა საკვების შემაღებელობასა და ხარისხს.

კვება პერსტიულ კლასებში უფრო უხვია და ხშირად კერძებს ასარცევად სთავაზობენ. სასადილო მოწყობილობა მეტალისაა და არა ერთჯერადი პლასტმასის. პირველ და ბიზნესკლასებში სპირტიანი სასმელების არჩევანი მრავალფეროვანია. ზოგიერთი ავიაპომპანია თვითმფრინავში ხსნის დია ბარს. მგზავრს შეუძლია მისთვის სასურველ დროს ისარგებლოს რომელიმე სასმელით.

**მაღაზია** – საერთაშორისო რეისებზე ფრენისას მგზავრებს ბორტკერსონალი სთავაზობს პარფიუმერიას, თამბაქოს ნაკეთობებს, სპირტიან სასმელებს, კანფეტს, შოკოლადს და ტურისტული ასერტიმენტის სხვადასხვა საგნებს. ფორმალურად ეს არის მაღაზიის ფილიალი – ბორტზე. ტურისტები სიამოვნებით ყიდულობენ საქონელს, განსაკუთრებით კი სპირტიან სასმელებს მოგზაურობიდან უკან დაბრუნებისას, თუ რა თქმა უნდა მოგზაურობის შემდგომი განწყობილება კარგია და თუ ადგილობრივმა ვაჭრებმა მოგზაურობისას სულ არ დაახარჯინეს ტურისტებს თავიანთი ფული. ტურისტმა უნდა გაითვალისწინოს, რომ შეიძლება შეფერხდეს რეისი, ან შეიცვალოს ამინდი, თვითმფრინავი დაჯდეს სხვა აეროპორტში და სხვ. ამ შემთხვევებისათვის, გამოცდილი ტურისტი აუცილებლად გადაინახავს გარკვეულ თანხას.

**რადიო, ტელევიზია.** მაღაზის კლასის თვითმფრინავთა სალონები რადიოფიცირებულია და უზრუნველყოფილია ტელევიზიოთ. საგარძლების ყოველ 5 რიგზე გათვალისწინებულია ერთი მომცრო ზომის ტელევიზორი. რეისის პროცესში მგზავრებს შეუძლიათ ნახონ კინოფილმები, აჩვენებენ აგრეთვე ფრენის მარშრუტის რუკას, თუ სად იმყოფება თვითმფრინავი ფრენის მოცემულ მომენტში და სხვ.

პირველი და ბიზნეს-კლასის სალონებში ტელევიზორი გათვალისწინებულია ყველა ადგილისათვის, პროგრამის ამორჩევის შესაძლებლობით.

**გავშირი.** საერთოდ თვითმფრინავის ბორტზე აკრძალულია სარგებლობა რადიომიმღებებით, მაგნიტოფონებით, ტელეფონის აპარატურებით (მათ შორის ფიქსურითაც), და აგრეთვე კომპიუტერებით.

თანამედროვე ლაინერებში გამოყენებულია სპეციალური სატელეფონო კავშირი (**airphone**). მგზავრებისათვის ტელეფონებით სარგებლობა თვითმფრინავების ბორტზე, დაიწყო 1984 წლიდან. დღესდღეობით, ორმხრივი სატელეფონო კავშირით სარგებლობს ამერიკული თვითმფრინავების – 70%. სისტემა საშუალებას იძლევა მგზავრებმა დარეკონ და მიიღონ ზარი (სატელეფონო) მიწიდან, გაგზავნონ ფაქსიმილები და ტელეგრამები. შეიძლება დამყარდეს კავშირი თვითმფრინავებს შორის. ძირითად ლიდერად გვევლინება კომპანია – **GTE -Airfone**, რომლის მომსახურებაზეც ხელი მოაწერა 100 ათასზე მეტმა მგზავრმა და ბიზნესმენმა, და არა მარტო აშშ-ში.

ჯერ-ჯერობით ტექნიკური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, აბონენტთა ხაზების რაოდენობა შეზღუდულია. თვითმფრინავის მგზავრი გაივლის რეგისტრაციას **GTE**-ს სისტემაში, შემდეგ კი სარგებლობს ამ სისტემით.

აბონენტის რეგისტრაცია და ნებისმიერი კავშირი, გამოძახება – ფასიანია.

**კომპიუტერი.** ბევრი საქმიანი ადამიანი, რომელიც ხშირად იმყოფება მივლინებებში, თვითმფრინავით ფრენის დროს იყენებს კომპიუტერს მუშაობისათვის. თანამედროვე სამგზავრო თვითმფრინავებში გათვალისწინებულია კვების საბორტო ქსელი, პორტატული კომპიუტერის (**note-book**) შესაერთოებლად.

**საბორტო უკრნალ-გაზეთები.** ფრენისას თვითმფრინავის სალონებში მგზავრებს სთავაზობენ ახალ ქურნალ-გაზეთებს. ყველა სოლიდური კომპანია გამოსცემს საკუთარ, ილუსტრირებულ საბორტო ქურნალებს. მათი შეძენა შეიძლება თვითმფრინავის ბორტზე, ავიასალაროებში და ავიაკომპანიის წარმომადგენლობაში.

**ტუალეტი.** მგზავრებისა და ეკიპაჟისათვის, თვითმფრინავის ბორტზე მოწყობილია ტუალეტები. ჩვეულებრივ სალონებში მგზავრებისათვის მოწყობილია მანათობელი ტაბლო, რომელიც ნიშანს იძლევა დაკავებულია თუ არა ტუალეტი. ტუალეტებში თამბაქოს მოწევა სასტიკად აკრძალულია.

**თამბაქოს მოწევა.** ავიაკომპანიების უმეტესობა რეისების დროს სალონებში თამბაქოს მოწევას კარეგორიულად კრძალავს. მოწევა ნებადართულია მხოლოდ ამისათვის განკუთვნილ სპეციალურ სალონებში. ზოგიერთმა ავიაკომპანიამ აკრძალა თამბაქოს მოწევა ნებისმიერ რეისზე.

ხანგრძლივი დამის რეისების დროს, მგზავრებს შეუძლიათ გადასწიონ საგარმლების საზურგე და დაიძინონ. მსურველებზე გაიცემა მსუბუქი პლედები. ეს გადასაფარებლები ინახება საბარგო განყოფილებაში, ან სავარძლის ზევით თაროზე. საბორტო კომპლექტი ითვალისწინებს გადასაფარებლების რაოდენობას ყველა ადგილზე სალონებში.

**გარჯოში** - ხშირად ფრენა რამოდენიმე საათს გრძელდება. სავარძელში ჯდომა ხანგრძლივი ფრენისას დამდლელია, ეს კი იწვევს დისკომფორტს. ამ დროს ადამიანს სჭირდება წელში გამართვა, კუნთების გაცარჯიშება, რათა თავი უკეთ იგრძნოს. თვითმფრინავის სალონის პირობებში ეს უხერხელობას იწვევს. ამიტომ შემუშავებულია ვარჯიშების სპეციალური კომპლექტი ფრენისას. ეს ვარჯიშები საშუალებას იძლევა შესრულდეს გარკვეული მოძრაობები საგარმლიდან აუდგომლად: წრიული მოძრაობა თვით, ხელებისა და ხელის მტევნების მოძრაობა, მხრებისა და ფეხის ტერფების წრიული მოძრაობა, ფეხების შემოკეცვა ხელების დახმარებით და სხვ. დეტალურად ასეთი ვარჯიშები აღწერილია საბორტო ქურნალებში, რომლებსაც ფრენისას სთავაზობენ მგზავრებს.

**ჰესტრემალური პირობები** - ფრენისას, მგზავრთა გადაყენისათვის შექმნილია უსაფრთხოების მაქსიმალური პირობები. ფრენას, ყველა მგზავრი ვერ იგანს ნორმალურად. ზოგიერთს (განსაკუთრებით აფრენა-დაჯდომისას, ან რეეფისას) ეწყება თავის ტკივილი, ან გულისრევა, ამიტომ მათზე გაიცემა სპეციალური ჰიგიენური პაკეტები (პარკები). ჟანგბადის უკმარისობისას, მგზავრთათვის განკუთვნილია იხდივიდუალური ჟანგბადის აპარატები. იმ მგზავრებისათვის, რომლებსაც ეშინიათ სიმაღლის, ფანჯარასთან (ილუმინატორთან) ჯდომა რეკომენდირებული არ არის. აკრძალულია მასიური მოძრაობა სალონებში,. დაუშვებელია ნებისმიერი პანიკა ფრენისას

საპარავო ხომალდის ბორტზე არ არის გათვალისწინებული პარაშუტები. ტექნიკური გაუმართაობის, ან სხვა ექსტრემალურ შემთხვევებში, როდესაც ფრენის გაგრძელება შეუძლებელი ხდება, ხორციელდება ავიალინერის ავარიული დაჯდომა მიწაზე ან წყალზე.

ავარიული დაჯდომის გამოცხადების შემთხვევებში, მგზავრებმა უნდა შეიკრან დამცავი ღვედები, რაც შეიძლება მჭიდროდ, ამ დროს რეკომენდებულია სავარცხლის, ავტოკალმის, ნებისმიერი ბასრი ნივთის ტანსაცმლიდან ამოღება. აგრეთვე უნდა მოიშორონ სათვალეები, პალსტუხი, მაღალქუსლიანი ფეხსაცმლები და სხვ.

მგზავრი ღვედულობს შემდეგნაირ პოზას: იგი მჯდომარე იხრება წინ, ხელებს შემოაჭდობს მუხლებს, ხოლო თავით იხრება წინ ხელებისაკენ.

ავარიული დაჯდომის შემთხვევისთვის და მგზავრთა თვითმფრინავიდან გადმოყვანისათვის მიწაზე ან წყალზე, სალონებში მოწყობილია რამოდენიმე ავარიული გასასვლელი (ლუკები), მზადყოფნაშია გასაბერი ტრაპები, რომლის საშუალებითაც მგზავრები სწრაფად ჩაცურდებიან მიწაზე. წყალზე დაჯდომისას, ყველა მგზავრს ეძლევა გასაბერი მაშველი უილეტი, რომლებიც შენახულია საბაგაურ განყოფილებაში, ან მგზავრის სავარძლის ზემოთ თაროზე (ან სავარძლის ქვემოთ). თვითმფრინავის ბორტზე შეიძლება იყოს გასაბერი მაშველი ნავიც.

#### 4. დაზღვევა და ფრენათა უსაფრთხოება

როგორც ნებისმიერ ტრანსპორტს, ასევე საპარკის უმუქრება ესა თუ ის საფრთხე. დაზღვევას აქვმდებარებიან მგზავრები, მათი ბარგი, ეკიპაჟი და თვითონ საპარკის სამალდიც. ცალკე იზღვევა გადამზიდის პასუხისმგებლობა და მესამე პირთა ზარალი, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას ავარიის შედეგად.

**საერთო საკითხები** - საპარკო ტრანსპორტის საშუალებათა დაზღვევა დაზღვევის სახეობა ერთობლიობა, რომელიც ითვალისწინებს დამზღვევის ვალდებულებებს სადაზღვევო გადასახადებზე. ეს არის სრული ან ნაწილობრივი კომპენსაცია იმ ზარალზე, რომელიც განიცადა დაზღვეულმა.

დაზღვევის ობიექტად გვევლინება იმ პირთა ქონებრივი ინტერესები, რომელთა დაზღვევისთვისაც იდება ხელშეკრულება (დაზღვეული პირისა), რომელიც დაკავშირებულია საპარკო ხომალდის ფლობასა და მოხმარებასთან. სადაზღვევო პირობები ითვალისწინებენ საპარკო ხომალდის დაზიანებას ან განადგურებას (გატაცება, მოპარვა). აქ შედის მოტორები, ავეჯი, შიდა მოპირკეთება (ხომალდის), მოწყობილობები და სხვ.

ავარიუმ მყარად დაიკავა თავისი ადგილი მგზავრებისა და ტვირთის გადაზიდვის საქმეში. ტექნიკის თანამედროვე დონე საფრენი აპარატების მაღალი საიმედოობის უზრუნველყოფის საშუალებას იძლევა.

ავარიუმის ანალიზისას ირკვევა, რომ ავარიები საპარკო ტრანსპორტზე ნაკლებია, ვიდრე რეკინიგზის ტრანსპორტზე, მაგრამ ამ დროს საპარკო კატასტროფები, როგორც წესი მძიმე შედეგებით მთავრდება.

ყველა საპარკო ხომალდი, აგრეთვე მგზავრებისა და ტვირთის გადაზიდვები აქვმდებარება დაზღვევას.

**საავარიუმო დაზღვევა** – ეს დაზღვევის ცალკე დარგია. იგი მოიცავს არა მხოლოდ საპარკო ხომალდებისა (თვითმფრინავი, ვერტმფრენი და სხვა ტექნიკური საშუალებება) და აეროპორტების დაზღვევას, არამედ იზღვევა პასუხისმგებლობა მგზავრთა მიმართ მათ სიცოცხლეზე, ჯანმრთელობაზე და ბარგზე. აგრეთვე იზღვევა პასუხისმგებლობა მესამე პირთა მიმართ, საპარკო ხომალდების ექსპლუატაციის შედეგად მიღებულ ზარალზე.

სადაზღვევო ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს, როგორც გარკვეული ვადით, ასევე ერთ გაფრენაზეც (რეისზე). აგრეთვე დაზღვევა შეიძლება განხორციელდეს, საავარიუმო ტექნიკის გამოფენის ორგანიზაციისას და სადემონსტრაციო ფრენებისას.

**კოსმოსური პროტოკოლი.** კოსმოსური ტექნიკის განვითარებასთან ერთად, წარმოშება დაზღვევის ახალი სახეობა – კოსმოსური რისკების დაზღვევა.

ტურისტულ მომსახურებათა ბაზარზე გაჩნდა ინდივიდუების მოთხოვნები კოსმოსურ ფრენებზე, გასართობი ტურისტული პროგრამის ფარგლებში. ჯერ-ჯერობით ფასი საქმიან მაღალია – 20-50 მილიონამდე (\$), და ყველასთვის არ არის ხელმისაწვდომი. მთლიანობაში კოსმოსური პროგრამები წარმოადგენენ განსაკუთრებულ სადაზღვევო სფეროს.

➤ საპარკო ხომალდების მფლობელთა მიმართ პასუხისმგებლობის დაზღვევა მოიცავს:

- საპარკო ხომალდების უსაფრთხო შენახვას;
- ხომალდების სახმელეთო მომსახურებას;
- ხომალდების საწვავით უზრუნველყოფას;
- საპარკო მოძრაობათა მართვას;
- მესამე პირთა მიმართ პასუხისმგებლობის დაზღვევას;
- მგზავრების უსაფრთხოებას და მომსახურებას;
- ტვირთის შენახვა-დამუშავებას;
- საავარიუმო პროდუქტს, საქონელს და მომსახურებას;
- საბორტო კვებით უზრუნველყოფას.

სამხედრო-სადაზღვევო კომპანია სთავაზობს და ფართოდ ახორციელებს საპარკო ხომალდების დაზღვევას.

საპარტო გადაზიდვათა ბაზარზე ბევრი სადაზღვევო კომპანია მოქმედებს. მგზავრებს სთავაზობენ დაზღვევის სპეციალურ სახეებს კონკრეტულ ავიარეისზე, ტურისტის (მგზავრის) დაგვიანების შემთხვევაში, გადამყვანის დაგვიანების შემთხვევაში. დაზღვევა შეიძლება შეიძინოთ სადაზღვევო ან ტურისტული კომპანიების საგენტოში. როგორც წესი, სადაზღვევო კომპანიების ოფისები განლაგებულია აეროპორტების ტერიტორიაზე, რეგისტრაციის დარბაზებში და სთავაზობენ თავიანთ სამსახურს მგზავრებსა და ტურისტებს.

ფრენათა უსაფრთხოების დროს მთავარია ხომალდის სათანადო ტექნიკური მდგომარეობა და ფრენათა უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

პირველი მიიღწევა, ხომალდის კონსტრუქციის მუდმივი დამუშავებითა და სრულყოფით, ტექნიკური საშუალებების პრეცენტითა და რემონტით. მეორე კი - მფრინავი შემადგენლობის მაღალი მოთხოვნილების შესაბამისი მომზადებით, მათი პროფესიონალიზმით.

საპარტო გადაზიდვები ითვლება უფრო უსაფრთხოები, ვიდრე გადაზიდვის სხვა საშუალებები. ავარიები და კატასტროფები ხდება, მაგრამ ნაკლებად ვიდრე სხვა ტრანსპორტით გადაზიდვებისას. ერთი კია, თუ ექსტრემალურ სიტუაციას მიეჭავართ საპარტო ხომალდის ჩამოვარდნამდე მცირე სიმაღლიდანაც კი, მაშინ გადარჩენის შანსები, პრაქტიკულად არ არსებობს (ხდება სასწაულებიც).

უსაფრთხოების სამსახურები ახორციელებენ ექსტრემალური სიტუაციების კონტროლს, როგორც ჰაერში, ასევე მიწაზე,

თვითმფრინავი წარმოადგენს მომხიბლებელ ობიექტებს როგორც ტურისტებისათვის ისე ტერორისტებისათვის. გვხვდება აგრეთვე როგორც შიზოფრენიით შეპყრობილი, ასევე მოუსვენარი-მოჩხებარი მგზავრი (ხშირად ზედმეტი ალკოჰოლის მირების მიზეზით), ხშირია თვითმფრინავის ხელში ჩაგდების შემთხვევები, ტერორისტების ან სხვა პირთა მიერ. ტერორისტები ხშირად ახაერხებენ იარაღის ატანას ხომალდის ბორტზე. მიტომ სახელეთო სამსახურები ატარებენ პრევენციულ-ოპერატორულ ღონისძიებებს. პირველ რიგში ხორციელდება საპარტო ხომალდების საგულდაგულო კონტროლი მის ტექნიკურ მდგომარეობაზე. პორტში ხომალდების იცავენ, დარაჯობენ ყველა თვითმფრინავს გაჩერებებსა და ბოქსებში, სადაც ისინი გადიან ტექნიკურ დათვალიერებასა და რემონტს.

აეროპორტებში, რეგისტრაციის ეტაპის დროს, ხდება მგზავრთა როგორც ვიზუალურად შემოწმება, ასევე მეტალისმაძიებლით ან სხვა ტექნიკური საშუალებებით. ნარკოტიკების აღმოსაჩენად იყენებენ სპეციალურად გაწვრთნილ ძაღლებს.

უსაფრთხოების სამსახურები აქტიურად იყენებენ კომპიუტერულ ბაზას, სადაც მოცემულია სხვადასხვა პირთა მონაცემები, ესენი არიან პირები, რომლებიც ძებნაში იმყოფებიან (გამოცხადებულია ძებნა), ან შეტანილი არიან ე.წ. „შავ სიაში“ – სხვადასხვა მიზეზებით. ავიაკომპანიები აწვდიან ასეთ „შავ სიებს“ ერთმანეთს.

საპარტო ხომალდების დაცვის მიზნით, ტარდება მგზავრთა და მათი ბარგის შემოწმება რეგისტრაციისა და რეისზე ჩასხდომის დროს. მიუხედავად ამისა ხშირია ტერორისტების მიერ თვითმფრინავების დაკავების ფაქტები – ჰაერში, აგრეთვე ხომალდის გატაცება სხვა მხარეს.

სამოქალაქო ავიაციის ორგანიზაციის დაწყებიდან (გამორიცხულია ომის პერიოდი) რეგისტრირებულია 1000-ზე მეტი ტერორისტული აქტი და საპარტო ხომალდების გატაცება. ეს ყველაფერი დაიწყო 1931 წელს, როდესაც ხელში ჩაიგდეს პერუს ავიალაინერი. 1948 წლიდან დაიწყო თვითმფრინავების აქტიური გატაცებები, რომელთა 40% მოდიოდა საბჭოთა კავშირსა და ჩინეთზე. განსაკუთრებით კი 1969-1976 წლებში, 1990 წელს განხორციელდა 41 ტერორისტული აქტი საპარტო ხომალდებზე.

დღეს ყველა აეროპორტში ორგანიზებულია და მზად არიან სამუშაოდ შემყრობი, დამკავებელი მებრძოლი ჯგუფები. ტერორისტების ან გამტაცებლების შეაყრობა, დაკავება დიდად სარისკო საქმეა. ოპერაციების დროს საფრთხე ემუქრება მძევლების, მგზავრების, თავად მებრძოლი დამკავებელი ჯგუფის წევრების სოცოცხლეს. თავისი შედეგების მიზევით, ეს ყველაფერი გაცილებით უფრო დრამატულია, ვიდრე ამას „კინობოლევიკებში“ აჩვენებენ. ოპერაციების შედეგად ხშირია მსხვერპლი (ორიგე მხრიდან). ხშირად ამ ოპერაციების თანმიმდევრობას აჩვენებენ ტელევიზიონით (მოლაპარაკებათა მსვლელობა და სხვ.). დიდი ჯაფა აწევთ ფსიქოლოგებს, რომლებიც აწარმოებენ მოლაპარაკებებს.

### თემა III. საპარო ტრანსპორტი (გაგრძელება)

#### 1. საპარო ტრანსპორტის მომსახურების გაყიდვები

ავიაკომპანიები, რეისებზე ავიაბილეთების გაყიდვის მიზნით, აყიდვებენ სააგენტოთა ფართო ქსელს, ისეთებს როგორიცაა ცენტრალური სააგენტო, ტრანსსააგენტო, დამჯავშნავი სააგენტოები და ტურისტული სააგენტოები.

ავიაბილეთის გაყიდვისას ტურსააგენტოს უნდა ჰქონდეს შემდეგი ინფორმაციები:

- რეისის ნომერი;
- მომსახურების კლასი;
- გამგზავრების თარიღი;
- გამგზავრების ადგილი;
- ადგილების საჭირო რაოდენობა;
- მგზავრთა გვარები, ინიციალები, პასპორტის ნომრები (საერთაშორისო რეისებზე);
- სამსახურის ან სახლის ტელეფონის ნომერი, ოპერატიული კონტაქტისათვის;
- აგენტის გვარი, სახელი ან იმ ტურისტული სააგენტოს დასახელება, რომელიც მარშრუტის ფორმირებით არის დაკავებული;
- ტრანსფერის აუცილებლობა, ან სხვა სახის მომსახურება მიწაზე (შეკვეთა ავტომობილების დაქირავებაზე, გადაზიდვები და სხვ.);
- ფასდაკლებათა პირობების ჩამონათვალი.

**ბილეთი** – დადგენილი ფორმის პერსონიფიცირებული დოკუმენტი, გადაყვანის ხელშეკრულების დამმოწმებელი. ბილეთი აძლევს უფლებას მგზავრს, გადაფრინდეს ბილეთში მითითებულ ორ ობიექტს შორის მითითებულ მარშრუტზე. ბილეთი ადგენს (მიუთითებს): გადამყვანის მოვალეობებს; გადაყვანას დადგენილ დროში, მანძილსა და მომსახურების კლასს. ილეთი წარმოადგენს იმის მტკიცებულებას, რომ ფორმულიარში მითითებული თანხა გადახდილია. მაში მოცემულია მოკლედ სხვადასხვა წესები (ბილეთის დაბრუნება, ანულირება).

საერთაშორისო საპარო სამგზავრო გადაყვანისათვის გამოიყენება ფორმულარი, რომელიც დაღვენილია IATA-ს მიერ (საერთაშორისო ორგანიზაცია).

შიდა გადაზიდვებისათვის, ავიაკომპანიებს შეუძლიათ დაადგინონ და გამოიყენონ ბილეთების საკუთარი ფორმულიარი, მაგრამ უფრო ხელსაყრელია სტანდარტული ფორმულიარების გამოყენება, ამ დროს საჭირო აღარა საკუთარი საბილეთო ფორმულარის შემუშავება და გამოყენება.

ბილეთი შეიძლება გამოიწეროს როგორც ერთ პირზე, ასევე პირთა ჯგუფზეც. მაგალითად შედაგათიან საოჯახო ტარიფზე. ამ შემთხვევაში ბილეთი გამოიწერება ოჯახის უფროსზე, სადაც მითითებული იქნებიან ის პირები, რომლებიც მასთან ერთად იმგზავრებენ.

ზოგ შემთხვევებში ხდება ბილეთის ანულირება, ხოლო სანაცვლოდ გაიცემა ახალი, სხვა ბილეთი (მაგ., შეცდომა ბილეთში მოცემულ ინფორმაციაზე). ასეთ ბილეთზე კეთდება შტამპი წარწერით „გამოცვლილია“ – "exchanged".

**უბილეთო ფრენა** - ბორტპარსონალის დაუდევრობისა ან სხვა მიზეზებით, შესაძლებელია საპარო ხომალდის ბორტზე აღმოჩნდეს უბილეთო მგზავრი. არის მეორე, საქმაოდ რეალური ვარიანტიც, მგზავრის მიერ ბილეთის დაკარგვა ჩასხდომის პროცესი, ან ტერმინალზე რეგისტრაციის გავლის შემდგა. ეს ექსტრემალური სიტუაცია გვარდება შიდა ხაზებზე მგზავრთა საპარო ტრანსპორტით გადაყვანის ეროვნული წესებითა და ხორმებით.

საერთაშორისო გადაყვანის დროს, თუ მგზავრს არ აღმოაჩნდა ბილეთი ან სხვა დოკუმენტი (საბაგაჟო ქვითარი ან სხვ.). ამ შემთხვევაში გადამყვანის პასუხისმგებლობა და ვალდებულება იზრდება. პრობლემის გადაწყვეტა ხდება საერთაშორისო საპარო გადაზიდვათა წესებზე დაყრდნობით.

**ავიაბილეთების გასაყიდი საგვენტო.** ავიაკომპანიებს, ყველა პუნქტებში, სადაც კი ფრენა ხორციელდება, ყავთ თავიანთი წარმომადგენლობები, რომლებიც ორგანიზაციას უწევენ ავიაბილეთების გაყიდვასა და გაფრენათა ორგანიზაციას.

ავიაბილეთების გაყიდვის სისტემა სატმაოდ სრულყოფილია, არსებობს საფირმო სააგენტოები, რომლებიც მხოლოდ კონკრეტული ავიაკომპანიის ბილეთებს ყიდიან, და საერთო სააგენტოები, რომლებიც ყიდიან ავიაბილეთებს სხვადასხვა ავიაკომპანიათა რეისებზე. თანამედროვე სააგენტოები აღჭურვილია დაჯავშნის სისტემის ავტომატიზირებული კომპიუტერული ქსელის ტერმინალებით და სპეციალური მოწყობილობით სტანდარტიზირებული ბილეთების ფორმულიარის გასაფორმებლად. არსებობს აგრეთვე ბილეთებისა და ჩასასხდომი ტალონების გაფორმების ავტომატიზირებული სისტემები.

ადსანიშნავია, რომ თავად ფაქტი ავიაბილეთის დაჯავშნისა არ გვევლინება ბილეთის გაყიდვის ფაქტიად. ნებისმიერი ჯავშანი ძალაშია მხოლოდ ავიაბილეთის გამოწერის შემდეგ. იმ შემთხვევაში, თუ ელიქტრი უარს ამბობს ჯავშანზე, აგენტი ვალდებულია ჩაბაროს განთავისუფლებული ადგილი კომპანიას. მას არა აქვს უფლება დამოუკიდებლად მიჰყიდოს ეს ადგილი სხვა კლიენტს.

თუ ჯავშნის ქსელში არ არის თავისუფალი ადგილი, კლიენტის განაცხადს ამ დროს აფიქსირებენ მოსაცდელ ფურცელზე. თავისუფალი ჯავშნის გამოჩენისთანავე იგი კმაყოფილდება.

პრაქტიკაშია მგზავრთა ჩამატება ავიარეისზე, იმ შემთხვევაში, თუ გამოჩნდა თავისუფალი ადგილი. წინასწარ ავიაკომპანია არანაირ გარანტიებს არ იძლევა.

**რეისები შეპირაპირებით.** ავიასააგენტო ვალდებულია დააკმაყოფილოს მგზავრი დაჯავშნის ალტერნატიული ვარიანტით, გზის იმ მონაკვეთზე, სადაც გაურკვევებულია სხვა რეისზე გადასაჯდომი დაჯავშნილი ადგილის საქმე.

**Direkt sell.** დღეს ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში განვითარებულია ტურისტულ მომსახურების კლიენტები პირდაპირი გაყიდვის მეთოდი. მათ შორისაა ავია ბილეთებიც – **direkt sell**. დაჯავშნის და სხვა მომსახურებათა ახალი მეთოდოლოგია რეალიზებულია კომპიუტერულ და სხვა ქსელებში, რომელიც ის ითვალისწინებს მომსახურებათა დაჯავშნას უშუალოდ კლიენტის მიერ, სააგენტოს ან ტურისტულ ფირმის ჩარევის გარეშე.

**ბაგშევების გადაყვანა.** ბაგშევად ითვლება 2-დან 12 წლამდე ასაკის. მოზარდი - 11-დან 16 წლამდე (11-16). ბაგშევები 2 წლამდე ადგილობრივ ავიახაზებზე გადაიყვანებიან ან უფასოდ, ან 90%-ის ფასდაკლებით. 2-დან 12 წლამდე ბაგშევებს ეკუთვნით ფასდაკლება – 50%-ით.

თუ რამდენი ბაგშევის მგზავრობა შეიძლება ფასდაკლებით, ამას ავიაკომპანიები სხვადასხვაგვარად ადგენენ.

ჩარტერულ რეისებზე ბაგშევებისათვის 2-დან 12 წლამდე, რომლებიც იკავებენ ცალკე სავარძელს, როგორც წესი ფასდაკლებები არ არის.

**ინგლიდები, ბაგშევები გამცილებლის გარეშე, აგადმყოფები.** ინგლიდები შეზღუდული მოძრაობებით, ინგლიდები ეტლებით, გადაიყვანებიან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე. აგადმყოფებს ახლავთ ექიმი ან გამცილებელი.

28 კვირაზე (7 თვე) მეტი ხნის ორსული ქალები ფრენაზე არ დაიშვებიან ექიმის ნებართვის გარეშე.

უსინათლო მგზავრები ჩვეულებრივ გამცილებლის თანხლებით მგზავრობენ, ზოგიერთ ავიახაზებზე თანმხლები პირისათვის დადგენილია 50%-იანი ფასდაკლება.

შესაძლოა 3-12 წლის ბაგშევების მგზავრობდნენ თანმხლები პირის გარეშე. ასეთ შემთხვევაში ბორტგამცილებელს აჲყავს ბაგშევი ხომალდის ბორტზე, ზრუნავს მასზე ფრენის პერიოდში, საერთაშორისო რეისებზე კი ეხმარება დეკლარაციებისა და დოკუმენტების შევსებაში. შემდეგ აცილებს ბაგშევს სადგურის

ტერმინალამდე, გადის მასთან ერთად უვალა ფორმალობებს და გადასცემს მას დამხვედრ პირს. ასეთი სამსახური მოითხოვს დამატებით გადასახადს და მისი შეკვეთი ხდება წინასწარ.

**არასასურველი მგზავრები.** ავიაკომპანიები აწარმოებენ და აწვდიან ერთმანეთს სპეციალურ არასასურველი მგზავრების „შავ სიებს“ (აყალმაყალის ამტენი, ლოთები, სულიგნები), რომელთაც ნებატიურად გამოავლინეს თავიანთი თავი ფრენისას, ან მომსახურების დროს.

ზოგიერთი ავიაკომპანია უარს აცხადებს პატიმართა გადაყვანაზე, რომელთაც შეიარაღებული ბადრაგი ახლავს. ნებისმიერი ამ სახის გადაყვანების დროს, კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გაიცემა სპეციალური ნებართვა.

**ტურისტული სააგენტოს პროფესიული ეთიკა, ავიაბილეთების დაჯავშნის დროს.** საქმიანობის წარმატებით განხორციელებისათვის უვალა პროფესიას გააჩნია თავისი ეთიკური წესები.

დაჯავშნის პროცედურების რაციონალურად ორგანიზებისა და კლიენტების მადალი ოპერატიული და ხარისხიანი მომსახურების მიზნით, ტურისტული ან სატრანსპორტო სააგენტოს მოსამსახურე ვალდებულია ეყრდნობოდეს **შემდეგ წესებს:**

- ბილეთების დაჯავშნის პროცედურის წესების დაცვა. წესები დადგენილია მოცემული ავიაკომპანიის მიერ;
- არ შეუკვეთოს ორმაგი ჯავშნი ერთი და იგივე კლიენტისათვის;
- ნებადართული არ არის გამოიწეროს ორი ბილეთი იმ შემთხვევაში, თუ ცნობილია, რომ მგზავრი ერთი მათგანით არ ისარგებლებს;
- აუცილებელია ყოველთვის პქნების სათანადო ინფორმაცია კლიენტის მაგრატიული კავშირისათვის, განრიგის შეცვლის შემთხვევაში ან სხვა;
- ჯავშნის ანულირების შემთხვევაში (კლიენტის მიერ), დაუყოვნებლივ უნდა მოიხსნას ჯავშნი ავიაკომპანიაში;
- ავიაკომპანიის მიერ თანხმობის მოწოდებამდე, არ უნდა გამოიწეროს ავიაბილეთი გარანტირებული ადგილით;
- გადასაფრენად დაჯავშნილი ადგილი, უნდა იყოს წესებთან შეთანხმებული და სათანადოდ დოკუმენტირებული.

ვარშავის კონგრესის თანახმად, სამგზავრო ბილეთის დაკარგვისას მგზავრი კარგავს მგზავრობის უფლებას, თუმცა მისი აღდგენა შეიძლება გარევეული დროის შემდეგ

საპარო გადაზიდვათა საშუალო ფასების რეგულირება ხდება საერთაშორისო შეთანხმების – IATA-ს პრინციპებით.

პირველი და მთავარი პრინციპი, რომელიც ახასიათებს მგზავრების ან ტვირთის გადაზიდვებს, განსაკუთრებით კი ტურიზმში, ეს არის მგზავრობა ორივე მხარეს. გადაზიდვები ორივე მხარეს მომგებიანია, ამიტომ ასეთი მგზავრობა უფრო იაფი ჯდება, ვიდრე ცალ მხარეს მგზავრობა – კლიენტს შეუძლია დაბრუნდეს თუნდაც ერთი წლის შემდეგ, ოღონდ უნდა გადაიხადოს ტარიფით „ორივე მხარეს“ (იქით და უკან მოგზაურობის დირექტულება).

ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ თვითმფრინავი 1%-ით იქნება დატვირთული თუ 100%-ით, რეისის შესასრულებლად მისთვის ერთნაირი რაოდენობის საწვავია საჭირო. ამიტომ, თვითმფრინავის დატვირთვას პრინციპული მნიშვნელობა აქვს ტრანსპორტის რენტაბელური ფუნქციონირებისათვის. ბევრ ქვეყნაში ფართოდაა დანერგილი დატვირთვის სტიმულირების მეთოდები: ბილეთის წინასწარი შეძნის შემთხვევაში შედაგათიან ფასებში რეალიზაცია, მგზავრობისას დამატებითი მომსახურება, მომსახურების მაღალი დონე, მგზავრთა დასაჩუქრება. განსაკუთრებით საყურადღებოა იმ ბილეთების დაბალ ფასებში გაციდვა, რომელიც მგზავრს ჩაიყვანს დანიშნულების ადგილამდე და უკან დაბრუნებს ნებისმიერ დროს. ამას ინგლისურად **“round trip”** ბილეთი ეწოდება. ამ სახის ბილეთებზე ფასების შემცირება ხორციელდება ეწ. **“one way”** – ერთი მიმართულებით ბილეთის გაფირების ხარჯზე. მაგ., თუ თვითმფრინავი იტევს 100 მგზავრს და თოთოეული ბილეთის საშუალო დირექტულება 200 დოლარია, ბაზრის შესწავლაში ავიაკომპანიას უჩვენა, რომ მგზავრების 60% ჩადის დანიშნულების ადგილას და უკან ბრუნდება. სწორედ მომსმარებელთა ამ კატეგორიის შესანარჩუნებლად ავიაკომპანია იძლევა 25% შედავათს, რათა მათ წინასწარ შეიძლინონ ორივე გზის ბილეთი. ე.ო. გამოდის, რომ ე.წ. წრიული ბილეთის დირექტულება იქნება: \$150 +\$150 = \$300. როგორც

ავლნიშნეთ, ეს 25%-იანი შედავათი ვრცელდება მგზავრების 60%-ზე ორივე მიმართულებით მგზავრობისას. ე.ი. სულ 120 ბილეთზე (60+60). თუ გასაშუალებული ფასით ამ 120 ბილეთიდან ავიაკომპანიას უნდა მიეღო შემოსავალი \$24000( $120 \times \$200$ ), შედავათის მიცემის შემთხვევაში იგი მიიღებს \$18000 ( $120 \times \$150$ ). ეს შექმნილი დეფიციტი იყენდება 6000 (\$24000 - \$18000) შეიცვება ერთი რეისის ბილეთების ფასების მომატების გზით. ჩვენი მაგალითის შემთხვევაში მათი რაოდენობა თითოეულ რეისზე არის 40. ხოლო ორივე რეისზე 80 მგზავრი. ნამატი თითოეულ ასეთ ბილეთზე მარტივი გაანგარიშებით იქნება  $\$6000 : 80 = \$75$ . ეს თანხა ემატება რეისის საშუალო ფასს:  $\$200 + \$75 = \$275$ . ე.ი. თუ მგზავრი შეიძენს წრიულ ბილეთს, იგი დაუჯდება \$300, ხოლო ერთი მიმართულებით - \$275 (ეკონომია ასეთი მგზავრობისას უდრის \$250 (\$275+\$275 - \$300)).

## სატარიფო პოლიტიკა

- costucted fares** – ფასები, რომლებიც განსხვავდება ეკონომიური და ტურისტული კლასის ფასებისაგან, დამატებითი სერვისითა და მომსახურებით. მაგ., ბიზნეს-კლასი და სხვ.
  - joint fares** – საშუალოდე დაყვანილი, შეთანხმებული ფასები, გამოიყენება მგზავრთა გადაყვანის თრგანიზაციისას, რომელშიც მონაწილეობს არა ერთი, არამედ ორი ან მეტი გადამყვანი (გადამზიდი).
  - normal fares** – ჩვეულებრივი სატარიფო ფასები რეგულარულ რეისებზე, მოცემულია განრიგში ან პრეისკურანტში. ისინი ნაჩვენებია ნებისმიერი ფასდაკლების გარეშე, ამიტომ მაქსიმალურად მაღალია. კლიენტს შეუძლია ამოირჩიოს ტარიფი ფასდაკლებით და იყიდოს ბილეთი დაბალ ფასში.
  - sectional fares** – ამორჩეული ან გამოიყენებული ტარიფის ფასები მომსახურების კლასის გათვალისწინებით. ითვალისწინებს: ფასდაკლებას, გადაზიდვის განსაკუთრებულ პირობებს, სხვა გადამყვანთა ფასებს, რომლებიც მონაწილეობენ გადაზიდვაში. ეს შეიძლება იყოს ფასი საერთო რეისის შუალედურ პუნქტამდე.
  - through fares** – განრიგში მითითებული გადაზიდვის საერთო ფასი, საწყისი პუნქტიდან დანიშნულების პუნქტამდე. ყველა ავიაკომპანიას გააჩნიათ სპეციალური სატარიფო განყოფილება, რომელიც ახდენს სატარიფო პოლიტიკის პრინციპების ფორმირებას, ასორციელებს ტარიფების გაანგარიშებას. ებისმიერ აგენტს, საჭიროებისამებრ შეუძლია დაუკავშირდეს განყოფილებას და დააზუსტოს საჭირო მონაცემები, გადაზიდვის ფასების გასაანგარიშებლად.
- ბილეთების გაყიდვის სისტემისთვის გამოიცემა სპეციალური სატარიფო ცნობარი, ცხრილების ნაკრების სახით, რომელიც საშუალებას იძლევა ადვილად დავიანგარიშოთ მგზავრობის ტარიფი სასურველი მიმართულებით. ადვილად იანგარიშება რთული მარშრუტის ტარიფიც.

ფასების ფორმირებისას საერთო პრინციპები შეგვიძლია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

- გადაზიდვების ფასი დამოკიდებულია გადაფრენის მანძილზე და სეზონზე. ტარიფების ამაღლებას საერთო რეისის დასაშვები მანძილი. თუ საფრენი მანძილი დიდია შეადგენური გაჩერებების (დაჯდომების) ხარჯზე, მაშინ ტარიფი იზრდება;
  - ტარიფის გაანგარიშებისას ადგილი აქვს მაღალი ტარიფის სისტემებს. მაგ., თუ ბილეთის ღირებულება ორ შეადგედურ წერტილს შორის, როგორიცაა მარშრუტის დროს უფრო მაღალია, ვიდრე ღირებულება საწყის და საბოლოო პუნქტებს შორის, მაშინ მგზავრი იხდის გადაფრენისათვის უფრო მაღალი ტარიფი;
  - გამჭოლი ტარიფის გაანგარიშებისას, რამდენიმე პუნქტს შორის გადაფრენისას, გადაფრენის საბაზრო ღირებულებას წყვილ ქალაქებს შორის ფასი ემატება;
  - ფრენათა ტარიფების გაანგარიშება სხვადასხვა ქვეყნების გადამზიდვების გამოყენების შემთხვევაში ხდება გაანგარიშებათა ხეიტრალური ერთეულების გამოყენებით.
- 1989 წელს IATA-მ (საერთო გადამზიდების საერთო შორისო ასოციაცია) – მიიღო ვალუტის კონვერტაციის მსოფლიო სისტემა, რომლის მიხედვით ფასების გაანგარიშებისას, ვალუტის კურსის მერყეობის გათვალისწინებაა აუცილებელი;

- **შუალედური გაჩერება.** მგზავრს აქვს უფლება შეწყვიტოს რეისი მოცემული მარშრუტის შუალედურ გაჩერებაზე, დაკუნ ამ პუნქტი რამდენიმე დღე და შემდეგ გააგრძელოს მოგზაურობა მოცემული მარშრუტით. ამ ოპერაციას ჰქვია **Stopover**, და იგი რეგისტრირებული უნდა იყოს სატრანზიტო (ტრანზიტის სალარო), სატრანსპორტო ან ტურისტულ სააგენტოში. თუ ტურისტმა ზუსტად იცის თავისი მგზავრობის გაგრძელების თარიღი, მაშინ მას უჯავშნება ადგილი მოცემულ რეისზე, თუ არა, მაშინ მას კიდევ ერთხელ მოუხდება მიმართოს ტრანზიტის სალაროს.

**სამგზავრო გადაყვანებისას გამოიყენება შედავათიანი ტარიფები:**

**(APX) – Advance Purchase Excursion Fare.** მგზავრთა გადაზიდვის სპეციალური შედავათიანი ტარიფი. მგზავრს, რომელმაც გადაწყვიტა ამ ტარიფით სარგებლობა, არ შეუძლია დაჯავშნის თარიღის შეცვლა. ამ დროს დგინდება გარკვეული პერიოდი - **deadline** გადაზიდვის დაწყებამდე (7-დან 28 დღემდე), რომლის შემდეგაც ამ ტარიფით ბილეთების გაყიდვა აკრძალულია. ბილეთის დაბრუნების შემთხვევაში, **deadline**-ის მოქმედების დაწყებამდე, ბილეთის თანხა ანაზღაურდება მთლიანად, ხოლო დაგვიანების შემთხვევაში დაერიცხება გარკვეული ჯარიმა.

განასხვავებენ (**APX**)-ის ტარიფის ოთხი ძირითადი სახესხვაობას:

- 1) **P1M** – ტარიფი (**APX**) – 1 თვის ვადით. ბილეთები გაიყიდება არაუგვიანეს დადგენილი ვადისა. ბილეთების თარიღი - „ორივე მხარეს“ ფიქსირდება ბილეთის გაყიდვის დროს.

გაფრენის თარიღის შეცვლა, მარშრუტის შეცვლა, ფულის დაბრუნება ფრენაზე უარის თქმის შემთხვევაში, შეიძლება მხოლოდ მოგზაურობის დაწყებამდე, საჯარიმო დაკავებებით, მხოლოდ მოქმედი ტარიფის მიხედვით.

- 2) **P2M** – ეს არის **APX**-ის ტარიფი 2 თვით.

- 3) **P3M** – ეს არის **APX**-ის ტარიფი 3 თვით.

უფრო დიდი შეზღუდვები დგინდება უკელაზე იაფი ტარიფებისათვის. **SUPER APRX-** სხვადასხვა მარშრუტებზე. ეს ტარიფები სხვადასხვანაირად დგინდება. ასეთი ტარიფის მაგალითია: **PX1M, SX1M** – ტარიფი „სუპერპეკსი“ – 1 თვის ვადით. დაჯავშნა და ბილეთების გაყიდვა ხდება ერთიდამავე დღეს. ფრენის თარიღის შეცვლა შეუძლებელია.

საპარტნერო გადაზიდვებზე მრავალნაირი ტარიფი არსებობს, მათი ნაწილი გამოიყენება თითქმის ყველგან, ხოლო ნაწილს კი იყენებენ ცალკეული ავიაკომპანიები.

კომფორტი და სისწავე რომელიც საპარტნერო ტრანსპორტისთვისაა დამახასიათებელი, ჩავულებრივი სტუდენტისათვის საქმაოდ ძვირი საიმოცნებაა. ახალგაზრდული და სტუდენტური ასოციაციები ამ პროდლემის მოგვარებას სპეციალური ფასდაკლებების საშუალებით ახერხებენ. ისინი სტუდენტ-ახალგაზრდობას სპეციალურ შედავათიან ტარიფებს სთავაზობენ საერთაშორისო და შიდა ავიასაზებზე. ეს შედავათები მხოლოდ დაბალი ტარიფით არ შემოიფარგლება. ამ კატეგორიის მგზაურებს უამრავ შედავათებსა და მომსახურებას სთავაზობენ. დაჯავშნის, შესყიდვის და გამოიყენების პირობების მიხედვით ასეთი ბილეთების ტარიფი თითქმის უტოლდება ბიზნეს-კლასის ბილეთებს.

ახალგაზრდული ტარიფები ფართოდ გამოიყენება იმ ტურისტული კომპანიების მიერ, რომლებიც სპეციალურებული არიან ამ კატეგორიის მოგზაურთა ბილეთების გაყიდვაზე.

სტუდენტური ფასდაკლების საფუძველს წარმოადგენს სტუდენტების სტუდენტებსა და ახალგაზრდებს ფასდაკლების გარდა სთავაზობენ სხვადასხვა შედავათებს. მაგ., მარშრუტის არჩევის თავისუფლება, დამოუკიდებლობის მაქსიმუმი, მარშრუტების შეცვლის შესაძლებლობა.

#### **ახალგაზრდული ტარიფის ძირითადი პირობებია:**

- ბილეთი ძალაშია 1 წლის განმავლობაში;
- დაჯავშნა შეიძლება განხორციელდეს 350 დღით ადრე, ყიდვა კი – გაფრენის დღესაც;
- შესაძლებელია გამგზავრების თარიღის შეცვლა;
- შესაძლებელია ბილეთის შეცვლა ნებისმიერ ახალგაზრდულ საგენტოში საზღვარგარეთ. მაქსიმალური საჯარიმო სანქცია – 25 USD \$ (დოლარი);
- შეიძლება ბილეთის შექნა ერთ მხარეს. ასეთი ბილეთის ფასი შეადგენს მთლიანი ტარიფის („ორივე მხარე“) – 50%-ს;
- შესაძლებელია ბილეთების შექნა ერთ ქალაქში ჩაფრენისა და სხვა ქალაქიდან გადმოფრენის უფლებით, მაშინაც კი, თუ ის სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე;
- შესაძლებელია მარშრუტების კომბინირება;

- გამორიცხულია „დასვენების დღის“ წესი და ფასი საგრძნობლად ნაკლებია ჩვეულებრივ ბილეთთან შედარებით. მაგ., ლონდონი, ტარიფი „ორივე მხარეს – 320 \$, ერთ მხარეს - 160\$. (შედარებისათვის – ჩვეულებრივი ბილეთი - „ორივე მხარეს“ - 350\$, ცალ მხარეს - 225\$ ). ახალგაზრდულ ტარიფებზე, ავიაკომპანიები ადგენენ სხვადასხვა სახის შეზღუდვებსა და წესებს ამ ტარიფის ბილეთების შეძენასა და მოხმარებაზე, დაჯავშნისს დამტკიცების წესებსა და გადებზე და სხვ.

სტუდენტური ბილეთის მფლობელები თვითმფრინავში თავიანთ ადგილს იკავებენ ეკონომკლასის ადგილებზე და სარგებლობები ბორგზე სრულყოფილი მომსახურებით. სტუდენტური ტარიფით ავიაბილეთების შეძენის აუცილებელი პირობაა **ISIC** ან **GO 25** ბარათის ფლობა, რომელიც მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში მოგზაურობის საშუალებას იძლევა. **ISIC (International Student Identity Card)** – საერთაშორისო სტუდენტური ორგანიზაციის დამადასტურებელი საბუთია. ანალოგიური საბუთი გაიცემა არა მარტო სტუდენტებზე, არამედ 25 წლამდე ახალგაზრდებზეც და სტუდენტური ჯგუფის გამცილებელ (თანმხლებ) მასწავლებლებზეც.

ბარათის მფლობელებს ტრანსპორტის ბილეთებზე შეუძლიათ მიიღონ გარკვეული შედავათები. მაგალითად, ავიატარიფებს **STA** –ს და **KILBOY**-ს საქმაო ფასდაკლებები გააჩნიათ, ამასთან, მათი მოქმედების ვადა ერთი წელია მარშრუტის შეცვლის უფლებით, ასევე არ არის ლიმიტირებული ბილეთის ყიდვისა და დაჯავშნის ვადები. ოუმცა, მას ვინც უარს განაცხადებს გაფრენაზე, მცირეოდენი ჯარიმა მაინც ეკისრება. **ISIC** ბარათის მფლობელები უცხო ქვეყანაში, საჭიროებისას სარგებლობენ სამედიცინო, ფინანსური და სხვა სახის დახმარებით.

სიყალბისაგან დაზღვევის მიზნით **ISIC 1999** აღჭურვილია შემდეგი ნიშნებით:

- სტუდენტის მონაცემებისა და ფოტოსურათის დამცავი მყარი ჰოლოგრაფიული საფარით;
- მიკრობეჭდით და ოთხფეროვანი დიზაინით;
- მაგნიტური ლენტით;
- ბარათის მფლობელის ხელმოწერისათვის განკუთვნილი ადგილით;
- ნიკალური საიდენტიფიკაციო ნომრით.

**GO 25** ბარათის მოქმედების ვადაც ერთი წელია. ამ ბარათის მიღების შესახებ დაწვრილებითი ინფორმაციის მირება შეიძლება **International Student Identity Card Handbook**-ის გამოცემიდან ან ინტერნეტის ქსელის მეშვეობით. სტუდენტთა მცირე ნაწილისათვის შესაძლებელია მოგზაურობის მინიმალური დანახარჯები ტრანსპორტზე ევროპის და დიდი ბრიტანეთის 14 ქვეყანაში დისკონტური პროგრამის **EUROBUS** –ის საშუალებით. ევროსაბჭოს (EC) ქვეყნებში შედაგათები მოგზაურობაზე შემდეგი სახისაა: სარკინიგზო ბილეთებზე 33%-დან 50%-მდე; 50% ფასდაკლება EC და ევროპის 2000 ქალაქის საერთაშორისო სარკინიგზო ხაზებზე. 33%-მდე ფასდაკლება საერთაშორისო ავტობუსის ბილეთებზე; 50%-მდე – მუზეუმების, ციხესიმაგრეების და სხვა ღირსშესანიშნაობათა ბილეთებზე. მრავალი მუზეუმი კვირაში ერთი დღე უფასოდ გმისახურება დამთვალიერებლებს, 25-45%-მდე ფასდაკლებით ტურისტულ ექსკურსიებზე და სხვა..

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა ქვეყნების ეროვნული კანონების მიხედვით შემოღებულია სხვადასხვა მოსაკრებლები სახელმწიფო საზოგროს გადალახვაზე. გადასახადს ამოიღებენ საზღვარზე, სახელმწიფოში შესვლისას ან გამოსხლისას. ეს გადასახადი შეიძლება გათვალისწინებული იყოს გადაზიდვის ღირებულებაში ავტომატურად. მაგ., აეროდრომის მოსაკრებლები როგორც წესი არ ეხებათ უცხო ქვეყნის ოფიციალურ წარმომადგენლებს, გაეროს თანამშრომლებსა და მათი ოჯახის წევრებს, სატრანზიტო მგზავრებს, რომლებიც წაფრენის დღესვე გადაფრიდებიან იმავე თვითმფრინავით, არ ეხებათ აგრეთვე ბაგჟებს 2-10 წლამდე.

## 2.ბარგის გადაზიდვის წესები

ავიაციაში ბარგის წონა და ზომა შეზღუდულია თვითმფრინავის სახისა და მომსახურების კლასის მიხედვით. ჩვეულებრივ ეს არის წონა 30 კგ პირველი კლასებისათვის ხოლო 20 კგ დასაშვები წონა სხვა კლასებისათვის.

საერთაშორისო გადაზიდვებზე ტექნიკური ხასიათის პრობლემების გარდა არსებობს საბაჟო ჟეზდუდვებიც. ეროვნული წესებით ბარგის წონა დგინდება ნივთობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლებით, რომელიც შეიძლება გაიტანოს საბაჟო გადასახადის გარეშე.

მსხვილი პაკეტირებული ბარგი ჩემოდნები, ჩანთები, პარკები გადიან სპეციალურ რეგისტრაციას (თვითოველი ადგილი) და ბარდება თვითმფრინავის საბარგო განყოფილებას. წვრილ-წვრილი პირადი ნივთები და საგნები მგზავრს თან მიაქვს სალონში. ბარგი გაივლის მყაცრ კონტროლს, იგი მთლიანად უნდა გაშუქდეს, ზოგ შემთხვევაში თუ ამის საჭიროება გაჩნდა, საქმეში უსაფრთხოების სამსახური ერთვება.

ესელა ცალპეული პაკეტირებული ნივთი გადის რეგისტრაციას, მათ მიაკუთვნებენ იდენტიფიკაციურ ნომერს, ბარგის ყველა ერთეულს (ადგილს) მიეწებება საჭდე, რეისის ნომრით, ადგილით, ბილეთის ნომრით, წვეულებრივი საგალდებულო დაზღვევის მოცულობაში შედის ბარგის დაზღვევაც, მაგრამ ანაზღაურება, დაკარგვისა ან დაზიანების შემთხვევაში საპარო გადაზიდვების დროს არ ადგმატება როგორც წესი 100 \$ (დოლარს).

მგზავრის მიერ გადაზიდვისათვის ჩაბარტებული ბარგი იყოფა უფასოდ გადასატან და დამატებით გადასახადიან ბარგად. სატრანსპორტო კომპანიები ზღუდვები არა მარტო წონას, არამედ გადასაზიდი ბარგის გაბარიტებსაც. უსაფრთხოების მიზნით შემოღებულია ჟეზდუდვები ბარგის შემაღებელობაზეც.

ტურისტების გადამყვან ზოგიერთ ჩარტერულ რეისებზე, ბარგის წონის ზღვრული ნორმა შეიძლება იყოს 50 და 199 კგ-ც კი. ზედმეტი წონის ბარგისას მგზავრი, იხდის დამატებით ტარიფს, რომელიც განსხვავებულია სხვადასხვა ავიასაზებზე.

აეროპორტში ჩაფრენისას, მგზავრებზე ბარგის გაცემის პროცედურა საქმაოდ რთულია. პირველ რიგში ხდება ბარგის სწრაფი გადმოტვირთვა თვითმფრინავიდან და მისი მიტანა სათანადო დარბაზში (საპასპორტო კონტროლის გავლის შემდეგ).

სატრანზიტო მგზავრების ბარგის შესანახად გამოიყენება სპეციალური შესანახი კამერები.

ხშირად ადგილი აქვს მგზავრთა ბარგის დაზიანებას, დაკარგვას, ჩემოდნები და ჩანთები ზიანდება, სხინიან მტკირთავები, იკარგება ძვირფასი ნივთები, შეიძლება ბარგი შეცდომით აღმოჩნდეს სხვა რეისზე, სხვა პორტში, ან სულაც ქვეყნის მეორე მხარეს, სხვა ქვეყანაში და ა.შ. ასეთი უსიამოვნებები ემართებათ, როგორც ჩვეულებრივ ტურისტებს, ასევე ცხობილ მოგზაურებსაც. ეს შეიძლება მოხდეს ნებისმიერი ავიაკომპანიის ნებისმიერ რეისზე.

დაკარგულ ბარგზე ცხადდება ძებნა. შეიძლება იგი ერთი ან ორი კვირის შემდეგ მოინახოს. რადა თქმა უნდა მგზავრი ითხოვს კომპენსაციას, მაგრამ თუ ბარგი დაზღვეული არ არის, კომპენსაცია არ ადგმატება 100 დოლარს, მორალურ ზარალზე კომპენსაციების მიღება პრაქტიკულად შეუძლებელია. მისათვის, რომ ბარგი არ დაზიანდეს მტკირთავებისა თუ სხვა მიზანით, შემოღებულია ჩემოდნებისა თუ ჩანთების შეფუთვის სპეციალური სამსახური. მათ შეკრავენ, გაამაგრებენ მწებავი ტიპის ლენტით ან სხვა მუთოდით.

პირველი კლასისა და ბიზნეს კლასის, ან „ხშირადმფრენი მგზავრი"-ს კლუბის წევრთა ბარგი განსაკუთრებული კურადღების ქვეშაა.

ბარგის მიტანა სასურველ ადგილამდე მნიშვნელოვანი ოპერაციაა. ყველა აეროპორტში პრაქტიკულად, არ არის მებარებულთა სამსახური. მგზავრებს აეროპორტები სთავაზობენ მოხერხებულ საბარგო ურიკას, რომლებიც მრავლადა აეროპორტის ყველა დარბაზში. ურიკებს, როგორც წესი სთავაზობენ უფასოდ. ზოგიერთ ქვეყანაში ასეთი ურიკები ფასიანია, ან ითხოვენ გირაოს.

იმ საგნებზე, რომლებიც აკრძალულია საპარო გადაზიდვების დროს გადაზიდვის წესისა და ფრენის უსაფრთხოების დაცვის მიზნით, შემოღებულია მთელი რიგი აკრძალვები და შეზღუდვები სხვადასხვა ნივთებისა და საგნების საპარო გზით გადაზიდვაზე. დადგენილია იმ სახითათო ნივთიერებების ჩამონათვალი, რომელთა გადატანაც ბარგით აკრძალულია. ესენია: სხვადასხვა სახის გაზები (შეკუმშული, გაყინული ან ძლიერ გაციებული) საწვავი, ბუტანი, ფანგბადი, თხევადი აზოტი. აკვალანგისტების დატუმბული ბალონები, მწვავე (მძაფრი) ნივთიერებები, მჟავა, ტუტე, ტყვია და აკუმულატორები.

განსაბუთოებით გამოიყოფა ასაფეთქებელი ნივთიერებები, სასიგნალო მაშხალები და ბენგალური მაშხალები, პისტოლეტები, რევოლვერები, საბრძოლო ვაზნები და სხვ.

გადაზიდვისთვის აკრძალულია აგრეთვე ადვილაალებადი ნივთიერებები ან ნივთები, რადიოაქტიური, დამაგნიტებული აგრესიული და გამაღიზიანებელი ნივთიერებანი, სანოებელა, სანოებლის დასატენი (დასატუმბი) ბალონები; ასანთი ან სანთებელა (ჯიბის), მგზავრს შეუძლია არ იქონიოს სალონში.

თვითმფრინავებით აკრძალულია პორტფელებისა და კეისების (სასიგნალო მოწყობილობით) გადატანა.

სახელმწიფოთა საბაჟო კანონებით, აგრეთვე აკრძალულია ან შეზღუდული იმ ნივთიერებების და საგნების გადატანა, რომელიც კონტრაბანდად ითვლება. ესენია: ნორმაზე მეტი საქონელი, პირადი მოხმარებისათვის, ვალუტა, ნარკოტიკები და წამლები, აგრეთვე ცხოველები, რომელთა გაყვანა-შემოყვანა სპეციალური ნებართვების გარეშე აკრძალულია.

მგზავრთა რეგისტრაციის დროს, როგორც გამგზავნ, ასევე მიმღებ აეროპორტებში ხორციელდება ბარგის შემოწმება, მისი გაშუქება სპეციალურ ტერმინალზე. გარკვეული ეჭვის წარმოშობის შემთხვევაში ხდება ბაგაჟის საგულდაგულო შემოწმება, შესაძლებელია ჩატარდეს პირადი წერეკაც კი.

ბარგის გადაზიდვის წესების დარღვევისათვის მგზავრი შეიძლება მიეცეს ადმინისტრაციულ, სამოქალაქო ან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში.

საერთაშორისო რეისის ჩამოსვლისას ზოგიერთ ქვეყანაში დადგენილია გასვლის (მგზავრის) ორი ვარიანტი: ა) საკონტროლო პუნქტის „მწვანე დერეფანი“ – შემოწმების გარეშე; ბ) „წითელი დერეფანი“ – შემოწმებით. მგზავრი თავად ირჩევს გასასვლელს, მაგრამ საკონტროლო სამსახურს აქეს უვლება გააჩეროს ნებისმიერი მგზავრი და შეამოწმოს როგორც ბარგი, ასევე პირადად მგზავრიც. პირადი შემოწმებისათვის (მგზავრის) არსებობს სპეციალური ოთახები. საჭიროებისამებრ მიმდინარეობს ვიდეოგადაღება. პირადი შემოწმებისათვის განკუთვნილია ექიმი და პერსონალთა ორივე სქესის წარმომადგენელი. მგზავრები მოწმდებიან აგრეთვე მეტალისმაძიებელ კარებში გავლით, ან ხელის მეტალისმაძიებლის საშუალებით.

ხელის ბარგი მოწმდება გაშუქების საშუალებით, ან ვიზუალური დათვალიერებით.

ცალკეული მცირე ზომის ძვირფასი ნივთების და პირადი მოხმარების საგნები, მგზავრებს შეუძლიათ თან იქონიონ თვითმცვრინავის საღირები. მგზავრებმა შეიძლება თან იქონიონ მსუბუქი ჩემოდანი ან სპორტული ჩანთა. სავარძლებს შორის ბარგის დაღაგება არ შეიძლება. ეს გასასვლელი აუცილებელია როგორც მგზავრების, ასევე ბორტგამცილებების გადასაადგილებლები, ასევე საკვების მისატანი ურიკისათვის. თვითმფრინავის სალონში სავარძლების ზემოთ არის თაროები – ყუთები. სავარძლის ქვემთაც არის ცოტაოდენი თავისუფალი ადგილი. თაროებზე აწყვია გადასაფარებლები, მაშველი ჟილეტები, რჩება მცირეოდენი ადგილი ხელის ბარგისათვის. ებადართული ნივთებისა და აქსესუარების რაოდენობა შეზღუდულია: ქალის ხელჩანთები, პალტო, ქოლგა, ლაბადა და მოსასხამი, პლედი, ფოტოაპარატი, ბირკლი (დურბინი), ჭოგრიტი, ლიტერატურის დასაშვები რაოდენობა წასაკითხად, ბაგშვის საკვები, ბაგშვის ეტლი და სხვ.

თვითმფრინავებით მასიური ტგირთის გადაზიდვისას, დიდი უურადღება ექცევა ტგირთის მოცულობას აგრეთვე მის წონასაც. ეს პრობლემა მკვეთრად წარმოიქმნა ე.წ. „შოფინგ-რეისების“ ინტენსიფიკაციის შედეგად.

წვრილი ბითუმად მოვაჭრენი ქვეყანაში სხვადასხვა საქონლის ინტენსიური შემომზანი არიან. ზოგ შემთხვევაში ერთი მგზავრის ბარგის წონა ერთ ტგირას აჭარბებს.

ვინაიდან არსებობს ქვეყნებს შორის საქონელზე საფასო და ასორტიმენტული განსხვავებები, ტურიზმის გამოყენება წვრილსაბითუმო ვაჭრობისა და მათი საქონლის ტრანსპორტირებისათვის საზღვარზე ყოველთვის იყო და მომავალშიც იქნება.

გადაზიდვის პროცედურის გამარტივების მიზნით გამოიყენება სტანდარტიზებული ზომის სატვირთო კონტეინერები, რომლებიც შეესაბამებიან თვითმფრინავების სატვირთო ნაკვეთურებს (ადგილებს ტვირთისათვის).

მგზავრს აქვს უფლება კონტეინერი აიღოს არენდით და თვითონ ჩაალაგოს იქ თავისი ნივთები, ფუთები, ჩანთები, ჩემოდნები, შეუძლია დაყენოს კოდური საკეტი. ყველა კონტეინერს გააჩნია კარები ტვირთის დასაწყიობად (შესატანად), და აღჭურვილია საიმედო ურდჟულით.

### 3. საპარტო ფრენათა უფლებრიგი ასპექტები და მათი რეგულირება

როგორც ცნობილია, დედამიწის ხმელეთი (ანტარქტიდის გარდა) ათვისებულია და გადანაწილებული სხვადასხვა სახელმწიფოებს შორის. ეს სახელმწიფოები, ნაციონალური და საერთაშორისო კანონების ძალით, ფლობენ სუვერენიტეტს თავიანთ ტერიტორიებზე, სადაც შედის სახმელეთო ტერიტორიები, შიდა წყლები და ტერიტორიული ზღვები და მათ ზემოთ საპარტო სივრცე.

საპარტო სივრცის არასანქცირებული დარღვევა ითვლება მოცემული სახელმწიფოს სუვერენიტეტის დარღვევად. ამ შემთხვევაში სახელმწიფოს შეუძლია ადგევატური ზომების მიღება სუვერენიტეტის დაცვის მიზნით, შეიძლება საპარტო ობიექტი განადგურდეს კიდევ.

ავიაცია – გადაადგილების ერთ-ერთი ყველაზე „ახალგაზრდა“ სახეობაა. აქტიური გადაფრენები და გადაზიდვები 30-იანი წლების ბოლოს დაიწყო. მეორე მსოფლიო ომმა მოახდინა ავიაციის განვითარების ინტენსიფიკაცია. შეიქმნა მძლავრი და რაც მთავარია საიმედო საპარტო სატრანსპორტო საშუალებები, რომლებსაც გადაჰქონდათ არა მარტო ტგირთი, არამედ გადაჰყავდათ მგზავრებიც.

საჭირო გახდა შექმნილიყო ფრენათა რეგულირების საერთაშორისო ნორმები. ე.ო. საპარტო სამგზავრო გადაყვანების ორგანიზაციის საერთაშორისო პრინციპები, სადაც შედიოდა თავისუფალი გადაფრენა სხვა იურისდიქციაში მყოფი ქვეყნების ტერიტორიებზე. ამ პრინციპებმა მიიღეს „თავისუფალი საპარტო ფრენის“ სახელი – Freedom of the Air. CikagoSi (აშშ) 1944 წ. 7 დეკემბერს სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო კონფერენციაზე მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებდა მსოფლიო საპარტო სივრცეში თავისუფალი ფრენის შემდეგ პრინციპებს:

1 – ტერიტორიაზე დაჯდომის გარეშე გადაფრენის უფლება.

2 – არაკომერციული მიზნებით დაჯდომის უფლება.

3 – მგზავრთა ჩამოსხმა, ფოსტის და ტვირთის ჩამოტვირთვა, იმ ქვეყნის ტერიტორიაზე, რომლის უფლებაც ხომალდს გააჩნია.

4 – აიყვანოს ბორგზე მგზავრები, აიტანოს ფოსტა, ტვირთი, იმ ქვეყნის ტერიტორიის დანიშნულების ადგილამდე, რომლის უფლებაც საპარტო ხომალდს არ გააჩნია.

დღეისთვის „პარტოს თავისუფლება“-ს დაქმატა:

- მგზავრთა, ფოსტის და ტვირთის გადამზიდავების უფლება, პარტნიორ ქვეყნებსა და მესამე სახელმწიფოს შორის დადებული შეთანხმებით, რომელიც გაატარებს ხომალდს (თვითმფრინავს) თავის ტერიტორიაზე, ორივე მიმართულებით.
- გადაზიდვების განხორციელების უფლება პარტნიორ ქვეყანასთან ერთად მესამე სახელმწიფოსთან შეთანხმებით (ორივე მიმართულებით), რომ გამოყენებულ იქნას საპარტო საზო, რომელიც არ გადის ამ ქვეყნის ტერიტორიაზე.
- გადაზიდვების (მგზავრი, ფოსტა, ტვირთი) განხორციელების უფლება ხელშეკრულების ქვეყნების შიდა ხაზებზე. მაგ., გერმანიული კომპანია – „ლუფტგანზა“, ახორციელებს გადაზიდვებს აშშ-ს ქალაქებს – ნიუ-იორკსა და ლოს-ანჟელეს შორის.

საკანონმდებლო (უფლებრივი) თვალსაზრისით, წყლის სივრცეზე საპარტო გადაფრენების პრობლემები იყოფა, შემდეგნაირად: ლია ზღვა, ტერიტორიალური ზღვა და მიმდებარე ზონა, არქიპელაგური წყლები და საერთაშორისო სრუტეები.

ფრენის უფლებები რეგულირდება ზღვის კანონის კონვენციით, ორი სახელმწიფოს შეთანხმების საფუძველზე, იმ ტერიტორიებზე გადაფრენისას, რომელიც გაუთვის სუვერენულ სახელმწიფოს.

**ლია ზღვის საპარო სივრცე**, თავისუფალია ნებისმიერი ქვეყნის ხომალდისათვის. გადაფრენა ტერიტორიულ ზღვებზე, ისევე როგორც შიდა წყლებზე, იგივეა, რაც სახელმწიფოს ტერიტორიაზე გადაფრენა, ამიტომ ნებართვა აუცილებელია.

არქიპელაგური გადაფრენა – ხორმალური გადაფრენის უფლება არქიპელაგურ წყლებზე და მის მიმდებარე ტერიტორიულ ზღვებზე, საზღვაო დადგნილი კორიდორების (დერეფნების), საპარო დერეფნების საშუალებით, ერთადერთი მიზნით, სწრაფი, უწყვეტი და წინააღმდეგობათა გარეშე ტრანზიტი ლია ზღვის ერთი ნაწილიდან მეორეში. ამ უფლებებით სარგებლობენ ყველა საფრენი აპარატები, იმ ბირობით, თუ დაცული იქნება ფრენის საერთაშორისო კანონები.

საპარო ხომალდების ფრენა და მგზავრებისა და ბარგის გადაზიდვაშიდა და საერთაშორისო რეისებზე რეგულირდება ეროვნული და საერთაშორისო ნორმებით.

**შედა საპარო გადაზიდვები**, ე.ი. გადაზიდვები გამგზავრების პუნქტიდან დანიშნულების პუნქტამდე, ხორციელდება ერთი ქვეყნის ტერიტორიაზე. ამ გადაზიდვების და გადამზიდის პასუხისმგებლობის წესების რეგულირება ხდება ეროვნული კანონმდებლობის მიერ.

**საერთაშორისო საპარო გადაზიდვებია** – როდესაც ადგილი აქვს სხვა სახელმწიფოს საპარო საზღვრების გადალახვას, როდესაც გამგზავრებისა და დანიშნულების პუნქტები მდებარეობენ სხვადასხვა სახელმწიფოების ტერიტორიაზე, ან ადგილი აქვს შუალედურ დაჯდომას (გაჩერებას), სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე; ასეთი საპარო გადაზიდვები რეგულირდება 1929 წლის ვარშავის კონვენციით და ყველა მიმდინარე დამატებებით, რომელიც გათვალისწინებულია პააგის ოქმით. დამუშავებულია და მიღებული საპარო გადამზიდების საერთაშორისო ასოციაციის ნორმები და წესები (IATA). ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებს ვარშავისა და პააგის კონვენციის ნორმებს. საერთაშორისო ნორმების მიხედვით გამოიყოფა საპარო ხომალდების კატეგორიები: სამოქალაქო საპარო ხომალდი და საზღვარგარეთის (უცხოური) საპარო ხომალდები.

**სამოქალაქო საპარო ხომალდი** შედის ეროვნული ხომალდების რეესტრში, გააჩნია სათანადო მოსაცნობი ნიშნები.

**უცხოური საპარო ხომალდი** შეტანილია საზღვარგარეთის ქვეყნის საპარო ხომალდების რეესტრში.

1952 წლის რომის კონვენციის თანახმად ხომალდი, რომელიც გადაიფრენს დია ზღვაზე (ე.ი. სადაც მოქმედებს ეროვნული იურისდიქციის ნორმები), ითვლება იმ ქვეყნის ტერიტორიად, რომელსაც ეკუთვნის. ხოლო სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე გადაფრენისას, ამ ხომალდზე ვრცელდება ამ ქვეყნის ყველა კანონი.

სახელმწიფოს საპარო ტერიტორია შედის მოცემული ქვეყნის საერთო ტერიტორიაში, ეს არის საპარო სივრცე, რომელიც განლაგებულია, სახმელეთო, წყლისა და საზღვაო ტერიტორიების თაგზე.

საპარო საზღვრების სიმაღლის ზღვარი დადგენილი არ არის, მაგრამ ზოგიერთი ქვეყანა ემხრობა პრინციპს, რომლის მიხედვითაც ეს ზღვარი 100-110 კმ სიმაღლისაა მსოფლიო ოკეანის დონიდან. ნებისმიერი აპარატი, რომელიც დაფრინავს ამ ზონის ზევით განეკუთვნება კოსმოსური აპარატების კატეგორიას.

საპარო ხომალდების ფრენის წესრიგისა და მათი უსაფრთხოების მიზნით (ავარიები) მტკიცდება საპარო ხაზები (ტრასები), ეს არის პირობითი დერეფნანი საპარო სივრცეში. განსაზღვრული სიმაღლესა და სიგანეში. საპარო კორიდორების (დერეფნების) დადგენა ხდება და რეგულირდება ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობით.

### **საპარო გადამზიდთა საერთაშორისო ასოციაცია IATA**

ზემოთ ნახსენები საპარო გადამზიდთა საერთაშორისო ასოციაცია IATA- შეიქმნა ავიაციის განვითარების აღრეულ ეტაზე – 1919 წელს. ასოციაციის დამარსებლები იყვნენ ინგლისი, დანია, გერმანია, შვედეთი და ხორვეგია. 1945 წელს ამ ასოციაციის საფუძველზე შეიქმნა ახალი გაერთიანება - **International Air Transport Association - IATA**, რომელიც არსებობს დღემდე და ითვლება საპარო გადამზიდთა ერთ-ერთ უმსხვილეს

ასოციაციად მსოფლიოში. დღეს ასოციაციაში შედიან არა მარტო გადამზიდები, არამედ სხვა კომპანიებიც, მათ შორის ტურისტული სააგენტოებიც.

### დღესდღეისობით IATA- ასრულებს შემდეგ ფუნქციებს:

**ტექნიკური:** საერთაშორისო ფრენათა ორგანიზაციის ტექნიკური ასპექტებისა და მოთხოვნათა რეგულირება და შეთანხმება; მეტეოროლოგიური სამსახურები, კავშირის სისტემები, კვების ორგანიზაცია და სამედიცინო მომსახურება;

**იურიდიული:** სახელმწიფოთაშორისი შეთანხმებები, კონვენციები, გადაზიდვათა გენერალური პირობები, სააგენტო შეთანხმებები, საავიგაციო და სხვ.

**გადაზიდვათა საერთო პოლიტიკის კოორდინაცია სახელმწიფოებრივ დონეზე:** სატექნიკო, სამგზავრო, საფოსტო (გადაზიდვები).

**ფინანსური სერვისი:** ფინანსური საქმიანობის ანალიზი, გადამზიდთა ურთიერთაგარიშის რეგულირება, სატარიფო პოლიტიკის შეთანხმება, გაანგარიშებათა ავტომატიზირებული სისტემები და სხვ.

**გადაზიდვების ორგანიზაცია:** მგზავრებისა და ბარგის მომსახურების საერთო პროცედურების შეთანხმება, ბარგის დათვალიერება (შემოწმება) და კონტროლი, ცხოველების გადაყვანა.

**სააგენტო მუშაობა:** აგენტების აკრედიტაცია ბილეთების გაყიდვაზე, სპეციალისტების სწავლება.

**ინფორმაცია:** საინფორმაციო ბიულეტენების, წესების, ნორმატიული დოკუმენტების გამოცემა.

**პროცედურების სტანდარტიზაცია:** საბაჟო, საიმიგრაციო და სხვა პროცედურების გამარტივება და სტანდარტიზაცია.

**უსაფრთხოება:** ფრენათა უსაფრთხოების სისტემები, დაცვის, მგზავრებისა და ბაგაჟის უსაფრთხოება, ფოსტის და სხვ.

IATA- ამუშავებს და ნერგავს სტანდარტებს ყველა საერთაშორისო ავიაგადაზიდვებზე, უწევს რეგლამენტებას საპარტნერო გადაზიდვების მრავალრიცხოვან წესებს, ორგანიზაციას უწევს გადამზიდთა ურთიერთობებს საქმიანობაში მათ ფინანსურ ურთიერთანგარიშებს, დასაჯავშნ მომსახურებას.

ორგანიზება უკეთდება სპეციალისტების ფართომასშტაბიან სწავლებას, მათ შორის დაჯავშნის ავტომატიზირებულ სისტემებში მუშაობისათვის.

ტურისტული სააგენტოებისათვის ბილეთების გაყიდვის ორგანიზაციისათვის აუცილებელია IATA-ს სერთიფიკაცია. IATA-ს წესებით, მსოფლიოს ყველა ავიაკომპანიას გააჩნია ერთგვარი დიაპაზონი, რომლის შიგნითაც მას შეუძლია გამოავლინოს თვითმეტყვადობა. ამ წესების დაუცველობა არ შეუძლია არც ერთ კომპანიას. IATA-ს წევრი ქვეყნების ასოციაციების თანამშრომლები სარგებლობებს ფასდაკლებებით. წელიწადში ორჯერ, მათ შეუძლიათ ისარგებლონ 75%-იანი ფასდაკლებით ბილეთებზე, ნებისმიერ ავიაკომპანიაში, რომელიც წარმოადგენს IATA-ს წევრ ავიაკომპანიას.

### საქართველოს საავიაციო ბაზრის განვითარების ტენდენციები

2018 წელს ტურიზმის სექტორში დამატებული დირებულება ძირითადად შეიქმნა ტურისტულ კომპანიებში (+30.1%), ტრანსპორტში (საპარტნერო ტრანსპორტის ზრდა +43.8%, სხვა ტრანსპორტი ზრდა +17.7%), კვების საშუალებებში (+16.3%) და განთავსების საშუალებებში (+12.4%).

2018 წლისათვის საქართველოში შსრყლდა 24.606 რეისი, ზრდამ შეადგინა 17.3%. ავიარეისებით გადაყვანილ მგზავრთარაოდენობამ შეადგინა 5.033.313, ზრდა 23.5%.

### საქართველოს საავიაციო ბაზარი

საქართველოს საავიაციო ბაზარი ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მნიშვნელოვანი ზრდის ტემპით გამოიჩინება. საქართველოში სამი საერთაშორისო და ორი შიდა აეროპორტი ფუნქციონირებს, რომლებიც სრულად შეესაბამება საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის

ორგანიზაციის (ICAO) სტანდარტებს. საქართველოს საავიაციო ბაზარი უმეტეს წილად საერთაშორისოა; ფრენების უმეტესი ნაწილი თბილისის აეროპორტზე მოდის.

თბილისისა და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტებს მართავს თურქელი კომპანია თ V ირპორტს ოლდინგ ჩო. აეროპორტებმა ფუნქციონირება შესაბამისად 2007 წლის თებერვალში და მაისში დაიწყეს. 2011 წელს ოფიციალურად გაიხსნა მესტიის თამარ მეფის სახელობის აეროპორტი, ხოლო 2012 წლის სექტემბერში ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტი. აღნიშნულ აეროპორტში პირველი ავიარეისი უნგრულმა ავიაკომპანიამ ჭიშა ირ-მა კიევის მიმართულებით შეასრულა. საქართველოს ავიაბაზარზე ფრენებს ახორციელებდნენ შემდეგი დაბალბიუჯეტიანი ავიაკომპანიები, რომლებსაც სატარიფო სექტემბრი გათვალისწინებული აქვთ დაბალი ტარიფები: Wizz Air, Air Arabia, Pegasus, FlyDubai, Pobeda Airlines, Air Baltic, Buta Airways, Salam Air, Flynas, Ukraine International Airlines, Skyup Airlines. საქართველოში არსებულ აეროპორტებს 2017 წელს ამბროლაურში კიდევ ერთი ადგილობრივი აეროპორტი დაემატა. საქართველოში აეროპორტების რიცხვი მომავალშიც გაიზრდება. მიმდინარეობს საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში უმოქმედო აეროდრომების, ვერტოდრომებისა და ასაფრენ-დასაფრენი ზოლების შესწავლა და შეფასება მათი სამომავლო ექსპლუატაციის მიზნით.

თბილისისა და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტების გამტარუნარიანობა 3,000 და 600 მგზავრი/საათია შესაბამისად, ხოლო ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის 800 მგზავრი/ საათი. რაც შეეხება მესტიის და ამბროლაურის აეროპორტებს, მათი დატვირთვა შესაბამისად 50 და 100 მგზავრია საათში.

ავიაბაზები საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს თანახმად, ჭიშა ირ უნგარუ არის უმსხვილესი კომპანია, რომელიც საქართველოს საავიაციო ბაზარზე საქმიანობს და მგზავრების ყველაზე დიდი რაოდენობა ჰყავს. 2018 წელს ამ კომპანიის მიერ გადაუვანიდლი მგზავრების რაოდენობამ 587,179 (11.9%) შეადგინა. თურქისპ ირლინებს არის სიდიდით მეორე გადამყვანი კომპანია 559,749 (11.3%) მგზავრით. მგზავრების რაოდენობით მას მოსდევს ეორგიან ირწავს - 550,831 (11.1%); რალ ირლინებს - 294,000 (5.9%); ლე უბაი - 250,296 (5.1%); კრაინე ინგლისაბიონალ ირლინებს - 223,106 (4.5%); ეროფლობ - 194,675 (3.9%); შე ირლინებს - 183,392 (3.7%); ობედა ირლინებს - 178,783 (3.6%).

2018 წელს 56 საერთაშორისო და ორი შიდა ავიაკომპანია სთავაზობდა მგზავრებს კომფორტულ ფრენებს საქართველოდან.

საქართველოში მოქმედი ძირითადი ავიაკომპანიებია: Wizz Air, Turkish Airlines, Georgian Airways, Ural Airlines, FlyDubai, Ukraine International Airlines, Aeroflot, S7 Airlines, Pegasus, EL AL Israel Airlines, Qatar Airways, Belavia, Yan Air, Azerbaijan Airlines, QESHM Air, Zagros Airlines, Air Astana, Luftansa, LOT Polish Airlines და სხვა. 2018 წელს ერთი ქართული და ცხრა ახალი საერთაშორისო ავიაკომპანია შემოვიდა საქართველოს საავიაციო ბაზარზე, მათ შორისაა: ქართული ავიაკომპანია Myway Airlines, ომანის ავიაკომპანია Salam Air, საუდის არაბეთის ავიაკომპანია ლუნას, უკრაინული ავიაკომპანია Skyup Airlines, რუმინული ავიაკომპანია TAROM, ქუვეთის ავიაკომპანიები უწაიტ ირწავს და უზეერა ირწავს, რუსული ავიაკომპანია Vtot ერთ და ორანული ავიაკომპანია Iraab ირ. ჩარტერულ რეისებს ასრულებდნენ ქართული ავიაკომპანია ეწავ ირლინებს და ოორდანიული ავიაკომპანია ლე უორდან. ეს წელი გამოწვევებით სავსე იქნება საქართველოს საავიაციო ინდუსტრიისთვის, რადგან ახალი კომპანიები აპირებენ ბაზარზე შემოსვლას, ბევრი მოქმედი კომპანია გამოხატავს ფრენის სიხშირის გაზრდის ინგერესს.

2019 წელს დაგეგმილია რამდენიმე ახალი ავიაკომპანიის შემოსვლა საქართველოს ავიაბაზარზე, რომლებიც გეგმავენ ორმხრივი რეგულარული ფრენების დაწყებას. ფრანგული ავიაკომპანია ირ რანცე რეგულარულ ფრენებს თბილისიდან პარიზის მიმართულებით განახორცილებენ. ასევე ოპერირებას იწყებენ ინდური ავიაკომპანია IndiGo და უზბეკეთის ავიაკომპანია Uzbekistan Airlines. ავიაკომპანია Air Malta თბილისიდან მაღრას მიმართულებით კვირაში ერთხელ განახორციელებს ფრენებს.

